# არსენალი

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1425
2013



აგვისტოს ომი 5 წლის გადმოსახედიდან

ქართველი სამხედრო ავღანურ კოშმარში

მეფე ერეკლე II-ის კაჟიანი თოფები

ქართველიშვილის ატომური ბომბები

N13 (186) აგვისტო, 2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი














**4 კალეიდოსკოპი**
სამხედრო სიახლეები

**8 ოკუპაცია**
აგვისტოს ომი 5 წლის გადმოსახედიდან

**11 მისია**
ქართველი სამხედრო
ავღანურ კოშმარზე

**14 აფხაზეთის ომი**
ერთი ომის ორგზის ტრაგიკული თვე

**16 ინტერვიუ**
სახელმწიფო ვეტერანებზე
ზრუნვას იწყებს

**19 რეფორმა**
რეზერვისტებს მორიგი რეფორმა ელოდებათ...

**21 არმია**
საგაზაფხულო გაწვევა

**23 მოსაზრება**
ვნებათაღელვა ეროვნული უშიშროების საბჭოს გამო

**26 რეგიონი**
ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

**30 სამეზობლო**
რუსეთი სომხეთში ბაზას აძლიერებს

**32 სპეცსამსახურები**
სამყარო ედუარდ სნოუდენის პრიზმაში

**35 ტერორიზმი**
მოძრაობა "თალიბანი":
ისტორია, ორგანიზაცია, სამხედრო სტრატეგია

**39 სარაკეტო შეიარაღება**
"ფრთოსანი ისკანდერი"

საბრძოლო მანქანები 44
თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო
სარაკეტო დანადგარები

კავკასიური ომები 48
დატყვევებული ჯარისკაცის "აღსარება"
ანუ რუსული ბალანსი

ორი სტიქიის მბრძანებლები 52
საგემბანო ავიაცია

ფლოტის ისტორია 56
რუმინული "მეფის"
ქართული ოდისეა

ჩვენი ისტორია 60
მეფე ერეკლე II-ის თოფები

100 დიდი მხედართმთავარი 64
უილიამ შერმანი

მეომრები 66
500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

ცხელი წერტილები 70
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა

ისტორიის საიდუმლო ფურცლები 72
კრემლის აგენტურა პარიზელ ქართველებში

ყველაზე, ყველაზე... 75
ყველაზე დიდი ატომური ყინულმჭრელი

მკითხველის გვერდი 76
ქართველის ატომური ბომბები

კროსვორდი 81
არსენალვორდი

იარაღის გალერეა 82
სიმართლე "უდაბნოს არწივზე"...

## რედაქციისგან

ბიბლიოთეკა

საპარლამენტო არჩევნებიდან მეათე თვის თავზე, ნაცვლად იმისა, გამოძიებას წარმოედგინა კონკრეტული საფუძვლიანი ფაქტები იმ დანაშაულების შესახებ, რაც თავდაცვის ყოფილ ხელმძღვანელობას შესაძლოა ჩადენილი აქვს, ბოლო წლებში, ბრალდებული ბაჩანა ახალაია იქით სდებს ბრალს კორუფციაში მოქმედ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას და მას პასუხის მოთხოვნით ემუქრება.

ეს უკვე პრესტიჟის საქმეა — თუკი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას სურს თავისი ღირსების დაცვა, მაშინ იგი ვალდებულია გაასაჯაროოს ყველა ის ფაქტი, რომლებიც 2009-2012 წლებში ბაჩანა ახალაიას თავდაცვის მინისტრობის დროს მომხდარა და ჯერჯერობით კვლავ უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

მთავარი რედაქტორი
**ირაკლი ალადაშვილი**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**თემურ ჩაჩანიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**დათო მოსიაშვილი**

ყურადღება!
გამოიწერეთ "არსენალი" და
მიიღეთ შინ, თვეში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
22.07.2013

გაზეთ "კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (221)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70

Email: arsenali@palitra.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაილანდის უნივერსიტეტში ჰიტლერი სუპერგმირი ჰგონიათ

ალბათ, ძნელად წარმოსადგენია, დედამიწის ზურგზე ვინმეს, მით უმეტეს, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ლექტორებს ადოლფ ჰიტლერი ვინმეში შეეშალოთ. მაგრამ თურმე ასეც ხდება.

ტაილანდის ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ ბანგკოკის უნივერსიტეტის შენობაზე ახლახან პლაკატი გამოიფინა, რომელიც გამოსაშვებ ღონისძიებას მიეძღვნა. პლატაკი თავად სტუდენტებმა დახატეს, ზედ კი ცნობილი კომიქსების სუპერგმირების: „სუპერმენის", „ბეტმენის", „კაპიტან ამერიკისა" და „ჰალკის" გვერდით ნაცისტური გერმანიის ხელგაშვერილი ლიდერიც გამოსახეს.



პლაკატი მანამ იყო გამოფენილი, სანამ ერთი ამბავი ადამიანის უფლებათა დამცველებმა არ ატეხეს. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ბოდიში მოიხადა, „დამნაშავეებს" კი საყვედურები აკმარეს.

# მიიღეთ „ღორის" ტყვია, ისლამისტო ტერორისტებო!




აიდაჰოს შტატში კომპანია Jihawg-მა ტყვია-წამალი შექმნა, რომელიც ღორის „სალებავითაა" გაჟღენთილი.

არ იფიქროთ, რომ ამ შინაური და მეტისმეტად გემრიელი ხორცის მქონე ცხოველის ორგანიზმში რაიმე ისეთი მოიპოვება, რაც სამხედრო მრეწველობაში აქამდე არ იცოდნენ. უბრალოდ, ტყვია-წამლის შემქმნელები ფიქრობენ, რომ „უწმინდური" ცხოველის სისხლში „ამოსვრილი" ტყვიებით ისლამისტ ტერორისტებს ისე დააფრთხობენ, რომ ეს უკანასკნელნი ბრძოლის გაგრძელებას აღარ მოინდომებენ.

„ჩვენ ვესაუბრეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც მუსლიმანურ ქვეყნებში უომიათ. ისინი გასაოცარ ამბებს ჰყვებიან. თურმე იმ რაიონებში, სადაც ღორები არიან, ტერაქტები არასდროს ხდება", — ამბობენ კომპანიაში და იმედოვნებენ, რომ „უწმინდური ტყვიით" დაჭრის ან სულაც მოკვდინების შიშით ტერორისტები თავიანთ განზრახვაზე ხელს აიღებენ.

თუ რა ინგრედიენტებს და როგორი დოზით შეიცავს „ღორის" ტყვია, ეს კომერციული საიდუმლოა. „გამომგონებლები" მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ღორის „სალებავში" ცხოველის ხორცი, ძვალი და სისხლია გამოყენებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაკლი სრულყოფილ ჰუმანოიდსაც აქვს



სამხედრო სფეროში პერსპექტიული კვლევების სააგენტო DARPA-მ რობოტ-ჰუმანოიდ ATLAS-ის ბოლო ვერსია წარმოადგინა, რომელიც კომპანია Boston Dynamics-მა შექმნა და რომელსაც სპეციალისტები უკვე მოიხსენიებენ, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ რობოტ-ჰუმანოიდად.

ATLAS-ი 150 კგ-ს იწონის, მისი სიმაღლე კი 188 სმ-ია. კონსტრუქციაში ჩამონტაჟებულია კომპიუტერი და სტერეოკამერები. რობოტი, მიუხედავად პირქუში შესახედაობისა, მსოფლიოს დაპყრობას არ აპირებს, პირიქით, ის ადამიანების გადასარჩენად და ჯანმრთელობისთვის საშიშ გარემოში (მაგალითად, ბირთვულ ობიექტებზე ავარიის ან სამხედრო ობიექტზე ხანძრის დროს) მათი სამუშაოს შესრულებისთვისაა განკუთვნილი.

ერთი ეგაა, ორფეხა რობოტი ძალიან ბევრ ენერგიას მოიხმარს და ამის გამო ავტონომიურად ვერ გადაადგილდება – სამფაზიანი სადენით ის 480 ვ ძაბვის წყაროზეა მიერთებული, მისთვის საჭირო სიმძლავრე კი 15 კვტ-ს შეადგენს. ის, რომ სადენები სჭირდება, ATLAS-ისთვის დიდი ნაკლია და მისი დაძლევის გზების მოსაძიებლად ამერიკელები კონკურსის გამოცხადებას აპირებენ.

# ჰოლივუდური ჟანრის დოკუმენტური კადრი



ამას წინათ ავღანეთში ისეთი სპეცოპერაცია ჩატარდა, ნებისმიერ ჰოლივუდურ ბოევიკს რომ დაამშვენებდა – დღისით, მზისით, სამხედროებმა თვითმკვლელი ტერორისტი გააუვნებლეს, რომელსაც ტერაქტის მოწყობა არ დასცალდა.

ეს ყველაფერი რეპორტიორმა ფირზე აღბეჭდა. ფოტო კი მსოფლიო მედიამ აიტაცა და არცთუ უსაფუძვლოდ — ეს ის იშვიათი ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც კინოს მსგავსად, სინამდვილეშიც ყველაფერი „ჰეფი ენდით" დასრულდა – განმაღმველმა ამოცანას თავი წარმატებით გაართვა. ინციდენტი ჯალალაბადში მოხდა. ქალაქის ქუჩაში გამოჩენილ შეიარაღებულ და ასაფეთქებელი მოწყობილობის მავთულებში „გაბარდულ" მამაკაცში ტერორისტის ამოცნობა ძნელი არ იყო და ჯარისკაცებმაც უმალ შემოარტყეს ალყა, მოქალაქეები კი უსაფრთხო მანძილზე განარიდეს.

შემდეგ ადგილზე პროფესიულად ჩაცმული გამნაღმველი მივიდა, რომელსაც თვითმკვლელ-ტერორისტის ტანზე მიმაგრებული ასაფეთქებლის გაუვნებლება შეძლო.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბრაზილია 2014“-ს რობოტები დაიცავენ





2014 წელს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების უსაფრთხოებაზე სამხედროებთან ერთად რობოტებიც იზრუნებენ. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელმა ბრაზილიამ უკვე გააფორმა კონტრაქტი კომპანია iRobot-თან, რომელიც 7,2 მილიონ დოლარადაა შეფასებული და 30 რობოტის (მოდელი PackBot 510) მიწოდებას ითვალისწინებს.

ეს რობოტები ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის, ალბათ, არა, მაგრამ სამხედროებისთვის კი კარგადაა ცნობილი – PackBot 510-ს ერაყში, ავღანეთსა და ატომურ სადგურ „ფუკუსიმა 1“-ზე მომხდარი ავარიის დროს წარმატებით იყენებდნენ.

მუხლუხიანი რობოტები დისტანციურად იმართება და მანიპულატორითა და ვიდეოკამერითაა აღჭურვილი. ბრაზილიაში მუნდიალის დროს მას საეჭვო ობიექტების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მსგავსი ნივთების შესამოწმებლად გამოიყენებენ.

სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ბრაზილიელ პოლიციელებს სახის ამომცნობი სისტემის სპეციალურ სათვალეებსაც დაურიგებენ, რითაც ადამიანთა ჯგუფში დამნაშავის ამოცნობას 50 მ-ის მანძილზე შეძლებენ.

# ამერიკელებისთვის Jeep-ი კვლავაც ეროვნული სიამაყეა



აშშ-ის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, რომელიც 4 ივლისს აღინიშნება, ამერიკელებმა გამოკითხვა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, თუ რომელია ქვეყანაში ყველაზე პატრიოტული სავაჭრო ბრენდი.

რამდენიმე ათასი რესპონდენტის გამოკითხვის შედეგად კი დადგინდა, რომ ამერიკელთა უმრავლესობა ასეთად საავტომობილო მარკა Jeep-ს თვლის.

ბრენდის პატრიოტულობის ხარისხის განსაზღვრისთვის კრიტერიუმები წინასწარ შედგენილი არ ყოფილა და გამოკითხულები არჩევანს მხოლოდ საკუთარი შეხედულებით აკეთებდნენ. რაც შეეხება გამარჯვებულ ბრენდს, ამერიკელებში Jeep-ის პოპულარობა მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის არმიის წარმატებასთანაა აღქმული, როგორც მობილურობის ერთ-ერთი საუკეთესო სიმბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორექტირებადი ჭურვი – მოუხვია და მიზანშიც მოხვდა



ბრიტანულმა კომპანია BAE Systems-მა პირველად გამოცადა კორექტირებადი 127 მმ-იანი კალიბრის საბრძოლო საშუალება MS-SGP-ი.

რეაქტიული ჭურვი საარტილერიო დანადგარიდან გაისროლეს და 36 კმ მანძილზე ფრენის შემდეგ მარცხნივ მოუხვია და წინასწარ შერჩეული სამიზნე გაანადგურა. ნიუ-მექსიკოში, უაიტ-სნედზის პოლიგონზე ჩატარებული გამოცდა დადებითად შეფასდა.



კორექტირებად საბრძოლო საშუალების შექმნისა და შემდეგ მისი შესყიდვით უწინარესად აშშ-ის არმიაა დაინტერესებული, რომელიც აფინანსებს კიდეც ცდებს.

რაც შეეხება MS-SGP-ს, მისი გასროლა საარტილერიო დანადგარიდან ისევე ხდება, როგორც ჩვეულებრივი ჭურვისა, თუმცა მას შემდეგ, რაც ეს საბრძოლო საშუალება ლულას დაშორდება, ირთვება ძრავა, რომელიც განაპირობებს კიდეც დიდ მანძილზე ფრენას. იმედოვნებენ, რომ კორექტირებადი ჭურვი პროექტის დასრულების შემდეგ სამიზნის განადგურებას 95 კმ-ზე შეძლებს.

# მომავლის ყველგანმავალი “მერსედესისგან”

როგორი უნდა იყოს არცთუ შორეული მომავლის პოლიციური ავტომობილი? რა თქმა უნდა, ამაზე უპირველესად ავტომწარმოებლები ფიქრობენ და ათასგვარ კონცეპტუალურ პროექტსაც ქმნიან, რომელთაგან უმეტესობას, ალბათ, განხორციელება არც უწერია... თუმცა, საინტერესო ნამდვილადაა.

ამჯერად თქვენს სამსჯავროზე ცნობილი გერმანული ავტოკონცერნის ფუტურისტულ პროექტს წარმოგიდგენთ, რომელიც Mercedes G-Class-ის ბაზაზეა შექმნილი. ამ ყველგანმავალს Ener-G-Force ჰქვია და ის პოლიციის სატრანსპორტო საშუალებად განიხილება.

აბა, ისე როგორ იქნებოდა, გერმანელ ავტოინჟინრებს გარემოს დაცვაზეც არ ეზრუნათ – ეკოლოგიურად სუფთა, 20-დუიმიან ბორბლებზე შემდგარი ავტომობილი საწვავად ჩვეულებრივ წყალს მოიხმარს, რომელსაც წყალბადად გარდაქმნის, ხოლო სავსე ავზი კი დაახლოებით 800 კმ-ზე ჰყოფნის.



# აგვისტოს ომი 5 წლის გადმოსახედიდან



მავთულხლართები — რუსული ოკუპაციის რეალური სახე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან მეხუთე წლისთავზე შექმნილი ვითარება კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივას.

ხუთი წელი ისტორიისთვის ერთი გაელვებაა, თუმცა იმ ადამიანებისთვის, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ გავლო ეს წლები, ძალზე მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილებისთვის.

2013 წლის 8 აგვისტო იქნება პირველი ომის შემდგომი ხუთი წლიდან, როდესაც ქვეყნის სათავეში თითქმის აღარ არის ის პოლიტიკური გუნდი, „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის მმართველობის პერიოდშიც მომწიფდა და შედგა აგვისტოს ომი.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობას ამომრჩევლებმა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაუსვეს წერტილი და, წესით, განვლილი 10 თვე სრულიად საკმარისი გახლდათ იმისთვის, რომ ახალ ხელისუფლებას მეტი სიცხადე შეეტანა საკითხში — შეეძლო საქართველოს თუ არა თავიდან აეცილებინა 2008 წლის ომი რუსეთთან და რა ფაქტორებმა განაპირობა ომი.

ამისთვის კი ახალი ხელისუფლების ინიციატივით საპარლამენტო და საუწყებო დონეებზე გამოძიების დაწყება იყო საჭირო, რაც ფაქტობრივად განვლილ 10 თვეში არ გაკეთებულა.

დღემდე მხოლოდ საუბარი გვესმის იმის შესახებ, რომ აუცილებელია აგვისტოს ომის გამოძიება, მაგრამ არაფერი კეთდება.

შეიძლება ამ პროცესს აფერხებდეს ე. წ. კოაბიტაციაც და საქართველოს დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების ერთგვარი ირიბი პოლიტიკური ზეწოლა ბიძინა ივანიშვილის სამთავრობო კაბინეტზე, რათა არ დაიწყოს აგვისტოს ომის სრულფასოვანი და ობიექტური გამოძიება.

ვის შეიძლება არ აწყობდეს სიმართლის დადგენა? რა თქმა უნდა, იმ ძალას, ვინც იმ პერიოდში მართავდა ქვეყანას და იღებდა გადაწყვეტილებს. ასეთი კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება და მისი ლიდერი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.

ალბათ, სწორედ ამიტომაცაა, რომ სააკაშვილის დარჩენილი გუნდი გააფთრებული შეეწინააღმდეგა ახალი ხელისუფლების გაუბედავ ნაბიჯებს, ინიცირებული ყოფილიყო აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზების გამოძიება. ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული მოვლენის — 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები თუ არ გაანალიზდა და არ დაისაჯნენ დამნაშავეები, საქართველოს წარმატებულ მომავალზე საუბარი ძნელი იქნება.



„ისკანდერისა“ და „ტოჩკას“ ტიპის რაკეტები ოკუპირებული გალის რაიონიდან საქართველოს გარდა NATO-ს წევრ თურქეთსაც ემუქრებიან

აგვისტოს ომის 5 წლის გადმოსახედიდან გამოჩნდა ყველა ის პრობლემა, რომელთა პროგნოზირება უკვე 2008 წლის აგვისტოს ბოლოს, საბრძოლო მოქმედებების დამთავრებიდან რამდენიმე დღეში იყო შესაძლებელი.

პირველი და უმთავრესი — რუსეთმა აბსოლუტურად პროგნოზირებადი მოქმედებები განახორციელა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი თავის დიდ სამხედრო ბაზებად გადააქცია. ამით მოსკოვმა თავიდან აიცილა (დროებით მაინც) „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე იმდენი საბრძოლო ტექნიკა განათავსა, რამდენიც სურდა და ამასთან, ვერც ერთი ევროპელი ვერიფიკატორი იქ ცხვირსაც ვერ შეჰყოფს ინსპექტირების ჩასატარებლად.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებული რუსული სამხედრო ბაზებიდან მეოთხე ბაზის მთავარი ამოცანა ცხინვალის რეგიონიდან და განსაკუთრებით ახალგორის რაიონიდან საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე პირდაპირი დამუქრებაა. ახალგორის რაიონში განთავსებულ რუსულ საბრძოლო დანაყოფებს რამდენიმე საათში შეუძლიათ გადაკეტონ თბილისი-გორის დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო ხაზი, რითაც საქართველოს დედაქალაქს ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცევენ და ქვეყანას შუაში გაწყვეტენ, რომ აღარაფერი ვთქვათ, ოკუპირებული ახალგორის რაიონიდან რუსული საარტილერიო და სარაკეტო თავდასხმის საშუალებების თბილისამდე მიღწევის რეალურ საფრთხეზე.

რაც შეეხება ოკუპირებულ აფხაზეთში განთავსებულ მე-7 რუსულ სამხედრო ბაზას, მისი მთავარი ამოცანა, რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოზე



რუსი სამხედროების მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია გრძელდება

ძალისმიერი ზემოქმედება გახდება, მათ შორის უპირველესად ფოთის პორტის ჩაკეტვა (აჭარაში რუსული საბრძოლო დანაყოფების შესვლა ბათუმის პორტის გასაკონტროლებლად არ არის გამორიცხული, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთს თურქეთის ფაქტორის გათვალისწინება მოუწევს), რითაც მთლიანად საქართველო ეკონომიურ ბლოკადაში აღმოჩნდება.

თუმცა ოკუპირებულ აფხაზეთში აგვისტოს ომიდან მეხუთე წლისთავზე მძლავრი რუსული სამხედრო ბაზის შექმნაზე საქართველოზე არანაკლებად თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ და NATO-ს წევრმა იმ ქვეყნებმა უნდა ინერვიულონ, რომლებსაც შავ ზღვაზე გასასვლელი აქვთ.

აფხაზეთის დაპყრობით მოსკოვმა, ფაქტობრივად, მძლავრი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო პლაცდარმი შექმნა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რაც უპირველესად NATO-ს წევრი თურქეთისთვისაა გასათვალისწინებელი, რომელიც ასე მონდომებულია შავ ზღვაში უმძლავრესი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჰყავდეს და გავლენის სფეროები გააძლიეროს.

თუკი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში დაყენებული რუსული საარტილერიო თუ საზენიტო საშუალებები, ძირითადად, საქართველოს სახელმწიფოებრიობას ემუქრება, ასევე ოკუპირებული აფხაზეთიდან და განსაკუთრებით გალის რაიონიდან რუსულ სარა-

კეტო სისტემებს (უპირველესად ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების „ისკანდერის“ ტიპის სარაკეტო კომპლექსებს) NATO-ს წევრ თურქეთის შუაგულამდე შეუძლიათ მიაღწიონ.

გუდაუთის სამხედრო აეროდრომი, რომლის რეკონსტრუქცია მოსკოვისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს საშუალებას მისცემს შავი ზღვის აკვატორიის უდიდესი ნაწილი გააკონტროლონ.

სოხუმსა და ოჩამჩირეში პორტების განახლების შემდეგ იქ ბაზირებულ რუსულ სამხედრო ხომალდებს ასევე შეეძლებათ (რაც ფაქტობრივად უკვე დაწყებულია) გააძლიერონ შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთის გავლენა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ რა მოგება ნახა რუსეთმა საქართველოსთან ომში გამარჯვებისგან განვლილ ხუთ წელში.

საქართველოს ხელისუფლებაში ახალი ძალის მოსვლის შემდეგ გაჩნდა დიდი იმედი, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა სწრაფი ტემპით დაიწყებდა მოლაპარაკებას რუსეთის ხელმძღვანელობასთან და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი წინ წაიწევდა. მაგრამ განვლილმა ათმა თვემ იმედი გაგვიცრუა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება ისევ ის ყბადაღებული კოაბიტაცია იყოს, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტის პოსტს ისევ მიხეილ სააკაშვილი ინარჩუნებს.

მეორე მხრივ, კარგად ჩანს, რომ თავად რუსეთის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს და, სავარაუდოდ, ელოდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, რის შემდეგაც საქართველოს სააკაშვილის ნაცვლად სხვა პრეზიდენტი ეყოლება.

მიუხედავად ივანიშვილის მთავრობის მიერ მოსკოვისთვის გაგზავნილი არაერთი დადებითი მესიჯისა (თუნდაც მოახლოებული სოჭის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს დახმარების შეთავაზებას), რუსეთის ხელისუფლება კვლავ ძნელად პროგნოზირებადი და პროვოკაციულია.

რუსეთის ტერიტორიაზე ქართული ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლების შეტანის პარალელურად რუსი მესაზღვრეები ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებზე აგრძელებენ მავთულხლართების გავლებას, თანაც მიწის პატარ-პატარა მონაკვეთების დამატებით მიტაცებით.

ივანიშვილის გუნდის გამარჯვებამ და „ნაციონალების“ დამარცხებამ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ერთი ყველაზე დიდი შვება ის მისცა საქართველოს მოსახლეობას, რომ მინიმუმამდე შემცირდა რუსული სამხედრო აგრესიის განახლების შესაძლებლობა, რომლის ალბათობა სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობის პერიოდში აგვისტოს ომის შემდგომ მუდმივად მაღალ დონეს ინარჩუნებდა.

აგვისტოს ომიდან მეხუთე წელს საქართველო ისევ ნაწილობრივ ოკუპირებულ მდგომარეობაში ხვდება. ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი გზით აღდგენა ამ ეტაპზე არარეალურად მოჩანს, რადგან მთავარ მოწინააღმდეგედ ისევ რუსეთის შეიარაღებული ძალები იქნებიან, რომელთა გაძლიერება კრემლმა სწორედ აგვისტოს ომის გამოცდილების გაანალიზების შემდეგ დაიწყო, რადგან ამ ომში, თუგინდ ბევრად სუსტ ქართულ ჯართან რამდენიმედღიანი ბრძოლების დროსაც, გამოჩნდა რუსეთის არმიის ბევრი პრობლემა.

საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციიდან მეხუთე წელსაც კი იმედი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა არ გაჩენილა. საინტერესო იქნება 2013 წლის ოქტომბრის ბოლოს საქართველოში ახალი პრეზიდენტის არჩევისა და მიხეილ სააკაშვილის დიდი პოლიტიკიდან დროებით მაინც წასვლის შემდეგ, გაუჩნდება თუ არა რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას სურვილი საქართველოსთან მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობის აღდგენა?!

**ირაკლი ალადაშვილი**



*რუსეთის მეოთხე საოკუპაციო სამხედრო ბაზა ცხინვალში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი სამხედრო ავღანურ კოშმარში



„წავედი, იმიტომ, რომ მაინტერესებდა, რა ქვეყანაა ასეთი, მთელ მსოფლიოს შიშის ზარს რომ სცემდა. მაინტერესებდა, ვინ არიან ასეთი ეს დაუმარცხებელი თალიბები, რა ჯადოს ფლობენ, სუპერსახელმწიფო ამერიკამაც რომ ვერ დაიმორჩილა-მეთქი. ასეთი ბავშვური ფიქრები მქონდა. ამიტომაც, როდესაც ჩემი ოჯახი ცრემლიანი თვალებით მაცილებდა, ვბრაზდებოდი კიდეც. პატარა ხომ არ ვარ, კაცმა ამხელა სამხედრო გამოცდილება მივიღე, ამდენი წვრთნა გავიარე და ასეთ დაცულ ადგილას მივდივარ, რა უნდა დამემართოს-მეთქი. აეროპორტში გასაცილებლად მოსულ დედას ლამის ვეჩხუბე, ბიჭებთან თავს ნუ მჭრი-მეთქი. ახლა ვნანობ... მაგრამ როდესაც საქართველოში ჩამოვალ, ვეტყვი, რომ მართალი ყოფილა, როდესაც ნერვიულობდა“, — ამბობს ჩვენი რესპონდენტი, 26 წლის ირაკლი, რომელიც 42-ე ბატალიონის ჯარისკაცია:

— ბოლო შემთხვევის შემდეგ, როდესაც თალიბი მეამბოხე ნაგვის მანქანით ბაზაში შეიჭრა და შვიდი ქართველი სამხედრო იმსხვერპლა, გარე დაცვის პერიმეტრი გააძლიერეს და კონტროლი გაამკაცრეს. თუმცა, კონტროლი ყოველთვის იყო, მაგრამ ახლა განსაკუთრებულია.

**— რა ხდება იქ, სადაც ახლა გადაგიყვანეს?**

— აქ საყოფაცხოვრებო პირობები უკეთესია. ადრე ბაზაში, სადაც ვიყავით, სხვანაირი პირობები იყო, ანუ ნამდვილი ჯარისკაცური სიტუაცია გვქონდა. ასეც უნდა იყოს, მაგრამ ავღანეთი ის ადგილია, სადაც ადამიანი ყოველდღე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა და იქ ყოფნის განმავლობაში, დამქირავებლისგან მაქსიმუმს ითხოვს. შეიძლება, ვცდები, ასე რომ ვფიქრობ და რადგან სხვისი ნაამბობიდან ყველაფერი სხვაგვარად წარმომედგინა, ამიტომაც ვარ მეტისმეტად მომთხოვნი მეთაურობის მიმართ.

**— როგორ წარმოგედგინათ ყველაფერი?**

— უფრო ადვილი და ნაკლებად სახიფათო... ეს არის რეალური ომი. აქ სიკვდილს თვალებში უყურებ და როდესაც ჰორიზონტს გახედავ და შავ წერტილს შეამჩნევ, იმაზე ფიქრობ, ნეტავ ვინ არისო... იმისთვის, რომ გაიგო, ჰიჯაბ-ნიქაბიანი ადამიანი სინამდვილეში ვინ არის, ამისთვის ერთხელ მაინც უნდა შეხვდე. თუმცა, მათთან შეხვედრას არავის ვუსურვებ. მით უფრო, უაირაღოს... ყველა მათგანი მოსიარულე სიკვდილი და პოტენციური მკვლელია. მნიშვნელობა არა აქვს, დიდია თუ პატარა. ყველას ერთნაირი თვალები აქვს, მშვიდი, მაგრამ სასტიკი, გამჭოლი გამომეტყველება. რა დროს რას მოიმოქმედებენ, არავინ იცის. კიდევ, სუნი აქვთ სპეციფიკური, მძაფრი და თავისებური. გამიჭირდება მისი გადმოცემა. ჩვენ, ბიჭები მას სიკვდილის სუნს ვეძახით... ყოფილა შემთხვევა, როდესაც დაზვერვის ინფორმაციის საფუძველზე ამა თუ იმ სოფელში შევსულვართ, რადგან ვიცოდით, რომ იქ თალიბები იმალებოდნენ. თუკი ყნოსვა გამძაფრებული გაქვს, ავღანელების მიწურებში მათი მიგნება სუნითაც კი შეიძლება, რადგან ჰიგიენასთან მწყრალად არიან. ამისთვის არც დრო აქვთ და, ალბათ, არც სურვილი.

**— ასეთ დროს ისინი განსაკუთრებით საშიშნი არიან, არა?**

— ყოველთვის საშიშნი არიან. ხელი ყოველთვის იარაღზე, „კალაშნიკოვის“ ავტომატზე ან შაჰიდის ქამარზე, ან თვითნაკეთ ბომბზე უდევთ... მოკლედ, ადგილი, სადაც მივედით, ახლო-ახლოს დასახლებული მიწურებით იყო სავსე. ეს რისკია, რომ ამ დროს უდანაშაულო ადამიანები დაიღუპებიან. ამიტომ მათი, ავღანელი ქალებისა და ბავშვების, უსაფრთხოება შენს სიცოცხლის სასწორზე უნდა დადო და ყველაფერი უნდა გათვალო, ყველა ნაბიჯი, ყველა მოქმედება, სუნთქვაც კი, რათა საფრთხეები მინიმუმამდე შეამცირო. ეს თეორიულად ადვილია, შესასრულებლად ძნელი. მაგრამ ამ დროს ყველაფერზე უნდა იფიქრო, გარდა სიკვდილისა. ამ თემაზე ჯარისკაცები თითქმის არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ყველა თალიბს თვალები მშვიდი, მაგრამ სასტიკი აქვს“

ვლაპარაკობთ, რადგან ეს მეომრის ნერვულ სისტემაზე ცუდ გავლენას ახდენს.... როდესაც დავალების შესასრულებლად მივდივარ, ვბრუვდები. მხოლოდ ერთ რამეზე ვარ კონცენტრირებული, შეცდომა არ დავუშვა და ამით საკუთარი თავი და ჩემი თანამებრძოლები არ დავღუპო...

— **რა ხდებოდა ავღანელების მიწურში?**

— იქ სწორედ ის სპეციფიკური სუნი მეცა. როდესაც იმ მიწურში შევედით, შესასვლელთან ახალდაკლული საქონლის ნარჩენები შევნიშნეთ, უეჭველი იყო, იქ იყვნენ. ამასობაში ამერიკელმა სამხედროებმა ელვისებური შეტევა დაიწყეს და ათამდე თალიბი მხოლოდ რამდენიმე გასროლით აიყვანეს. ორმა გასხლტომა მოახერხა, მაგრამ რადგან იქაურობას სნაიპერი ამუშავებდა და ერთი კარშივე „დარჩა“, მეორე, ეტყობა, წამებში მიხვდა, რომ ველარ გაალწევდა და ეზოშივე აიფეთქა თავი. როგორც ჩანს, წინა მიწურთან ახლოს იყო და აფეთქების ძალამ მისი კედელი ჩამოანგრია. იმ დღეს ორი პატარა ავღანელი დაიღუპა... სიკვდილი მათთვის სხვა სამყაროში გადასვლას ნიშნავს. იმ დასახლებაში თალიბები ხშირად მიდიან, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება მის სრულად გაკონტროლებას ვერ ახერხებს. ამიტომაც ასეთი თავდასხმები იქ თავშეფარებულ თალიბებზე არც ისე იშვიათია. თუმცა, მაინც არ ეშვებიან, რადგან რელიეფურად აწყობთ და კიდევ სხვა მიზეზებია, რომელზეც ასევე, ვერ ვისაუბრებ.

— **გინახავთ ავღანელი, რომელმაც ოჯახის წევრი დაკარგა?**

— დიახ.... ჩვენ ყველაფერი წინასწარ გათვლილ დროში უნდა დავასრულოთ, ამიტომაც მათ რეაქციას ვერ დავაკვირდებით, როგორ განიცდიან ისინი, მაგრამ ვიცი, როგორ ხვდებიან ჩვეულებრივი ავღანელები სიკვდილს. ეს მათთვის ტრაგედიაა, მაგრამ სიამაყე უშლით ხელს, იტირონ. ამიტომ ცხედრების გარშემო წრეს შეკრავენ და თავიანთ ენაზე, მოგუდული ხმით ტირიან... საშინელი სანახავია. თალიბების შიშით, ხშირად რიგით ავღანელებს ოჯახის წევრების განირვაც კი უწევთ.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ თუ მისი ოჯახის წევრი რომელიმე უწყებაში მუშაობს, ეს „თალიბისთვის“ სამშობლოს ღალატის ტოლფასია და მხოლოდ იმ ერთს კი არა, მთელ ოჯახს ებრძვის. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პედაგოგი ქალისთვის ყელი გამოუჭრიათ, იმიტომ, რომ ის ამერიკელების სამსახურშია. მათთვის ყველა უცხოელი ამერიკელია და ყველას განადგურებას ცდილობენ. თუ მოიხელთებენ, შეუძლიათ სკოლას, სადაც ბავშვები სწავლობენ, ცეცხლი გაუხსნან, რადგან იქ ახლომახლო ავღანური პოლიცია დგას. ყველაზე მეტად პოლიციასა და ჯარს ებრძვიან. ამიტომ ყველაზე დიდი რისკი ამ უწყებაში მომუშავე ავღანელებს აქვთ.

— **ამ უწყებაში მომუშავე ავღანელს შეხვედრიხართ?**

— კი, როგორ არა, მაგრამ სამსახურის განაწესი არ გვაძლევს მათთან ახლო კონტაქტის შესვლის უფლებას. მათგან ვერავის ენდობი, რადგან არავინ იცის, რა გადაუტრიალდება ტვინში და რას მოიმოქმედებს. ამერიკელები თავად ამერიკაში აღზრდილ ავღანელსაც არ ენდობიან ბოლომდე, რადგან იციან, რომ შესაძლოა, თალიბის საცეცმა იქამდეც მიაღწია და „დაამუშავა“.



დამუშავების აპრობირებული თალიბური მეთოდი უახლოესი ადამიანის მძევლად აყვანაა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სწორედ ამის გამო აუფეთქებია ჩვეულებრივ ავღანელს თავი. ამით ახლობლის სიცოცხლე გადაარჩინა... ამის გაკეთება ყველას არ შეუძლია, მაგრამ ისინი ხომ ფანატიკოსები არიან.

ახლა ადგილობრივების დამოკიდებულებაც შეიცვალა, რადგან ამერიკელებმა მართლაც უამრავი რამ გააკეთეს — აფეთქებების პარალელურად მშენებლობები მიდის, ანუ თალიბები მხოლოდ იმ ადგილებში არიან მომძლავრებული, სადაც ცივილიზაციამ ვერ შეაღწია. მოსახლეობა ისევ ყაყაჩოს მოყვანითა და მისი გაყიდვით ირჩენს თავს. ისე კი ბევრს არ სჯერა, რომ იქ ოდესმე სიმშვიდე იქნება და განვითარების დონით სხვა ქვეყნებს გაუტოლდება. არც მე მჯერა, რადგან ასე მგონია, ამერიკელებს უჭირავთ სადავეები, თორემ, თუ მიუშვებენ, მაშინვე იქ დაბრუნდებიან, საიდანაც წლების წინ ამერიკამ ამოიყვანა.

ახლა ყველგან ბუნკერებია და დაბომბვის დროს თუ თავს შეაფარებ, მეტ-ნაკლებად დაცული იქნები ქუჩაში თალიბთა თავდასხმის დროს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისინი სახელმწიფო დაწესებულებებს ან დასახლებებს ესხმიან თავს.

— **რა ხდება პატრულირების დროს?**

— როგორც გითხარით, ახლა გაცილებით უსაფრთხო ადგილას გადაგვიყვანეს, მაგრამ მოდუნების უფლებას მაინც არ ვაძლევთ თავს. ბიჭები ვხუმრობთ, რომ თალიბი ნაღმის ჩადებას რამდენიმე წუთს უნდება და ყველა ნაღმს მტრის განადგურებას „აბარებს". ამიტომ სიფრთხილე ყოველთვის საჭიროა. ისე კი პატრულირება ყველაზე იოლი საქმეა. ყველაზე საშიშია ბაზაში შემოვარდნილი თალიბები. იციან, რომ აუცილებლად დაიხოცებიან და ამიტომაც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მტერი გააყოლონ ხელს. ეს ის ხალხია, რომელიც ბაზაში თუ არ შემოგვივარდება, სხვაგან აიფეთქებს თავს და ალაჰთან ასე მივა. ამიტომ ურჩევნიათ, ხელდამშვენებული წავიდნენ „იქით". ძნელია მათ ფსიქიკას ჩასწვდე. ოპიუმის გავლენის ქვეშ მყოფთ, სიცოცხლე ჩირადაც არ ულირთ.

— **ვიცი, რომ როდესაც ის შვიდი ბიჭი დაიღუპა, ბაზაში იყავით...**

— არა, პატრულირებაზე ვიყავით... ხმა გავიგონეთ, მაგრამ იქ თუ შემოცვივდებოდნენ, არ გვეგონა. არ მინდა ამაზე საუბარი... ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ.

— **რას აკეთებთ თავისუფალ დროს?**

— ვერთობით, როგორც შეგვიძლია. სიკვდილზე ნამდვილად არ ვფიქრობთ. ამას წინათ ქაბულში ქარიშხალი იყო. მისი ცქერითაც კი ვერთობით, რადგან რასაც რეალობა გვათავაზობს, იმას ვილებთ. ამას წინათ აქლემები ვნახეთ, პატარა გოგო-ბიჭს მოჰყავდა. და-ძმანი იყვნენ. ინგლისურად კარგად საუბრობდნენ. ძალიან მიყვარს ავღანელი ბავშვები, საოცრად თბილები და კეთილები არიან. ზოგჯერ ვხუმრობ, ქართველ ბავშვებს კი არ ჰგვანან, ვერაფრით რომ ვერ გაახარებ-მეთქი. ერთი კანფეტიც რომ მისცე, თვალები ბედნიერებისგან უციმციმებთ. დაგისხდებიან და გეტიკტებიან, მამას რამდენი ცოლი ჰყავს, სცემს თუ არა, ეწევა თუ არა, ოჯახში რა ხდება, სკოლაში როგორი მასწავლებელი ჰყავს... ყველა მათგანი ლამაზია. ლამაზი, მუქი კანითა და ღია ფერის თვალებით. ზოგჯერ ისე ჩავიხუტებ ხოლმე იმ მოთხუპნილ ბავშვებს, რომ ჩემი მეგობრები მეტყვიან, ავღანელ ბავშვებს თვითნაკეთი ბომბებიც რომ უკეთიათ, არ დაგავიწყდესო.

**ლალი პაპასკირი**



ავღანელი ბავშვების ხელში სათამაშო იარაღს არცთუ იშვიათად ნამდვილი იარაღი ჩაენაცვლება



მრავალი სიძნელის მიუხედავად ქართული ბატალიონები ავღანეთის მისიას თავს შესანიშნავად ართმევენ

# ერთი ომის ორგზის ტრაგიკული თვე



**ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთსა და იმავე კონფლიქტში აგვისტომ ორჯერ ითამაშა საბედისწერო როლი: 1992 წლის აგვისტოში, როცა საქართველოს შეიარაღებული ფორმირებები აფხაზეთში შევიდნენ და 1993 წლის აგვისტოში, როდესაც აფხაზეთიდან ქართულ ფორმირებათა გამოყვანა დაიწყო.**

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1992 წლის 14 აგვისტოს ქართული ქვედანაყოფები აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის სადგურების, გვირაბებისა და ხიდების დასაცავად შევიდნენ, რასაც ე. წ. აფხაზური შინაგანი ჯარის პოლკის შეიარაღებული წინააღმდეგობა და მსხვერპლი მოჰყვა.

კონფლიქტი ომში გადაიზარდა და შეიარაღებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზებით დასრულების ქართული მხარის ყოველ მცდელობას მოპირდაპირე მხარე უპირობო მოთხოვნებით პასუხობდა.

ომის პერიოდის ბოლო მოლაპარაკება 1993 წლის 27 ივლისს სოჭში რუსეთის შუამავლობით აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი შენარჩუნების მექანიზმზე შეთანხმებით დასრულდა.

ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელმაც შემდგომ მოვლენებზე უდიდესი გავლენა იქონია და რაც მთავარია, აფხაზურ მხარეს სოხუმის აღებასა და მთლიანად აფხაზეთის დაკავებაში უზარმაზარი სამსახური გაუწია.

შეთანხმებას საქართველოს მხრიდან პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, აფხაზებიდან ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სოკრატ ჯინჯოლია, რუსეთიდან კი საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი აწერდნენ ხელს.

სოჭის შეთანხმებაში გაქრა ჩანაწერი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და თითქმის ყველა პუნქტის სხვადასხვა აზრით წაკითხვა შეიძლება, მაგრამ მთავარი მაინც მე-6 პუნქტი იყო.

ეს პუნქტი კი მოითხოვდა:

კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დამკვირვებელთა დაუყოვნებლივ შემოსვლასა და ცეცხლის შეწყვეტის დღიდან (1993 წლის 28 ივლისის 12 სთ-დან) 10-15 დღეში აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ფორმირებათა გამოყვანას.

იმავე ვადაში კონფლიქტის ზონაში მყოფი შეიარაღებული ფორმირებების, ჯგუფებისა თუ პირების განიარაღებასა და აფხაზეთიდან გასვლას.

ქართული მხარე ქმნიდა შინაგანი ჯარის ქართულ ქვედანაყოფს, რომელიც შემდგომში აფხაზური შინაგანი ჯარის პოლკში გაერთიანდებოდა. აფხაზური ფორმირებები ერთიანდებოდნენ შინაგანი ჯარის პოლკში, რომელიც ყაზარმულ მდგომარეობაში გადავიდოდა და კონფლიქტის სრულმასშტაბიან დარეგულირებამდე შინაგანი ჯარისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს (სატრანსპორტო მაგისტრალებისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა) შეასრულებდა.

სოჭის შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდა ქართველ სამხედროთა ერთი ნაწილი. ქართულ ფორმირებათა გამოყვანას შეეწინააღმდეგა სოხუმის 23-ე ბრიგადის მეთაური გენერალი გენო ადამია. თავდაცვის მინისტრი გენერალი გია ყარყარაშვილი კი აფხაზეთიდან გამოყვანილი ნაწილების დროებით სოფელ რუხთან დისლოცირების საჭიროებას ხედავდა, მაგრამ ქვეყნის უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სამხედროთა შეხედულებები არ გაიზიარა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება მოითხოვა.

იმის გამო, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე რაიონებსა და ოჩამჩირე-ზუგდიდის დამაკავშირებელ სარკინიგზო ხაზს ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებდნენ, ტექნიკის სოხუმიდან გამოსატანად რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდების გამოყენება გახდა საჭირო. თანაც ამ ოპერაციაში რუსმა მეზღვაურებმა რამდენიმე ათეულ ათასი დოლარი მიიღეს.

1993 წლის აგვისტოში აფხაზეთიდან დაიწყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ეროვნული გვარდიის, შინაგანი ჯარისა და სხვა ფორმირებათა ქვედანაყოფების მძიმე ტექნიკასთან ერთად გამოსვლა. დაიშალნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული 23-ე და 24-ე ბრიგადები, აგრეთვე სხვა ქვედანაყოფები. 23-ე ბრიგადის დაახლოებით 4 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაითხოვეს იმ იმედით, რომ 500 კაცი სამსახურს შინაგანი ჯარის სოხუმის მე-2 ბატალიონში გააგრძელებდა. ბრიგადის ჯავშანტექნიკისა და არტილერიის უდიდესი ნაწილი კი ფოთში აღმოჩნდა. დაიშალა ოჩამჩირის 24-ე ბრიგადაც. მართალია, ჯავშანტექნიკა და საარტილერიო დანადგარები ქვედანაყოფთა დისლოკაციის ადგილებში დარჩა, მაგრამ ქვემეხებიდან მოხსნილი სასხლეტები დამიზნების ხელსაწყოებთან ერთად ოჩამჩირეში რუს საზღვაო მესაზღვრეთა მე-6 ბრიგადის შტაბმა ჩაიბარა.

რუსმა და ქართველმა გამნაღმველებმა გუმისთის ხიდებიდან ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები მოხსნეს და გზა გახსნეს. პრაქტიკულად განიარაღებულ-დაშლილი ქართული ფორმირებების საპირისპიროდ მოწინააღმდეგემ სრულად შეინარჩუნა თავისი შეიარაღება. შეინარჩუნეს სოხუმის თავზე გაბატონებული სიმაღლეები, სადაც საარტილერიო პოზიციები ჰქონდათ მოწყობილი.

თვალის ასახვევად მძიმე ტექნიკა გუმისთის ხიდიდან ახალ ათონში გადაიტანეს, ქვემეხების სასხლეტები შესანახად რუსულ სამხედრო ნაწილებს ჩააბარეს, მოხდა ძალთა გადაადგილება-გადაჯგუფება, შეივსეს საბრძოლო მასალების მარაგი.

არძინბას რეჟიმის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, რუსეთის მოქალაქის, გენერალ-მაიორ სულთან სოსნალიევისა და გენშტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ სერგეი დბარის ხელმძღვანელობით რუსეთის არმიის ოფიცერთა ჯგუფმა სოხუმის აღების გეგმის ბოლო დეტალები დააზუსტა. სოჭის შეთანხმების მე-2 პუნქტით სამმხრივი ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტროლო კომისია ჩამოყალიბდა, რომელსაც ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმზე კონტროლი დაევალა.

იმავე დოკუმენტის მე-7 პუნქტი კი აფხაზეთში მყოფი რუსული დაჯგუფებისგან მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვას მოითხოვდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვს საკუთარი იმპერიული გეგმები ამოძრავებდა და არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ამიტომაც ყველაფერი მოიმოქმედა ქართული მხარის მხრიდან შეთანხმების პირობათა დაცვაზე და იმავდროულად, აფხაზებს მრავალმხრივი დახმარება გაუწია დასახული მიზნის შესასრულებლად.

**თემურ ჩაჩანიძე**




*სოჭის შეთანხმება სოხუმიდან ქართული მძიმე ტექნიკის გატანას მოითხოვდა, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სადესანტო ხომალდები დაიქირავა და რუს მეზღვაურებს რამდენიმე ათეული ათასი დოლარიც გადაუხადა*

# სახელმწიფო ვეტერანებზე ზრუნვას იწყებს



გელა დოლიძე

საქართველოში სულ 70 ათასამდე ომის ვეტერანი გვყავს და მათი რიცხვი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ყოველდღიურად იზრდება. კონკრეტულად, ამ დროისთვის ბოლო ომში მონაწილე ვეტერანთა რაოდენობა 6 ათასს აჭარბებს... ყველას თუ არა, ვეტერანთა უმეტესობას სხვადასხვა სიმძიმისა და ხასიათის პრობლემები აქვს, რაც როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული. თუმცა, ის, რომ აქამდე მათზე სრულფასოვნად არც ერთი ხელისუფლება არ ზრუნავდა, უდავოა. შესაბამისი უწყებები თავს არიდებდნენ იმ ადამიანების პრობლემებს, ვინც თავის დროზე, ქვეყნის გარე თუ შიდა ბრძოლებს ჯანმრთელობა შესწირა. ასეთმა დამოკიდებულებამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა.

დარეგისტრირებული ვეტერანებიდან 38 ათასამდე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლია, დანარჩენი კი საბჭოთა კავშირის დროს წარმოებული ტერიტორიული ომების, მათ შორის, მეორე მსოფლიო ომის, ავღანეთის, კორეის, ვიეტნამის, უნგრეთის ომის მონაწილეა.

როგორც ვეტერანთა საქმეების თავმჯდომარე **გელა დოლიძე** „არსენალთან“ საუბარში აცხადებს, დადგა დრო, როდესაც მათზე ზრუნვას ხელისუფლება იწყებს:

— სხვა უწყებების არ იყოს, ჩვენც მძიმე მემკვიდრეობა გვერგო. წლების განმავლობაში ხელისუფლება მათზე მხოლოდ ზედაპირულად ზრუნავდა, ან საერთოდ არ ინტერესდებოდა. ამიტომაც თქვა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, ამ ადამიანებს ღირსება უნდა აღვუდგინოთო.

90-იან წლებში, როცა ვეტერანთა დეპარტამენტი დაფუძნდა, ეს უწყება 124 თანამშრომლისგან შედგებოდა, ყველა რეგიონს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, მაგრამ 2006 წლის რეორგანიზაციის შემდგომ 90 კაცი შემორჩა. 2012 წელს კი რეგიონული წარმომადგენლობები მთლიანად გაუქმდა, ხოლო ცენტრალური აპარატი განახევრდა და მხოლოდ 26 კაცი დარჩა.

მთელ საქართველოში მხოლოდ ვეტერანებისთვის მოქმედებს „ერთი ფანჯრის პრინციპი“, ანუ თუ ვინმეს რამე უნდა, ნებისმიერი რაიონიდან თბილისში მოუწევს ჩამოსვლა, რის გამოც რაიონში მცხოვრებთ პრობლემები ექმნებათ.

მაგალითად, სამეგრელოში ვეტერანები არ აღურიცხავთ. ახლა კი მაგიდაზე მიდევს 130 კაცის ხელმოწერილი განცხადება, სადაც ისინი ვეტერანის სტატუსს ითხოვენ და ამბობენ, რომ კომისიის რეგიონში ჩასვლას მოითხოვენ, რადგან თავად თბილისში ჩამოსვლის სახსრები არა აქვთ. ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვართ, ვუპასუხოთ, რომ გასვლითი ღონისძიების ფინანსები არა გვაქვს... ასე რომ, ვეტერანთა დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობა აუცილებელია, თუნდაც ჩვენი ფუნქციებიდან გამომდინარე, — ჩვენი ფუნქციაა, განსაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკა ვეტერანთა მიმართ და განახორციელოს.

**— რა კეთდება ვეტერანთა საქმეების გადახედვისა და გაუმჯობესებისთვის?**

ამაზე უკვე მუშაობა დაწყებულია. გასული წლის ბოლოს შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძე, შსს მინისტრის მოადგილე ალექსი ბატიაშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი თაბუაშვილი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბურჭულაძე და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძე. კომისიის თავმჯდომარეა, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგიენკო. აღნიშნული კომისიის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ვეტერანთა დეპარტამენტი დამოუკიდებელი სტრუქტურა გახდებოდა. ამჟამად ეს უწყება თავდაცვის სამინისტროს კონკრეტულად შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დაქვემდებარებაშია. არადა, შექმნისას ვეტერანთა დეპარტამენტი სახელმწიფო დამოუკიდებელი სტრუქტურის სახით არსებობდა. ახლა ჩვენ გაერთიანებული შტაბისთვის ტვირთი ვართ, ისინი კი ჩვენთვის — ბორკილები.

რაც შეეხება სხვა სიახლეებს, კომისიაზე გადაწყდა, რომ ვეტერანებს განსაკუთრებული სადაზღვევო პაკეტი ექნებათ. რაც გულისხმობს საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, ვეტერანების 100%-იან სამედიცინო მომსახურებას.

საგანგებოდ ვეტერანებისთვის შექმნილი პაკეტის ძალაში შესვლა პირველი ივლისიდან იგეგმებოდა, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო შეფერხდა და 15 ივლისიდან ამოქმედდა. მომსახურება ყველა იმ ვეტერანზე ვრცელდება, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, რა თქმა უნდა, როგორც რეგიონებში, ისე თბილისში. ანუ მათ უნდა მიმართონ ოჯახის ან უბნის ექიმს და მისი მიმართვით შეუძლიათ იმკურნალონ.

**— რა სახის მკურნალობა შედის ამ პაკეტში?**

— გადაუდებელი მკურნალობა უფასოა, გეგმური კი წელიწადში 15 ათასი ლარით ფინანსდება. მთელი წლის განმავლობაში ამ თანხის ფარგლებში მომსახურების რაოდენობა შეზღუდული არ არის, ანუ წელიწად-

ში რამდენჯერაც დასჭირდებათ, იმდენჯერ შეუძლიათ ისარგებლონ.

იმ ვეტერანებზე, რომელთაც ონკოლოგიური დაავადებები აწუხებთ, დამატებით 12 ათასი ლარი იქნება გამოყოფილი.

**— რამდენად კეთილსინდისიერი იქნება მიდგომა პაციენტების მიმართ?**

— ამ საკითხს ჯანდაცვის სამინისტრო მკაცრად გააკონტროლებს. გარდა ამისა, ვეტერანებს რაიმე დარღვევის შემთხვევაში საშუალება ექნებათ, დაგვიკავშირდნენ და ჩვენ გვაქვს აღკვეთის პრევენციული საშუალებები, რადგან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჯანდაცვის სამინისტროსთან.

**— ბატონო გელა, რა არ ფინანსდება?**

— არ ფინანსდება უცხოეთში მკურნალობა, მას ჯანდაცვის სამინისტრო პროგრამულად ახორციელებს. ასევე არ ფინანსდება, ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები, ტომოგრაფია, დოპლეროსკოპია... ექიმთან კონსულტაციები უფასოა და მედიკამენტების 50%-ს სახელმწიფო იხდის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვეტერანებისთვის ასეთი პაკეტი საქართველოში პირველად შემუშავდა, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის...

**— ვეტერანებისთვის ძალიან მწვავედ დგას დასაქმების საკითხიც. ამ მიმართულებით თუ აპირებთ მუშაობას?**

— დიახ, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად ვეტერანთა დეპარტამენტში უკვე ამუშავდა დასაქმების სამსახური. ასეთი უწყება იქ არსებობდა, მაგრამ მხოლოდ ფიქციურად. ახლა კი ვეტერანების დასაქმება წარმატებით მიმდინარეობს და ეს ეხება ყველა იმ ვეტერანს, ვისაც სურვილი აქვს, იმუშაოს. კერძოდ, ბევრი მათგანი თავდაცვის სამინისტროში, მოქმედ ჯარში კონტრაქტორი გახდა. ნაწილიც სხვადასხვა სტრუქტურაში, ძირითადად, საინჟინრო დანაყოფებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე დასაქმდა. ისინი იქ ჩვენი რეკომენდაციით მოხვდნენ და უკმაყოფილო ნამდვილად არ არიან.

**— ალბათ, ძალიან ბევრი მსურველი იქნება. მათი რაოდენობა განსაზღვრულია?**

— არა, ვინც სურვილი გამოთქვა, ყველა დავასაქმეთ. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი განცხადებაა შემოსული, მაგრამ მშენებლობებზე მუშაობაზე ბევრმა უარი თქვა. ჯერჯერობით, თბილისსა და რუსთავში მცხოვრებ ვეტერანებთან ვთანამშრომლობთ. რეგიონებში ჯერ ვერ გავედით, რადგან როგორც გითხარით, იქ ადგილობრივი უწყებები არ გვყავს, მაგრამ როგორც კი ეს აღდგება, იქაურებსაც მივხედავთ... რამდენიმე სხვადასხვა პროფილის კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა მათ ვეტერანები დაასაქმონ. ასევე, დაგეგმილი გვაქვს, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, მათი სოფლის მეურნეობაში დასაქმება.

**— ჯანდაცვის დაზღვევის გარდა, კიდევ რა შეღავათებს უნდა ელოდონ ვეტერანები?**

— ამჟამად 22-ლარიან დახმარებას იღებენ, ასევე, 90-იანი წლების შემდეგ, ისინი საშემოსავლო გადასახადით 3 ათას ლარამდე შემოსავალზე არ იბეგრებიან. სამთავრობო კომისიის მიერ შეტანილი ცვლილების თანახმად, 3-ის ნაცვლად, 9 ათას ლარამდე არ დაიბეგრებიან. ეს ცვლილება ფინანსთა სამინისტრომ უნდა განიხილოს, რადგან საბიუჯეტო ცვლილება მისი პრეროგატივაა და ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

რაც შეეხება იმ 22-ლარიან დახმარებას, 2009 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით ამ თანხის გაცემა შეჩერებულია. ანუ ისინი, ვინც იღებდნენ, მომავალშიც აიღებენ, მაგრამ ვინც ახლა დარეგისტრირდა, ველარ აიღებს.

იმ შემთხვევაში, თუკი ვეტერანს თანხის მიცემა შეუწყვიტეს (ეს ხდება მაშინ, თუ ზედიზედ სამი თვის განმავლობაში არ აიღებს ამ თანხას ან ქვეყნიდან გასულია, ან გარდაცვლილია და სხვ.), მას უნდა განეცხადებინა, რომ ცოცხალია, ქვეყანაში იმყოფება და წინა თვეებსაც აუნაზღაურებენ. 4 ნოემბრის დადგენილების მიხედვით, ეს აღდგენა არ ხდება. ამ თანხას ვერ მიიღებენ ის პირებიც,



ვეტერანების პატივისცემა მომავალმა სამხედრომ ბავშვობიდან უნდა შეისისხლხორცოს

29/42
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




*ძველი ხელისუფლება ყოფილი სამხედროების პრობლემებს პოლიციური მეთოდებით ებრძოდა*

ვინც ახლა იღებს ვეტერანის სტატუსს და ისინი, ვინც სახელმწიფო სამსახურში იწყებენ მუშაობას.

— **ანუ 2009 წლის 4 ნოემბრის შემდგომ დარეგისტრირებული ვეტერანი ამ ფულად დახმარებას ვერ აიღებს?**

— დიახ, უსამართლოა, მაგრამ ასეა. შეიძლება ორი ადამიანი ერთმანეთის გვერდიგვერდ იბრძოდა, მაგრამ ერთი ამ სუბსიდიას მიიღებს, მეორე კი არა. კომისია, რომლის წევრი მეც ვარ, ამ საკითხის მოგვარების გზებს ეძებს და იმედია, 2014 წლიდან მოგვარდება და 22-ლარიან დახმარებას ყველა ვეტერანი მიიღებს.

— **არაერთი ვეტერანისგან გამიგია, რომ უკმაყოფილოა ვეტერანთა ჰოსპიტლის მომსახურებით...**

— არ არის ასე. მართლია, ის შენობა ძალიან ცუდ დღეშია და საფუძვლიან გარემონტებას საჭიროებს, ან შესაძლოა ახალი აშენდეს, მაგრამ მისი დაშლა არ შეიძლება, იქ კვალიფიციური ექიმები მუშაობენ. ამიტომ შეიძლება ისე გაკეთდეს, რომ ვეტერანთა ის დახმარება, რომლებიც სადაზღვევო პაკეტში არ არის შეტანილი, იმ ჰოსპიტალში გაუწიონ.

— **2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეებს ვეტერანის სტატუსი მიენიჭებათ?**

— ეს პროცესი მიმდინარეობს და მათი რაოდენობა 6 ათასამდეა. აქედან 3800 შსს-ს გასამხედროებული დანაყოფებიდანაა, დანარჩენი კი თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეა. რეგისტრაცია უკვე დაწყებულია და მათი რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს.

— **ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილე სამხედროებისთვის თუ იგეგმება ვეტერანის სტატუსის მინიჭება?**

— ამ საკითხის განხილვა საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს და რამდენადაც ვიცი, თავდაცვის სამინისტრო ამის მომხრეა. პირველად ის სამხედროები გაივლიან რეგისტრაციას, რომლებიც მძიმედ დაშავდნენ და ინვალიდის სტატუსი მიენიჭათ. ეს პროცესი წლის ბოლოს დასრულდება. დაიწყება ასევე ავღანეთის ომის მონაწილეთა რეგისტრაციაც. თუ საბჭოთა კავშირის დროს ავღანეთში ომის მონაწილე ვეტერანები სარგებლობენ შეღავათებით, ამათ რა დააშავეს?

ჩვენ გვაქვს საგანმანათლებლო პროგრამაც ვეტერანთა შვილებისთვის. დეპარტამენტში არსებულ დარბაზში გაიხსნება „საკვირაო სკოლა", სადაც ენთუზიასტი პედაგოგები მათ შვილებს ზოგად განათლებას მისცემენ. 2014 წლიდან დაგეგმილი გვაქვს ბავშვები უცხო ენაში, მათემატიკასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაშიც მოვამზადოთ. მომავალი წლიდან, ვეტერანთა შვილები გათავისუფლდებიან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურისგან.

**ლალი პაპასკირი**



*ვეტერანები დაღუპულ თანამებრძოლებს არ ივიწყებენ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზერვისტებს მორიგი რეფორმა ელოდებათ...



საქართველოს ხელისუფლება რეზერვის გეგმაში კორექტივების შეტანას კიდევ ერთხელ აპირებს. როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა 15 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, ცვლილების საფუძველი იქნება მაისში დამტკიცებული თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, რომელიც მინისტრის ხედვასთან თანხვედრაში მყოფი შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს განვითარების გეგმას წარმოადგენს.

„ამ გეგმაში სპეციალური თავი რეზერვს ეთმობა. წარმოდგენილი ვარიანტი სამი ტიპის რეზერვით არის განსაზღვრული. ეს არის: ოპერატიული რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი და სამოქალაქო თავდაცვის რეზერვი. ამ გეგმაში მე ვაპირებ სერიოზული კორექტივები შევიტანო“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ. მისივე თქმით, ყველა ნაბიჯი და ყველა გეგმა ეფუძნება ბიუჯეტს.

„მე ვვარაუდობ, რომ 2 კვირაში საუბარი გვექნება ეროვნულ გვარდიასთან, გაერთიანებულ შტაბთან და უკვე ჩვენ მიერ კორექტირებული რეზერვის მომზადების სამობილიზაციო გეგმა ეტაპობრივად დაიწყებს ამოქმედებას“, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

ის, რომ ალასანიას უწყება რეზერვის კონცეფციას ამზადებს, ახალი ინფორმაცია არაა. ჯერ კიდევ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის განხილვისას გასული წლის დეკემბერში არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე ითქვა, რომ მას შემდეგ, რაც ფინანსური გათვლები გაკეთდებოდა, სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციებს განსახილველად რეზერვის ახალ კონცეფციას წარმოუდგენდა.

როცა თავდაცვის მინისტრი აქცენტს საფინანსო გათვლებზე აკეთებს, აუცილებლად გასათვალისწინებელია ეროვნულ გვარდიაში სამეთაურო რგოლებისთვის განათლებული ოფიცრების ოდენობა, რადგან სარეზერვო სისტემაში წვრთნებისა და მართვისთვის აუცილებელია კვალიფიციური კადრები. ამის დეფიციტზე ჯერ კიდევ 2009 წელს იყო საუბარი იმჟამინდელი გვარდიის ხედვაში, რამდენადაც ვითარება ამ მხრივ 2009 წლიდან დღემდე არსებითად არ შეცვლილა. ასეთი მიდგომა კი მოითხოვს შესაბამისი რაოდენობის სწორ გათვლებს.

მნიშვნელოვანია ასევე რეგულარული არმიისთვის რეზერვისტთა ისეთი სპეციალობებით მომზადება, რომელიც დაკავშირებულია სატანკო, საინჟინრო, საარტილერიო და ლოჯისტიკურ ქვედანაყოფებში სამსახურთან.


სარეზერვო სამსახურს მორიგი რეფორმა მოელის

დასაზუსტებელია სამობილიზაციო სისტემისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ურთიერთქმედება რეზერვის საკითხში, რამდენადაც ადგილობრივი თვითმმართველობაა პასუხისმგებელი გაწვევასა და მობილიზაციაზე, მით უფრო, დაწყებული თვითმმართველობის რეფორმის ფონზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანსაღი სარეზერვო სისტემის შექმნა მაშინ, როცა თავდაცვის სამინისტრო 2017 წლიდან უარს ამბობს სავალდებულო სამსახურში წვევამდელების მიღებაზე და პროფესიონალურ არმიის მოდელზე სრულად გადასვლას გეგმავს.

რეზერვში მსახური ამ კუთხით ერთადერთი შესაძლებლობაა, სადაც მოქალაქეებს ნებაყოფლობითობის თუ სავალდებულობითობის პრინციპით შეეძლებათ რაღაც ვადით სამხედრო გამოცდილების შეძენა და ურთიერთობა პროფესიულ არმიასთან.

იქიდან გამომდინარე, რომ თავდაცვის უწყება არ არის ჩამოყალიბებული, რა ტიპის რეზერვი უნდა ჰყავდეს ქვეყანას, გარდა რიგი განცხადებებისა, სამოქალაქო სექტორში მყოფ ორგანიზაციებს არ გვინახავს ქაღალდზე გაწერილი კონცეფცია. არადა, ამ სექტორში დაგროვილი ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონცეფციის პროექტის განხილვისას, რათა ქვეყანამ დაასრულოს ექსპერიმენტები რეზერვის საკითხში და ერთხელ და სამუდამოდ დაიწყოს რეზერვისტების მომზადების პროგრამა კარგად გააზრებული და გრძელვადიანი გეგმის მიხედვით.

თუმცა, იმისთვის, რომ ახალი კონცეფცია კარგად იქნეს შემუშავებული, მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ფინანსებია. საქართველოს წინა ხელისუფლებამ რეზერვის კომპონენტი ექსპერიმენტების დაუსრულებელ სერიად აქცია და შეცდომებიც და გამოცდილებაც უხვადაა დაგროვილი. ვფიქრობ, ახალი კონცეფციის შემუშავება დაშვებული შეცდომებისა და არსებული შესაძლებლობების ანალიზზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

**თეონა აქუბარდია**
**თავდაცვისა და უსაფრთხოების**
**სამოქალაქო საბჭოს გამგეობის წევრი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგაზაფხულო გაწვევა

დასრულდა საგაზაფხულო გაწვევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და 2600-მდე წვევამდელმა სამხედრო ფორმა მოირგო.

რა შემთხვევაში თავისუფლდება წვევამდელი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, რა პრობლემებს აწყდება გამწვევი კომისია, როდიდან ამოქმედდება რეზერვისტთა სისტემა?

გაწვევასთან დაკავშირებულ ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახურის უფროსი გოჩა ხარშილაძე:



გოჩა ხარშილაძე

— **ბატონო გოჩა, დღეისთვის რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს ახალგაზრდამ იმისთვის, რომ სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად მიიჩნიოთ?**

— სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად ან ვარგისად უმნიშვნელო შეზღუდვით მიიჩნევა პირი სამხედრო-საექიმო ექსპერტიზის ჩატარების წესის შესაბამისად. რაც შეეხება კონკრეტულ კრიტერიუმებს, ის საკმაოდ ფართო ჩამონათვალს მოიცავს. გაწვევა ეხება 18-დან 27 წლის ასაკამდე პირებს, რომლებსაც კანონით გადავადება და გათავისუფლება არ შეეხება. ეს ახალგაზრდები სამედიცინო შემოწმებას გადიან ჩვენთან, შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში. აქ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენისთვის რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღება — ვარგისია, ანუ სრულიად ჯანმრთელი, ან უმნიშვნელო შეზღუდვით, როცა შესაძლოა პატარა პრობლემა ჰქონდეს. ასეთი ახალგაზრდები ჯარში მიდიან.

მომდევნო გადაწყვეტილებებია შეზღუდულად ვარგისი, როცა ახალგაზრდა ჯარში არ მიდის და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გადავადების უფლება აქვს. ეს კრიტერიუმები ბოლო 10 წლის განმავლობაში არ შეცვლილა.

— **რამდენად ხშირია სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდების მცდელობა?**

— სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ძალიან იშვიათია.

იმისთვის, რომ პირმა სამხედრო სამსახური გადაავადოს, 2 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს. გადავადების ვადა კი 18 თვეს შეადგენს. ასე რომ, თუ წვევამდელს ძალიან არ სჭირდება ჯარიდან თავის დაღწევა, ურჩევნია, სავალდებულო სამხედრო სამსახური პირნათლად მოიხადოს.

— **გამოძახების შემთხვევაში, რამდენ ხანში უნდა გამოცხადდეს წვევამდელი შესაბამის სამსახურში და გამოუცხადებლობისას რა სახის სასჯელია?**

— გამოძახებისას პირი უწყებაში მითითებულ ვადაში უნდა გამოცხადდეს თვითმართველი ერთეულის შესაბამის სამსახურში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ინფორმაცია სამართალდარღვევის შესახებ გადაეცემა სასამართლოს. სასამართლო იმსჯელებს და თუ პირს საპატიო მიზეზი არ აღმოაჩნდა, მას კანონით ათასლარიან ჯარიმას დააკისრებენ ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღით შეუფარდებენ. სასჯელის მოხდის ან ჯარიმის გადახდის შემდეგ, პირი ჯარში მაინც მიგვყავს.

— **წვევამდელები ყველაზე ხშირად რა დაავადებებს უჩივიან?**

— ყველაზე ხშირია თერაპიული, ტრავმატოლოგიური და ფსიქიატრიული დაავადებები. რაც შეეხება დასაშვებ დაავადებებს, დაავადებები კი არა, მათი სიმძიმეა გასათვალისწინებელი. არსებობს დაავადებების მსუბუქი ფორმები, რომლებიც დასაშვებია სამხედრო სამსახურისთვის. მაგალითად, ჯარს ექვემდებარება პირველი და მეორე ხარისხის ბრტყელტერფიანობა. ასევე თვალზე არსებობს კრიტერიუმები. ოღონდ, ამ შემთხვევაშიც დატვირთვა უნდა იყოს მსუბუქი, ანუ შეიძლება ეს წვევამდელი გამოიყენონ ლოჯისტიკაში, ან დამხმარე ქვედანაყოფებში.

— **თქვენი უწყება ყველაზე ხშირად რა პრობლემების წინაშე დგას ხოლმე?**

— სამინისტროს ეფექტური საქმიანობიდან გამომდინარე, პრობლემები მინიმალურია და წყდება მიმდინარე რეჟიმში დაუყოვნებლივ.

— **რამდენად დატვირთულია გამწვევი კომისიის მუშაობა სამედიცინო შემოწმების დროს?**

— გაწვევის დღეებში საშუალოდ დღის განმავლობაში 80-დან 100 წვევამდელს ვიღებთ. ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობას ათი ექიმი ამოწმებს და პროცედურები 11 სთ-დან 19 სთ-მდე გრძელდება. აქ ტარდება როგორც ლაბორატორიული, ასევე რენტგენული კვლევა.

— **სამედიცინო კვლევა წვევამდელებისთვის უფასოა?**

— დიახ, ყველა ტიპის კვლევას ჯანდაცვის ბიუჯეტი აფინანსებს. ზოგჯერ არის შემთხვევა, რომ პირს დამატებით კვლევა ესაჭიროება. ასეთ შემთხვევაში წვევამდელს სხვა სამედიცინო დაწესებულებაში ვგზავნით. თუმცა ესეც სახელმწიფოს ხარჯით ხდება.

— **საერთო ფონის მიხედვით, რისი თქმა შეგიძლიათ, რამდენად ჯანმრთელი ახალგაზრდები გვყავს?**

— სახარბიელო სურათი ნამდვილად არა გვაქვს. თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ახლა 1990-1994 წლებში დაბადებულების გაწვევაა. ქვეყნისთვის ის მძიმე სოციალური მდგომარეობით გამოხატული პერიოდი იყო და შობადობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი ახასიათებდა.

— **რამდენად მართებულად მიიჩნევთ, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებას და მთლიანად პროფესიულ არმიაზე გადასვლის ინიციატივას?**

— ეს ინიციატივა მისალებია იმიტომ, რომ კონტრაქტით დასაქმებული სამხედრო გაცილებით მომზადებული და მოტივირებულია, ვიდრე სავალდებულო სამსახურში მყოფი. თუ თავდაცვის სამინისტროს უნდა, რომ ჯარისკაცის ხარისხობრივი მაჩვენებელი მაღალი იყოს, საკონტრაქტო არმიაზე გადასვლა სწორი გადაწყვეტილებაა. თუმცა არის სხვა პრობლემაც, — თავდაცვის სამინისტროს გარდა ჩვენ გაწვევას ვახორციელებთ შინაგან საქმეთა და ასევე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროსთვის. საკითხის გადასაწყვეტად ამ უწყებათა პოზიცია ძალზე მნიშვნელოვანია. ვინაიდან ეს უწყებები წლის განმავლობაში 4-დან 5 ათასამდე წვევამდელს მოითხოვენ.

წელს, მაგალითად, საგაზაფხულო გაწვევაზე თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა 600 კაცი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს 1300 და სასჯელაღსრულებას კი 700 კაცი სჭირდებოდა.

— **როგორია გაწვევის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი?**

— საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულები ახორციელებენ აღრიცხვის, სამხედრო სავალდებულო და სარეზერვო სამსახურში გამოძახებასა და შემდგომ გაწვევას. შესაბამისად, მათი როლი გაწვევის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია.



განწევის პროცესში კომისია წვევამდელთა ფიზიკურ მონაცემებს ადგენს

— **როდის დაიწყება რეზერვში გაწვევა და რამდენი კაცით განისაზღვრება გასაწვევ პირთა რაოდენობა?**

— ჩვენ კოორდინაციას ვუწევთ როგორც სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ასევე სარეზერვო სამსახურში გასაწვევ პირებს. საქართველოს კანონმდებლობით რეზერვში გაწვევის საკითხი წყდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ხოლო გამოძახება ევალება თვითმმართველ ერთეულს. ჩვენ ინფორმაციას გაწვევის შესახებ ძალიან შემჭიდროებულ ვადაში ვიღებთ. ამ ეტაპზე მსგავსი ინფორმაცია ჯერ არ მიგვილია.

**ხათუნა ბახტურიძე**



მიმდინარეობს წვევამდელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვნებათაღელვა ეროვნული უშიშროების საბჭოს გამო



საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნაჩქარევად და მოუმზადებლად მოწვეული ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომების ირგვლივ განვითარებული მოვლენები ადასტურებენ, რომ ბევრ პოლიტიკოსს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ფუნქციებსა თუ უფლება-მოვალეობებზე სწორი წარმოდგენა არა აქვს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა-არმოწვევის საკამათო თემა საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა მორიგი პიარაქციისა და პოლიტიკური ქულების ჩაწერისთვის გამოიყენა. თუმცა ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგანაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეს უმნიშვნელოვანესი ორგანო უკვე ცხრა წელია მხოლოდ ერთი პირის პიარისთვის მუშაობს.

დღეისთვის მოქმედ, ჯერ კიდევ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში (რომელიც აშკარად ამერიკულ თარგზე მოიჭრა, მაგრამ მისგან განსხვავებით საქართველოს პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა), ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ ცალკე 99-ე მუხლი შევიდა და ეს ორგანო კონსტიტუციური გახდა, ხოლო 1996 წლის 24 იანვარს მიღებული „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ კანონით მკაფიოდ განისაზღვრა მისი უფლება-მოვალეობები.

მკითხველს მოკლედ შევახსენებთ, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზების, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე, აგრეთვე ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში და ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ორგანული კანონის თანახმად უშიშროების საბჭოს მდივანს საკმაოდ დიდი ფუნქციები აქვს, კერძოდ: უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშაობის ორგანიზებას; ამზადებს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს; აკონტროლებს სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებებისა და სხვა აქტების შესრულებას; კოორდინაციას უწევს ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.

და რაც ყველაზე საინტერესოა: დადგენილი წესით ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის ცალკეულ

დავალებას. ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის და იმავდროულად, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის პოსტზე კანდიდატურის შერჩევა იყო და არის. მასზე ძალზე ბევრია დამოკიდებული, რადგანაც მის ხელში ძალზე ბევრი ღია თუ ფარული ბერკეტი იყრის თავს.

## ნუგზარ საჯაიას პერიოდი

ეროვნული უშიშროების საბჭოს და მისი აპარატის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისთვის განვლილი პერიოდი პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: პირველი — 1996-2002 წლები; მეორე — 2002 წლის თებერვლიდან 2004 წლის იანვრამდე და მესამე — 2004 წლის თებერვლიდან დღემდე.

ვის ჩააბარებდა მაშინდელი პრეზიდენტი ამ საპასუხისმგებლო პოსტს და ქვეყნის მართვის მნიშვნელოვან ბერკეტს? ბუნებრივია, მხოლოდ იმ პირს, რომლის ერთგულებაში ეჭვი არ შეეპარებოდა. ამგვარი რთული არჩევნის წინაშე პირველად ედუარდ შევარდნაძე 1995 წლის ბოლოს დადგა. 1996 წლის დასწყისში კი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად და პრეზიდენტის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში ნუგზარ საჯაია დაინიშნა, რომელიც 1972 წლიდან შევარდნაძის ერთ-ერთ უერთგულეს კადრად ითვლებოდა. მან საკმაოდ დიდ სიმაღლეს მიაღწია კომპარტიის იერარქიულ საფეხურებზე და ძლიერ ადმინისტრატორად ჩამოყალიბდა. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში საქართველოში ნუგზარ საჯაიას გარდა ძნელად თუ მოიძებნებოდა პირი, რომელიც შეძლებდა ჯერ კიდევ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ქაოსში მყოფი ქვეყნის ახალშექმნილი სტრუქტურისათვის ისეთი იმპულსების მიცემას, იმგვარი ღია და ფარული ადმინისტრაციული ბერკეტების თავის ხელში მოქცევას და საჭირო მომენტში ამოქმედებას, რაც მან დროის მოკლე პერიოდში შეძლო.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ხელმძღვანელობით „საბჭოს" აპარატი, ფაქტობრივად, კომპარტიის ცკ-ს ყველა ძირითადი განყოფილების (ადმინისტრაციული ორგანოების, საორგანიზაციო, იდეოლოგიური, საერთო, სამრეწველო და სხვ.) ფუნქციებს ასრულებდა და უნდა ითქვას, რომ წარმატებითაც.

ეროვნული უშიშროების საბჭოს პირველი პერიოდი საქართველოს „რუხი კარდინალის" (ეს დეფინიცია მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა და არავითარ შემთხვევაში პირის, მით უმეტეს, გარდაცვლილის შეურაცხყოფა) — ნუგზარ საჯაიას ზეობის პერიოდია.

თუ პირველი ორი წელი ეროვნული უშიშროების საბჭოს ჩამოყალიბების და გაძლიერების წლები იყო, მომდევნო ოთხი წელიწადი უკვე „საბჭოს" აპარატის სიძლიერის საჯარო დემონსტრირების ფაზაა.

საშინაო პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები, საგარეო პოლიტიკის საკითხების ფართო სპექტრი და რაც მთავარია, ქვეყანაში საკადრო პოლიტიკის წარმართვა, აი, ამგვარი იყო პირველ ეტაპზე ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საქმიანობის მოკლე ჩამონათვალი.

1998-2003 წლებში საქართველოს პროკურატურა, თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, კონტროლის პალატა და სხვა სტრუქტურები ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლებით დაკომპლექტდა.

1996-2003 წლებში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ბევრი, საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ღონისძიება ჩატარდა. ამ სტრიქონების ავტორი 1996 წლის თებერვლიდან მუშაობდა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს კურირებდა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობის სპეციფიკა ის იყო (და ახლაც რჩება), რომ „საბჭოს აპარატი" მხოლოდ რეკომენდაციებს, მათ შორის საკადრო საკითხებშიც, წარუდგენს პრეზიდენტს, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ქვეყნის პირველ პირზეა დამოკიდებული.

სამწუხაროდ, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რეკომენდაციების დიდ უმრავლესობას შევარდნაძე არ ითვალისწინებდა და ხშირად საპირისპირო გადაწყვეტილებებსაც კი იღებდა.

შევარდნაძის სურვილით ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა თანდათანობით ისე გაიზარდა სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელებით, რომ „საბჭოს" სხდომებს ყოველკვირეული მთავრობის სხდომებისგან ვერ განასხვავებდით. თავად განსაჯეთ, თუ 1996 წლის კანონით ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა შვიდი წევრით განისაზღვრებოდა, შვიდი წლის შემდეგ მათი რიცხვი უკვე ოცამდე გაიზარდა. ეს კი ხელს უშლიდა გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებას. ასევე არარაციონალურად გაიზარდა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომელთა (ბოლო წლებამდე მათი რიცხვი 100-ს აღწევდა) და „საბჭოს" მდივნის მოადგილეთა რაოდენობა. იმ პერიოდში ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი მოხსნილი ძალოვანი მინისტრების „ბოლო ნავსაყუდელად" იქცა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს „ზეობის ხანა" 2002 წლის 25 თებერვალს ნუგზარ საჯაიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების დღეს დასრულდა.

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge


ნუგზარ საჯაია


გიგა ბოკერია

## ეროვნული უშიშროების საბჭო: ძველი ძლიერების გარეშე

ნუგზარ საჯაიას გარდაცვალების დღიდან დაიწყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მეორე პერიოდი. იცვლებოდა მუშაობის სტილი და პრიორიტეტები. დაიკარგა სამართალდამცავი და ძალოვანი უწყებების მუშაობის თუნდაც ფორმალური კოორდინაცია, რაც მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. „საბჭოს“ აპარატი უკვე აღარ იყო ის ავტორიტეტული ორგანო, რომელსაც საკადრო პოლიტიკა „მიჰყავდა“ და მის რეკომენდაციებს წონა ჰქონდა.

ნუგზარ საჯაიას გარდაცვალების შემდეგ, 2002 წლის მარტში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად 1994-2002 წლებში საქართველოს ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძე დაინიშნა. ის წლების მანძილზე მოსკოვში „ისკანში“ (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტი) მუშაობდა ეროვნული უშიშროების საბჭოს (უპირველესად აშშ-ის) როლისა და ფუნქციების თეორიული საკითხების შესწავლაზე, ახლოს იყო იმჟამინდელ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძესთანაც. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თედო ჯაფარიძის დანიშვნა ძალზე მნიშვნელოვან სახელმწიფო პოსტზე ვაშინგტონთან იქნებოდა შეთანხმებული.

ბატონმა თედო ჯაფარიძემ, მიუხედავად უსაფრთხოების საკითხების ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა, ვერ შეძლო უშიშროების საბჭოსთვის ძველი ავტორიტეტის შენარჩუნება.

„ვარდების რევოლუციის“ წინ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი და ექსპრეზიდენტი შევარდნაძე უკვე სხვადასხვა ორბიტაზე იყვნენ. ასე დასრულდა ეროვნული უშიშროების საბჭოს მეორე პერიოდი.

## მიხეილ სააკაშვილის ეროვნული უშიშროების საბჭო და მისი აპარატი

ეროვნული უშიშროების საბჭოს მესამე, ვაკუუმში ყოფნის პერიოდი, 2004 წლის იანვრიდან დაიწყო. ეროვნული უშიშრეობის საბჭო და მისი აპარატი ყველა ქვეყანაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია, სხვა შემთხვევაში ის ბუტაფორიული და ზედმეტი სტრუქტურული წარმონაქმნი ხდება. 2004 წლის მარტიდან ეროვნული უშიშროების საბჭო სწორედ ამგვარად იყო და არის საქართველოში.

განვლილ პერიოდში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე მცირე ხნით იყვნენ მერაბიშვილი, ბეჟუაშვილი, კემულარია, ლომაია, ტყეშელაშვილი და ბოკერია, რაც ადასტურებს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს ავტორიტეტი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ძალზე დაბალი იყო. უშიშროების საბჭოს მდივნისა და მისი აპარატის (ისევე, როგორც სხვა სტრუქტურების) რეკომენდაციები და რჩევები პრეზიდენტ სააკაშვილს არ სჭირდებოდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა 2004 წლიდან დღემდე გააკეთა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ორი კონცეპტუალური დოკუმენტია, რომლებიც 2005 და 2011 წლებში დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

თუმცა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ეს კონცეფციები მხოლოდ თავის მოსაწონებელი და სტრატეგიულ პარტნიორებთან სატრაბახო „ბრჭყვიალა სათამაშოები“ აღმოჩნდა და ისინი მხოლოდ „კეთილი სურვილების დოკუმენტად“ ჩაბარდა ისტორიას.

2010 წელს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად გიგა ბოკერიას დანიშვნას „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ კანონში ცვლილებები მოჰყვა და უშიშროების საბჭოს მდივნის ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. პოლიტიკოსებისა და ექსპერტების აზრით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას ქვეყნის მმართველობის მნიშვნელოვანი ბერკეტები დაუკანონა. თუმცა, როგორც დრომ აჩვენა, ეს მხოლოდ ფორმალური გადაწყვეტილება იყო, — სააკაშვილს არასდროს უყვარდა ძალაუფლების სხვებისთვის გაზიარება.

ამჟამად ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი კვლავ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იდეოლოგიური შტაბია და გიგა ბოკერია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

გიგა ბოკერიას ამ მნიშვნელოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ 10-20-ჯერ გაიზარდა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დაფინანსება. შედეგად მივიღეთ 38-კაციანი, მინისამინისტრო, რომელიც შეუფერხებლად ფინანსდებოდა და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ექვემდებარებოდა. 2011-2012 წლებში ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ბიუჯეტი შესაბამისად 19,2 და 24,8 მილიონ ლარს შეადგენდა.

რაში იხარჯებოდა ეს თანხები? ზოგი ინფორმაციით, ამ თანხებით ფინანსდებოდა ის უცხოური ლობისტური კომპანიები, რომლებიც საქართველოს (უპირველესად კი „ნაციონალების“ ხელისუფლების) იმიჯს „ალამაზებდნენ“ უცხოურ მასმედიაში. ზოგიერთი ვერსიით, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს ჰქონდა ფარული მოსმენებისა და ვიდეოთვალთვალის ტექნიკური და პრაქტიკული საშუალებები.

იმედია, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამ და კიდევ სხვა მრავალ საიდუმლოს აეხდება ფარდა.

**ბესიკ ალადაშვილი**
ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...



*აზერბაიჯანმა თურქული კომპანია Turmaks-ისგან ორი მობილური საველე ჰოსპიტალი შეიძინა*

## აზერბაიჯანი

■ მომავალი წლის დასაწყისში აზერბაიჯანი ავლანეთიდან 94-კაციან სამშვიდობო ოცეულს გამოიყვანს.

■ ივლისის დასაწყისში პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ქარხანა Araz-ში ახალი საწარმოო ხაზის გაშვებას დაესწრო. ხაზი ფეთქებადი მასალებით ნაღმების კორპუსებს ავსებს და წელიწადში ერთცვლიანი მუშაობისას 60 მმ-იან 20 ათას, 82 მმ-იან 40 ათასს და 120 მმ-იან 40 ათას ნაღმს ამზადებს. გარდა ამისა, ქარხანას წელიწადში 40 მლნ-ზე მეტი კაფსულას გამოშვება შეუძლია.

■ 2013 წლის განვლილ ექვს თვეში აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში 49 სამხედრო (8 საბრძოლო და 43 არასაბრძოლო ვითარებაში) დაიღუპა და 63 კი დაიჭრა. დაღუპულებიდან 6 უბედურ შემთხვევას (წყალში დაიხრჩო, ტანკი დაეჯახა, დენმა დაარტყა და ხანძარში მოხვდა) ემსხვერპლა, 9 ავტოსაგზაო შემთხვევას, 5 არასანესდებო ურთიერთობებსა და 6 ავადმყოფობას, ხოლო 11-მა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

■ აზერბაიჯანმა გერმანიასა და საფრანგეთს პროტესტი გამოუცხადა იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნებმა სომხეთს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი MILAN-ი მიჰყიდეს.

■ მიმდინარე წელს სახელმწიფო საზღვრის დაცვას 6 ახალი სამხედრო ნაწილი შეუდგება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ელჩინ გულიევმა.

■ აზერბაიჯანმა უკრაინულ საწარმო „ანტონოვს“ Ан-2 ტიპის სასოფლო-სამეურნეო თვითმფრინავების მოდერნიზება შეუკვეთა. აზერბაიჯანის განკარგულებაში ამჟამად 63 ასეთი თვითმფრინავია.

■ 15 ივლისიდან 8 აგვისტომდე გაგრძელდება აზერბაიჯან-აშშ-ის ერთობლივი [illegible], რომელიც ბულ[illegible]-ლოს რეგიონში მიმდინარეობს. სწავლებაში 200 აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

■ 15 ივლისს ბაქოს სამხედრო სასამართლომ დაადასტურა მობილიზაციისა და გაწვევის სახელმწიფო სამსახურის ერთ-ერთი რაიონული განყოფილების უფროსის თაღლითობის ბრალდებით დაპატიმრება.

■ აზერბაიჯანმა თურქული კომპანია Turmaks-ისგან იყიდა თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი ორი მობილური საველე ჰოსპიტალი. თითოეული მათგანი 60 პაციენტის მიღებაზეა გათვლილი.

■ რადიაციული პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის ადილ გარიბოვის აზრით, აზერბაიჯანს საკუთარი ბირთვული პროგრამა უნდა ჰქონდეს, რათა მეზობელ ქვეყნებში ბირთვულ ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მოვლენათა მსვლელობის კურსში იყოს.

## სომხეთი

■ სომხეთმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ადგილობრივი კომპანია Truvelo-სგან 12,7 მმ-იანი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა Truvelo .50-ის პარტია შეიძინა. გა

*სომხეთის არმიის შეიარაღებაში გერმანულ-ფრანგული ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი MILAN-ი გამოჩნდა*



და ამისა, საფრანგეთში იყიდა 8,6 მმ-იანი სნაიპერული შაშხანა PGM 338 და ბრიტანული 7,62 მმ-იანი სნაიპერული შაშხანა Accuracy International L96A1/Arctic Warfare.

■ სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა ლიბანის ოპერაციაში სომხური სამშვიდობო კონტინგენტის მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. ასეთი წინადადებით ერევანს მიმართა იტალიამ, რომელიც ლიბანში გაეროს ძალებს სარდლობს (UNIFIL).

■ პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის ხელმოწერილი ბრძანებულებით არმიაში საკადრო ცვლილებებია. პოლკოვნიკი ჰენრიხ მურადიანი რესპუბლიკის სამხედრო კომისრად დაინიშნა. მთავარი შტაბის უფროსის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ აიკაზ ბაგრამიანს უფლებამოსილება 5 წლით გაუხანგრძლივდა. მთავარი შტაბის საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი არაქელ მარტიკიანის ადგილი გენერალ-მაიორმა კამო კოჩუნცმა დაიკავა. მე-2 საარმიო კორპუსის სარდლობა — გენერალ-მაიორმა პოლოს პოლოსიანმა, ხოლო მე-4 საარმიო კორპუსისა კი გენერალ-მაიორმა ანდრანიკ მაკარიანმა ჩაიბარა.

■ 5 ივლისს საღამოს სომხეთის არმიის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჩამოხრჩობილი ჯარისკაცის ცხედარი იპოვეს.






სეპარატისტული სოხუმის საჯარისო სამეთაურო სასწავლებელმა 19 ოფიცერი არტილერისტი გამოუშვა

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

■ პოლკოვნიკი გურამ ინუკოლლი დაინიშნა სეპარტისტული აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ და მატერიალურ-ტექნიკური სამმართველოს უფროსად.

■ 1992-93 წლების ომის მონაწილეთა სია დაზუსტების შემდეგ 27 312 კაციდან 19 ათასამდე შემცირდა.

■ საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსების გათვლები კომპიუტერული ტრენაჟორების 9Ф618 М3-3-ის დახმარებით ინტენსიურად ემზადებიან. ზაფხულის ბოლოს გათვლები წებელდის პოლიგონზე ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს Штурм-С-თი სხვადასხვა სახის სამიზნეებზე სროლაში ივარჯიშებს.

■ სეპარატისტული სოხუმის უმაღლესმა საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელმა არტილერისტის სპეციალობით 19 ოფიცერი გამოუშვა. გარდა ამისა, მათ კიდევ დაემატება რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში მომზადებულ აფხაზ ოფიცერთა ჯგუფი.

■ საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის ახალმა შევსებამ სპეციალურ ტრენაჟორებზე ქვეითთა რეაქტიული ცეცხლსატყორცნის РПО-А Шмель-ის გამოყენებაზე მომზადება გაიარა.

■ 11 ივლისის მდგომარეობით სირიიდან აფხაზეთში 467 რეპატრიანტი ჩავიდა, საიდანაც 115 კაცი, 201 ქალი, 44 პენსიონერი, 107 ბავშვი და 18 წლამდე ასაკის მოზარდია.

■ 16 ივლისს სოხუმის პარკის ერთ-ერთ მონაკვეთზე, არგენტინის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ანთროპოლოგიური ცენტრის დირექტორის ლუის ფრონდებრიდერის ხელმძღვანელობით, დაიწყო 1992-93 წლების ომში დაღუპულთა ნაშთების ექსჰუმაცია.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

■ ივნისის ბოლოს ძარწემის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში ჩატარდა საოკუპაციო ჯარების პირადი შემადგენლობის კომპლექსური მეცადინეობა სასწავლო ხელყუმბარის, ავტომატის, ხელის ყუმბარსატყორცნისა და სხვა საცეცხლე საშუალებათა გამოყენებაზე. მეცადინეობაში ასევე გამოყენებულ იქნა 150-მდე სასწავლო-სატვირთო ავტომობილი, ქვეითთა საბრძოლო მანქანა, ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი, საზენიტო და საარტილერიო სისტემა.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

■ საერთო იურისდიქციის სასამართლოში დაიწყო პროცესი ყარაბაღის არმიაში კონტრაქტით მომსახურე ორ სამხედრო მოსამსახურეზე, რომლებსაც სახელმწიფო ღალატსა და აზერბაიჯანის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ.

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...


ნოვოროსიისკის მახლობლად საქარხნო გამოცდებს გადის ახალი ანტიდივერსიული კატარღა „გრაჩონოკი“

## რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

■ რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურს გადაეცა „იასტრების“ სერიის (პროექტი 12260) კატარღა (საქარხნო 607), რომელიც სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე უსაფრთხოების დაცვის ამოცანებს შეასრულებს.

■ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ახალი წყალქვეშა ნავების ბაზირებისთვის ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზა შეირჩა, სადაც ამჟამად სათანადო ინფრასტრუქტურის მშენებლობა სრული დატვირთვით მიმდინარეობს. 2014 წლისთვის შავი ზღვის ფლოტმა სანქტ-პეტერბურგიდან 636.3 პროექტის სამი დიზელ-ელექტრული წყალქვეშა ნავი უნდა მიიღოს — Б-261 „ნოვოროსიისკი“, Б-237 „როსტოვ ნა დონუ“ და Б-262 „სტარი ოსკოლი“.

■ ნოვოროსიისკის მიმდებარე რაიონში საქარხნო გამოცდას გადის ახალი ანტიდივერსიული კატარღა П-350 (პროექტი 21980 „გრაჩონოკი“). ამჟამად ნოვორისიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის სახომალდო შემადგენლობაში „გრაჩონოკის“ პროექტის ორი კატარღა უკვე ირიცხება.

■ სამხრეთის სამხედრო ოლქში შვებულების შემდეგ სამსახურს 1100-ზე მეტი ოფიცერი შეუდგება, რომლებმაც წელს სამხედრო სასწავლებლები, ინსტიტუტები და აკადემიები დაამთავრეს.

## თურქეთი

■ თურქეთი გახდა 76-ე ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო შეთანხმებას.

■ თურქეთის პორტ ალიაგაში უტილიზაციისთვის ბრიტანული მსუბუქი ავიამზიდი Ark Royal-ი ჩამოიყვანეს. ბუქსირება 2013 წლის 20 მაისს ბრიტანეთში პორტსმუტიდან დაიწყო და 2 [illegible] 22 დღეში დაიფარა, თურქულმა კომპანია Leyal-მა ხომალდი 5 მლნ 342 ათას დოლარად იყიდა.

■ თურქეთის თავდაცვითი პროდუქციის იმპორტიორებს შორის ლიდერობს აშშ, რომელმაც მიმდინარე წლის დასაწყისიდან 42 მლნ 800 ათასი დოლარის პროდუქცია შეიძინა. თურქეთს მაღალტექნოლოგიური სამხედრო წარმოება აქვს და შეიარაღებული ძალების მოთხოვნების 54%-ს სამამულო პროდუქციით აკმაყოფილებს.

■ 12 ივლისს პროვინცია ჰატაიში თურქმა მესაზღვრეებმა პატრულირებისას სირიის საზღვართან კონტრაბანდული საწვავით სავსე კონტეინერებს მიაგნეს და ავტომობილში ჩატვირთეს. სასაზღვრო საგუშაგოსკენ ავტომობილის სვლის დროს მას სირიის მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს და მესაზღვრეებმა ცეცხლითვე უპასუხეს. ინციდენტის ამოწურვის შემდეგ ავტომობილში ოთხი ნატყვიარი აღმოჩნდა.

■ მომავალი წლის მაისში თურქეთში აეროკოსმოსური ცენტრი AIT Center-ი გაიხსნება. ბოლო წლებში ანკარა აქტიურად მუშაობს ეროვნული კოსმოსური პროგრამის განვითარებისთვის. 2012 წლის დეკემ-


თურქული თანამგზავრი Gokturk-2

ბერში ჩინეთის კოსმოდრომიდან Jiuquan-იდან რაკეტა მატარებელმა Long March 2D-მ ორბიტაზე გაიყვანა თურქული მეორე თანამგზავრი Gokturk-2, რომელიც შესაძლებლობებით პირველ მზვერავ-თანამგზავრ RASAT-ს სამჯერ აღემატება.

■ 16 ივლისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სირიაზე საჰაერო თავდასხმისას ისრაელის ავიაციამ თურქეთის სამხედრო ბაზები გამოიყენა.

■ 16 ივლისს ბაქოს მახლობლად გარაჰეიბეთის სასწავლო ცენტრში დაიწყო ფართომასშტაბიანი თურქულ-აზერბაიჯანული სწავლება. ერთობლივი სწავლება ტრადიციულია და მონაცვლეობით ხან ერთი, ხან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება.


მოსკოვი თეირანს C-300-ის სანაცვლოდ Тор-М1Э-ს სთავაზობს

## ირანი

■ სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო კატარღები P 224 Paykan-ი და P 225 Joshan-ი მეგობრული ვიზიტით 28 ივნისიდან 1-ელ ივლისამდე რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტილიის ბაზირების პუნქტ ასტრახანში იმყოფებოდნენ.

■ „დაგეგმილია მოკლე პერიოდში ახალი კოსმოდრომის მწყობრში შეყვანა", — განაცხადა ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა, ბრიგადის გენერალმა აჰმად ვაჰიდმა. ახალ კოსმოდრომს ირანის ისლამური რესპუბლიკის დამაარსებლის, იმამ ჰომეინის სახელი ეწოდა. გახსნის დღეს სამამულო თანამგზავრი Simurg-ი აიღებს სტარტს.

■ ირანის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა საბჭოთა წარმოების საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-200-ს მოდერნიზაცია ჩაუტარა, რომელიც სტაციონარული პლატფორმის მობილურით შეცვლასა და სხვა ტექნიკურ სიახლეებს შეეხო. როგორც ირანელი სპეციალისტები ირწმუნებიან, მნიშვნელოვნად შემცირდა საჰაერო სამიზნის აღმოჩენის შემდეგ რაკეტის რეაქციის დრო.

■ რუსული გაზეთ „კომერსანტის" ინფორმაციით, მოსკოვი მზად იყო ირანისთვის რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექს C-300-ის სანაცვლოდ გადაეცა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Тор-М1Э, მაგრამ თეირანმა ეს წინადადება არ მიიღო და ჩაშლილი კონტრაქტისთვის ჟენევაში კომერციულ არბიტრაჟს „როსობორონექსპორტის" წინააღმდეგ 4 მლრდ დოლარის სარჩელით მიმართა.

■ „2014 წლისთვის თეირანს დაგეგმილი აქვს რუსული რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექს C-300-ის ანალოგის Bavar-373-ის შეიარაღებაში მიღება", — განაცხადა თავდაცვის სამინისტროს კვლევებისა და პროექტირების ხელმძღვანელმა, კონტრადმირალმა ფარჰად ამარმა.

■ 7-11 ივლისს კასპიის ზღვაში ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების მე-4 ბაზის სარდლის, ვიცე-ადმირალ ჰორდად ჰაქიმის ხელმძღვანელობით სწავლება Sustainable Safery ჩატარდა.

■ ერაყის ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციით, ირანელი სამხედრო მოსამსახურეები რამდენიმე თვე ამუშავებდნენ სირიის ქალაქ ჰოლმსზე იერიშს, რისთვისაც სასწავლო მიზნით სხვადასხვა ობიექტი გამოიყენეს. უშუალოდ ჰოლმზე იერიშში ირან-ერაყის ომის ვეტერანები მონაწილეობდნენ, ხოლო ქალაქის „გასუფთავებით" „ჰეზბოლა" და ერაყელ შიიტთა ბრიგადა არის დაკავებული.

■ ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო ამტკიცებს, რომ ქვეყანამ ახალი სამხედრო ტექნიკის წარმოებაში დიდ წარმატებას მიაღწია და მალე წარმოადგენს ახალ უპილოტო საფრენ აპარატს, ტანკს, წყალქვეშა ნავსა და რაკეტას.

■ 14 ივლისს ირანის სახმელეთო ჯარების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მუჰამედ-რეზა პურდასტანმა განაცხადა, რომ მის სარდლობას დაქვემდებარებული ჯარები შესაძლო აგრესიის მოსაგერიებლად მაღალ საბრძოლო მზადყოფნას ინარჩუნებენ.

■ თეირანი განაგრძობს იმ თანამგზავრული ფოტოების შესწავლას, რომლებზეც აღბეჭდილი უნდა იყოს საუდის არაბეთის სარაკეტო ბაზიდან ირანისთვის დამიზნებული ჩინური DF-3 ტიპის ბალისტიკური რაკეტები.



**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი სომხეთში ბაზას აძლიერებს



აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან, ანუ 1992 წლის 14 აგვისტოდან, სომხეთს რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლა შეუწყდა და იქ მყოფი რუსული სამხედრო ნაწილები საქართველოს გავლით ტრანზიტზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ. აგვისტოს ომის შემდეგ კი, 2011 წლის 19 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო და შეაჩერა „საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთის სამხედრო ტვირთისა და პერსონალის ტრანზიტის ორგანიზების შესახებ" 2006 წლის 31 მარტს ხელმოწერილი შეთანხმების მოქმედება, რაც ასევე საქართველოს საჰაერო სივრცის რუსული სამხედრო ტვირთების ტრანსპორტირების ჩაკეტვასაც ნიშნავდა.

თეორიულად რუსული 102-ე ბაზა სატრანსპორტო იზოლაციაშია, არადა, „ბლოკირებული" ბაზის პოტენციალი ბოლო ორ-სამ წელიწადში შესამჩნევად ამაღლდა და ამ მიმართულებით რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მუშაობას




რუსი სამხედროები სწავლებებზე ახალი ნავიგატორებით უკვე სარგებლობენ

ძველი საბჭოური შემართებით აგრძელებს.

ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ რუსეთს დაგეგმილი აქვს სომხეთში ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექს Искандер-М-ისა და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Торнадо-Г-ს განთავსება.

„ისკანდერი" დაახლოებით 500 კმ მანძილზე დაფრინავს. რუსმა სამხედროებმა ეს სარაკეტო სისტემა საქართველოში 2008 წლის აგრესიის დროს გამოიყენეს.

სომხეთში ახალი კომპლექსების შემოტანა ისევ და ისევ მეზობელი ქვეყნების დაშინების პოლიტიკას ემსახურება. თორემ კავკასია ნაირ-ნაირი შეიარაღებით ისედაც გადატვირთულია და არც მოუგვარებელი კონფლიქტები აკლია.

თუ მოსკოვი სომხეთში ახალი კომპლექსების შემოტანას შეეცდება, ალბათ, ტრანსპორტირებისთვის ისევ საჰაერო გზას გამოიყენებს (როგორც რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი С-300В ჩაიტანა).

დაწყებულია 102-ე ბაზის საჰა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერო თავდაცვის კომპლექსების, თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების, აგრეთვე, სომხეთში განლაგებული რუსული სასაზღვრო დაჯგუფების გადაიარაღება-მოდერნიზაციის პროცესი. წელს ბაზას უკვე შეემატა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მართვის მოძრავი ახალი პუნქტები, რომლებიც აღჭურვილია მონაცემთა გადაცემის ავტომატიზებული სისტემით, ორიენტირების თანამგზავრული სანავიგაციო სისტემა ГЛОНАСС-ით, ღამის ხედვის ხელსაწყოებით და ა.შ.

ქვედანაყოფთა მართვის გასაუმჯობესებლად 102-ე ბაზას არცთუ დიდი ხნის წინ მაღალი გამავლობის ავტომობილის Урал-43203-ის ბაზაზე დამზადებული თანამგზავრული კავშირის სადგური Ливень-ები დაემატა. 2012 წელს მიღებულია ჯავშანტრანსპორტიორ БТР-80-ის საფუძველზე შექმნილი მოდერნიზებული სამეთაურო-საშტაბო მანქანა Р-145БМ1, რითაც გაუმჯობესდა კავშირი ოპერატიულ-ტაქტიკურ რგოლში როგორც ადგილზე, ასევე მოძრაობის დროს. ყველა მანქანა თანამგზავრული სანავიგაციო სისტემა ГЛОНАСС-ით არის აღჭურვილი.

რუსული ბაზის განკარგულებაშია სპეციალურად სამთო პირობებისთვის КАМАЗ-43114-ის შასზე აწყობილი რადიოსადგურები. ახალ რადიოსადგურებში გამოყენებული კომპიუტერები ბევრად ამცირებს ამოცანის შესრულებისთვის საჭირო დროს, აუმჯობესებს კავშირის ხარისხსა და ზრდის მოქმედების სიშორეს.

მიმდინარე წლის აპრილში კი 102-ე ბაზამ მოტომსროლელი, სადაზვერვო, საარტილერიო და სხვა ქვედანაყოფებისთვის ორასზე მეტი ნავიგატორი Перунит-Б, Грот-М და Бриз-ი მიიღო.

ხელსაწყოები სანავიგაციო სისტემა ГЛОНАСС-თან თავსებადია, ახასიათებს გაზრდილი საიმედოობა და სიზუსტე. ახალ ნავიგატორებს სიხშირეთა ფართო დიაპაზონი აქვს, კოორდინატებს დიდი სიზუსტით განსაზღვრავს, ახასიათებს მომატებული მდგრადობის სიგნალი და აღჭურვილია გაზრდილი რესურსის კვების წყაროთი.


*ახალი სამეთაურო-საშტაბო მანქანა Р-145БМ1*

მცირეგაბარიტული Бриз-ი განკუთვნილია საარტილერიო ქვედანაყოფებისთვის და წყვეტს ამოცანათა მთელ კომპლექსს, დაწყებული სროლის მომზადებით და ცეცხლის მართვით დამთავრებული.

მოტომსროლელი ქვედანაყოფების ნავიგატორი Перунит-Б ნებისმიერ ამინდში მუშაობს და 120 მარშრუტს იმახსოვრებს. ადგენს მოძრაობის აზიმუტს, უჩვენებს მიმდინარე დროს, განსაზღვრავს კოორდინატებსა და გადაადგილების სიჩქარეს.

Грот-М-ი ასევე მოტომსროლელი ქვედანაყოფების აღჭურვაში შედის, აქვს მარშრუტის ჩანერისა და რუკაზე ჩვენების საშუალება, შეუძლია საარტილერიო ამოცანების გადაჭრაც.

გასულ წელს 102-ე სამხედრო ბაზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ბატალიონს 40-მდე ახალი სატვირთო ავტომობილი КамАЗ-53501 (6Х6) შეემატა.

ახალ „კამაზებს" საბორტო საინფორმაციო ინტეგრირებული მართვის სისტემა აქვს და სამხედროები საარტილერიო სისტემების გასაწევად, პირადი შემადგენლობის გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად იყენებენ.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება ორმაგი დანიშნულებისაა, „მშვიდობისმოყვარე" „კამაზიც" შეიძლება ძლიერ და მობილურ საცეცხლე საშუალებად გადაკეთდეს.

2012 წელს გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზის მოტომსროლელი ქვედანაყოფების სნაიპერებმა შეიარაღებაში 9 მმ-იანი სპეციალური სნაიპერული შაშხანა ВСС Винторез-ი მიიღეს.

102-ე ბაზის გადაიარაღების პარალელურად მიმდინარეობს ახალი ტიპისა და სახეობის საბრძოლო მასალების შემოტანა. კამპუტისა და ალაგიოზის სასწავლო ცენტრებში რუსული ქვედანაყოფები რეგულარულ და ინტენსიურ მომზადებას გადიან, რაზეც დიდძალი ვაზნა, ჭურვი თუ რაკეტა იხარჯება.

მაგალითად, შარშან სწავლებებზე დაახლოებით 500 ათასზე მეტი ერთეული საბრძოლო მასალა დაიხარჯა. ამის მიუხედავად, რუსი სამხედროები არც სასწავლო და არც საბრძოლო ვაზნების, ჭურვებისა თუ რაკეტების ნაკლებობას განიცდიან.

წელს 26 ივნისს ბაქოში ჩატარებული აღლუმის დროს აზერბაიჯანის არმიამ ბოლო დროს რუსეთში ნაყიდი შეიარაღების ახალ-ახალი და მრავალფეროვანი ნიმუშები წარმოადგინა.

დაბალანსებული პოლიტიკის ერთგული მოსკოვი საპასუხოდ სომხეთში 102-ე სამხედრო ბაზას აძლიერებს, რომელიც რუსეთის ფედერაციის ინტერესების დაცვასთან ერთად სომხეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად სომხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს. ამიტომ, თუ ვის ხელში აღმოჩნდება შემდგომ რუსული შეიარაღების ერთი ნაწილი, ძნელი მისახვედრი არ არის.

**თემურ ჩაჩანიძე**



# სამყარო ედუარდ სნოუდენის პრიზმაში

მაისის ბოლოს ამერიკის სპეცსამსახურებთან მებრძოლთა გრძელ სიას კიდევ ერთი პირი, 30 წლის ედუარდ სნოუდენი შეემატა. მან სხვადასხვა ქვეყნის გაზეთებს აშშ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო დოკუმენტები გადასცა, რომლებიც სრულიად საიდუმლო სადაზვერვო პროგრამა PRISM-ს შეეხება.

მცირე დოსიე: ედუარდ სნოუდენი 1983 წლის 21 ივნისს აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინაში დაიბადა, შემდეგ კი ცოტა ხანს ოჯახთან ერთად მერილენდში ფორტ-მიდში ცხოვრობდა, სადაც ეროვნული უშიშროების სააგენტო მდებარეობს.

კოლეჯში არცთუ ისე კარგად სწავლობდა და ვერც საშუალო განათლების დამადასტურებელი დიპლომი მიიღო. გამოცდები მოგვიანებით ჩააბარა და მიიღო მოწმობა, რომ მიღებული აქვს სასკოლო განათლება.

2003 წელს სნოუდენი ამერიკის შეიარაღებულ ძალებში ჩაეწერა, თუმცა განსაკუთრებულ წარმატებას ვერც იქ მიაღწია. სწორედ ამის შემდეგ მოხვდა ეროვნული უშიშროების სააგენტოში მერილენდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი საიდუმლო ობიექტის მცველად. შემდეგ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მიიღეს. 2007 წელს კი სნოუდენი ჟენევაში ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მუშაობდა, სადაც მას კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოების დაცვა ევალებოდა.

2009 წელს სნოუდენი სპეცსამსახურებიდან წავიდა და იმ კერძო საკონსულტაციო კომპანიებში დაიწყო მუშაობა, რომლებიც ეროვნული უშიშროების სააგენტოსთან თანამშრომლობდნენ.

მაგალითად, მათ მოვალეობაში შედიოდა უსაფრთხოების სისტემების უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზის ტექნიკური ანალიზი. ბოლო პერიოდში სნოუდენი ჰავაიზე Booz Allen Hamilton-ის წარმომადგენლად მუშაობდა და მისივე მტკიცებით, ანაზღაურება
წელიწადში 200 ათას დოლარს იღებდა.

20 მაისს სნოუდენმა ეროვნული უშიშროების სა
გენტოს ჰავაის ოფისიდან ყველა საჭირო დოკუმენტ
ასლი გადაიღო, უფროსს განუცხადა, რომ რამდენ
მე კვირით ეპილეფსიის სამკურნალოდ მიდიოდა
ჰონკონგში გაფრინდა.

იმის ახსნისას, თუ როგორ მოახერხა უშიშროებ
სააგენტოს საიდუმლო დოკუმენტების ხელში ჩაგდებ
სნოუდენი ამტკიცებს, რომ ამის საშუალება მას ქსელ
ბის უსაფრთხოების სპეციალისტის თანამდებობამ მის
და გადაწყვიტა, ყველასთვის გაემხილა ეროვნული უში
როების სააგენტოს პროგრამის არსებობა, რომელ
უცხოელების ინტერნეტითა და მობილური კავშირ
მეშვეობით თვალთვალს გულისხმობს, რადგან მისთვ
ალმაშფოთებელია ადამიანის პირადი ცხოვრების ხე
შეუხებლობისა და სიტყვის თავისუფლების უფლებებ
შელახვა. როგორც სნოუდენი ამბობს, საგულდაგულ
არჩევდა, თუ რომელი დოკუმენტი რა ზიანს მოუტან
ცალკეულ ადამიანს და პრესას მხოლოდ ის მასალები გ
დასცა, რომლებიც რეალურად მნიშვნელოვანი იყო.

აშშ-ის სპეცსამსახურებში იკვლევენ იმ გარემოება
თუ როგორ შეძლო უბრალო ტექნიკურმა თანამშრ
მელმა ასეთი მაღალი რანგის საიდუმლო დოკუმ
ტების ხელში ჩაგდება და ხომ არ დაეხმარა მას კიდ
ვინმე.




ედუარდ სნოუდენი
ანა ჩაპმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ეშელონიდან" PRISM-მდე

არსებული ინფორმაციით, ამერიკელები სადაზვერვო პროგრამა PRISM-ს 2007 წლიდან იყენებენ. ეს პროგრამა იმ უცხოელების შესახებ ინფორმაციის მოპოვების გასამარტივებლად შეიქმნა, რომლებიც ამერიკის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან.

აშშ-ის სპეცსამსახურების მიზანი იმ სერვერებზე შეღწევაა, სადაც ადამიანების შესახებ პირადი ინფორმაცია, მათი მიმოწერა, მათ მიერ ატვირთული ფაილები და სხვა პირადი ცნობები ინახება. ამისთვის კი მათ არც სასამართლოს დადგენილება და არც იმ კომპანიების ნებართვა სჭირდებოდათ, რომელთა სერვერებზეც ინფორმაცია იყო განთავსებული.

სნოუდენი ამტკიცებს, რომ დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები, კერძოდ კი სამთავრობო კავშირის ცენტრი, აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოსთან ერთად 2009 წელს ლონდონში გამართული „დიდი ოცეულის" სამიტის მონაწილე პოლიტიკოსებისა და დელეგაციების წევრების სატელეფონო საუბრებს ფარულად უსმენდა და მათ ელექტრონულ ფოსტას კითხულობდა.

ამერიკის ხელისუფლების მტკიცებით, PRISM-ის დახმარებით სპეცსამსახურები სატელეფონო ზარებით იგებენ ორივე აბონენტის ნომერს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან, ტელეფონების სერიულ ნომრებს და საუბრის ხანგრძლივობას, მაგრამ საუბრის შინაარსის გაკონტროლებას ვერ ახერხებენ. მათთვის ასევე უცნობი რჩება აბონენტთა მისამართი და ფინანსური მდგომარეობა. ბარაქ ობამამ უკვე დაიცვა ეს სადაზვერვო პროგრამა და აღნიშნა, რომ თვალთვალის ეს სისტემა ტერორიზმთან ბრძოლისთვის არის აუცილებელი.


კრემლი ედუარდ სნოუდენს პოლიტიკურ თავშესაფარს სთავაზობს

გავრცელდა ინფორმაცია, რომ თვალთვალის ამ სისტემით მიღებული ინფორმაციით არა მხოლოდ ამერიკა, არამედ დიდი ბრიტანეთიც სარგებლობდა. ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელმა ჯეიმს კლეპერმა დაადასტურა, რომ სპეცსამსახურები მართლაც იღებენ ადამიანებზე ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით, თუმცა ეს მხოლოდ იმათ შეეხებათ, რომლებიც ამერიკის მოქალაქეები არ არიან.

სნოუდენის მტკიცებით, ამ სადაზვერვო პროგრამაში ჩართული იყვნენ: Apple, Microsoft-ი, Yahoo, Facebook-ი და Google. თუმცა ამ ინტერნეტგიგანტებმა დაუყოვნებლივ განაცხადეს, რომ მათ სკანდალური პროგრამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

## ედუარდ სნოუდენის საოცარი თავგადასავალი რუსეთში

23 ივნისს სნოუდენი მოსკოვში ჩაფრინდა და შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონას შეაფარა თავი. არსებული წესის თანახმად, ამ ზონაში ყოფნა მხოლოდ 24 სთ შეიძლება, შემდეგ კი მგზავრი ან სხვა ქვეყანაში უნდა გაფრინდეს, ან რუსეთის ვიზა მიიღოს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ რუსეთს სნოუდენის ექსტრადიციისაკენ მოუწოდა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უარი თქვა შეერთებული შტატებისთვის ედვარდ სნოუდენის გადაცემაზე. მისი თქმით, სნოუდენი აეროპორტის სატრანზიტო ზონაში იმყოფება. რუსეთის ხელისუფლება კი ამტკიცებდა, რომ სნოუდენმა რუსეთის საიმიგრაციო სამსახურის კონტროლი არ გაიარა, რაც, როგორც პუტინმა დასძინა, ნიშნავს, რომ სნოუდენი რუსეთის ტერიტორიაზე არ იმყოფება. პუტინმა ისიც დაამატა, რომ სნოუდენი „თავისუფალი ადამიანია" და სადაც სურს, იქ შეუძლია გაფრინდეს.

ორგანიზაცია „ვიკილიკსის" ადვოკატმა სარა ჰარისონმა მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში რუსეთის საკონსულოს თანამშრომელს გადასცა დოკუმენტები სნოუდენისთვის რუსეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის თხოვნით. თუმცა სნოუდენმა ეს თხოვნა მალევე გამოიხმო.


ამერიკელი აგენტი ერთხანს მოსკოვის შერემეტიევის აეროპორტში „ცხოვრობდა“

ეს ნაბიჯი კი მას შემდეგ გადადგა, რაც პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა: თუ სნოუდენი შეწყვეტს აშშ-ის წინააღმდეგ მასალების გამოქვეყნებას, რუსეთი თავშესაფრის გადაცემის საკითხს განიხილავსო.

როდესაც ეს სტატია იწერება, სნოუდენი კვლავ შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაშია და შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ სნოუდენმა შეიძლება ქორწილსაც კი გამოჰკრას ხელი და რუსეთის ტერიტორიაზე ოფიციალურად შესვლის უფლება მიიღოს.

რუსული სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომელმა ანა ჩაპმანმა, რომელიც 2010 წელს აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ჯაშუშური სკანდალის მონაწილეა და ტვიტერის საკუთარ გვერდზე დაწერა: „სნოუდენ, ცოლად შემირთავ“? „დავქორწინდებოდი ჩაპმანზე, მიუხედავად ყველაფრისა. ღმერთო, უბრალოდ შეხედეთ მას“! — სწრაფადვე უპასუხა სნოუდენმა.

მიუხედავად სიტუაციის ტრაგიკომედიურობისა, არაა გამორიცხული, რომ მსგავსი სცენარი რუსეთის სპეცსამსახურებში მართლაც განიხილებოდეს.

დემოკრატია თუ ქვეყნის უსაფრთხოება?

დღეს ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო ჩვეულებრივი მოქალაქეების ცხოვრება (საქმიანი მიმოწერა, გადასახადების გადახდა, ბანკთან ანგარიშსწორება და ა.შ.), არამედ სახელმწიფო აპარატის ნორმალური ფუნქციონირება. ამავე დროს ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ქსელის გარეშე შეუძლებელია სატრანსპორტო, თავდაცვის, კავშირგაბმულობის, საბანკო-საფინანსო და ა.შ. უწყებების ნორმალური მუშაობა. სწორედ ინტერნეტის შეუცვლელობამ აქცია კიბერსივრცე სპეცსამსახურებისა და ტერორისტების მთავარ სამიზნედ.

ფარული მოსმენები ყველა ქვეყნის სპეცსამსახურების და სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის აუცილებელი ატრიბუტი და „გარდაუვალი ბოროტებაა“. დღეისათვის მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა იყენებს ინტერნეტის საინფორმაციო სივრცეს შპიონაჟისთვის. მათი სპეცსამსახურები ასევე მონაწილეობენ სხვა ქვეყნების სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების საიტებზე ჰაკერულ თავდასხმებში.

ზოგადად კი თანამედროვე ოპერატიული ტექნიკა და ტექნოლოგიები ძალზე სახიფათო „სათამაშოა“. როგორც ირკვევა, დემოკრატიის ფლაგმანად წოდებული ქვეყნების სპეცსამსახურებიც დიდი სიამოვნებით უსმენენ როგორც საკუთარ, ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დიდი სკანდალი „გასკდა“, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. აღმოჩნდა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები, პირველ რიგში კი ეროვნული უშიშროების სააგენტო, საიდუმლო პროგრამა „ეშელონით“ ტოტალურად უსმენდა მოკავშირე ქვეყნების ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკოსსა და ორგანიზაციას.

სნოუდენისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე თანხმობა განაცხადეს ვენესუელის, ეკვადორისა და კუბის პრეზიდენტებმა. რა არჩევანს გააკეთებს თავად ამერიკელი აგენტი, ალბათ, მალე გაირკვევა, თუმცა ამ სკანდალურმა ფაქტმა ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა წამოსწია წინ: ტერორიზმთან ბრძოლის დროს რა უფრო მნიშვნელოვანი და პირველადია — დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვა თუ ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოება?

არავინ უარყოფს ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობას და პირველ რიგში ინფორმაციის მოპოვებას, მაგრამ ეს ადამიანის პირადი და კომერციული საიდუმლოების საერთაშორისო პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს. სრულიად დასაშვებია, რომ ამ გზით მიღებულმა ინსაიდურმა ინფორმაციამ, სპეცსამსახურის რომელიმე არაკეთილსინდისიერი თანამშრომლის პირადი დაინტერესების გამო გაჟონოს და გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო კორპორაციების კონკურენტულ ბრძოლაში ან პირადი მიზნით.

**ბესიკ ალადაშვილი**
**ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი**



# მოძრაობა "თალიბანი": ისტორია, ორგანიზაცია, სამხედრო სტრატეგია



**მეორე ნაწილი**

მოძრაობა „თალიბანის“ სიცოცხლისუნარიანობისა და პოლიტიკური „ხანდაზმულობის“ საიდუმლოება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: ქვეყნის ეთნორელიგიური თავისებურებებით, თვით მოძრაობის ორგანიზაციული მართვის პრინციპებით, სადაზვერვო შესაძლებლობებით, მძლავრი იდეოლოგიურ-რელიგიური საფუძვლებით, მოსახლეობის მხარდაჭერით, მკაცრი დისციპლინითა და ა.შ. ქვეყანაში 20-წლიან ანარქიასა და განუკითხაობას თან დაერთო ეთნიკური დაპირისპირება, სადაც დომინანტი ეთნოსი — პუშტუნები ქვეყნის ისტორიაში პირველად, 1992-1996 წლებში, პოლიტიკურ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. პოლიტიკური ლიდერობა სხვა ეთნიკური წარმომადგენლების, ტაჯიკებისა და უზბეკების ხელში გადავიდა. ამიტომაც ბუნებრივი იყო, რომ „თალიბანის“ დამრტყმელ ძალად სწორედ პუშტუნები იქცნენ. მათ თალიბებს შეუქმნეს დასაყრდენი ავღანეთის სამხრეთ ნაწილებში, სადაც უფრო კონსერვატიული მოსახლეობაა.

„თალიბების“ გავლენა გავრცელდა თითქმის ყველა პროვინციასა და სოფლის მოსახლეობაში. მისი ხელმძღვანელობა ოსტატურად მანიპულირებდა ქვეყანაში არსებული ტრადიციული ქცევის კოდექსებით.

მაგალითად, პუშტუნებისთვის ეს არის „პუშტუნვალის“ ღირსების ქცევის კოდექსი, თურქული ეთნოსებისთვის (უზბეკები, ხაზარები, აიმაკები) კი „ყურულთაის“ მმართველობის წესი და ა. შ.

2007 წელს „თალიბებმა“ შექმნეს საკუთარი მორალური ქცევის კოდექსი, რომელსაც „ლაიეხა“ უწოდეს (სწორედ მისი დარღვევისთვის გაირიცხა

# „თალიბების“ მართვის სტრუქტურა




„თალიბანის“ ხელმძღვანელი რიგებიდან მოლა მანსურ დადულუ, რომელიც ჯერ მშენებლობის, შემდეგ კი ფინანსთა მინისტრი იყო და ამავე დროს სამხედრო საველე მეთაურის ფუნქციებიც ჰქონდა).

მეორე მხრივ, „თალიბანმა“ მარჯვედ გამოიყენა რელიგიური დოგმატიკა საკუთარი იდეოლოგიური ბაზისის განსამტკიცებლად, გამოიყენა ისლამის (რომელიც დომინანტი რელიგიაა ავღანეთში) არა კლასიკური, არამედ პურიტანული მიმართულება, კერძოდ, სალაფიზმის თეოლოგიური დოქტრინა, მისი ერთ-ერთი რეტროგრადული მიმდინარეობა — დეობანდიზმი (ვაჰაბიზმის ერთგვარი სამხრეთაზიური სახეობა). მიმართავდნენ რელიგიურ მანიპულაციასაც, როგორც პოლიტიკური მართვის ტექნოლოგიის ერთ-ერთ ფორმას. სახელდობრ, 1994 წელს, როდესაც „თალიბანის“ სამხედრო ფორმირებებმა დაიკავეს ყანდაარი, მოლა მუჰამად ომარმა გადადგა მნიშვნელოვანი ისტორიული ნაბიჯი, რითაც განამტკიცა საკუთარი ქარიზმატული პოზიცია ავღანეთის მოსახლეობაში. მან სახალხო შეკრებაზე ჩაიცვა წინასწარმეტყველ მუჰამადის წმინდა მოსასხამი და თავი „მართლმორწმუნეთა ლიდერად“ (ამირ-ულ მომინინი) გამოაცხადა. ამით მოლა ომარმა თავი წარმოაჩინა არა მხოლოდ ავღანელების, არამედ მთელი მუსლიმანი უმას (საზოგადოების) წინამძღოლად. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ 1996 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა „თალიბებმა“ ისლამის დაარსების პირველი პერიოდისთვის (სამი წმინდა ხალიფის მმართველობისას) დამახასიათებელი ახალი თეოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობა გამოაცხადეს, ანუ შეიქმნა ავღანეთის ისლამური საამირო (ტერმინი უტოლდება ტერმი



*„თალიბანის“ იდეოლოგიაში დიდი ადგილი უკავია რელიგიურ დოგმატიკას*



„თალიბებმა“ ავღანეთი შუასაუკუნოვან ისტორიულ ეპოქაში დააბრუნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხალიფატს“, განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში), ხოლო მოლა ომარი გამოცხადდა ემირად (მუსლიმანთა მმართველად).

ეს გამოიხატა არა მარტო წმინდა სამართლებრივ-პოლიტიკურ დეკლამაციაში, არამედ კონკრეტულ ნაბიჯებშიც — დამკვიდრდა შარიათის (ისლამური კანონმდებლობის შემოღება) წესები. ქვეყანაში გამეფდა ე. წ. ფარზის პრინციპი, რაც გულისხმობდა შარიათის წესების მკაცრად დაცვას. „თალიბებმა“ დააწესეს ყველა მამაკაცისთვის აუცილებელი წესით ნამაზის (ლოცვის) ჩატარება დღეში ხუთჯერ, თანაც კოლექტიური ფორმით და თანაც აუცილებლად მეჩეთებში;

ბავშვებისა და ახალგაზრდების სწავლა-განათლება მხოლოდ და მხოლოდ მედრესეებში (სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში);

შემოიღეს შარიათის კანონებიდან გამომდინარე, სასჯელის მთელი წყება, ე. წ. „ჰუდუდი“, რომელიც მოითხოვდა ქურდობისთვის ხელის მტევნის მოკვეთას, მოღალატე ცოლების ქვებით ჩაქოლვას, სპირტიანი სასმელების სმის შემთხვევაში საჯარო გაროზგვას და ა.შ.; „თალიბებმა“ მუსიკა, აზარტული თამაშები, ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებები (როგორც მხატვრული, ისე სკულპტურული), ისევე როგორც სხვა რელიგიური მიმდინარეობის ძეგლები და მონუმენტები, რომლებიც გამოცხადებული იყვნენ როგორც კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებად (ბამიანის პროვინციაში ბუდას მონუმენტური ქანდაკების განადგურება);

აიკრძალა ინტერნეტი და ტელევიზია;

ამით ქვეყნის მოსახლეობა სრულ ინფორმაციულ იზოლაციაში მოექცა, (ქვეყანაში მოქმედებდა მხო-

**საბოლოოდ, „თალიბანის“ პოლიტიკური კურსის სტრატეგიულ მიზნებს შეადგენს შემდეგი:**

- „თალიბანის“ ხელისუფლებაში დაბრუნება და თეოკრატიული სახელმწიფოს აღდგენა;
- ავღანეთისა და პაკისტანის რელიგიური საზოგადოების მობილიზება და მომავალში გაერთიანებული ისლამური ხალიფატის დაარსება. შემთხვევით არ არის, რომ უკვე ავღანეთში „თალიბანის“ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, პაკისტანში დაუმორჩილებელი ვაზირისტანისა და ჩრდილო-დასავლეთის სასაზღვრო ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა „თალიბანის“ პაკისტანური ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ავღანური თანამოძმეებისთვის დასაყრდენ გეოსტრატეგიულ ბაზას და ზუსტად ახორციელებს მათ იდეებს;
- პუშტუნთა ტომების გადმობირება „პუშტუნვალის“ ღირსების კოდექსისა და რელიგიური იდეოლოგიის საფუძველზე და იმ პოლიტიკური კურსის გატარებას, რაც გულისხმობს „პუშტუნების დამონებას სხვა ეთნოსების წარმომადგენელთა ხელისუფლების მხრიდან“;
- „თალიბანის“ სიძლიერის განმტკიცება და ავღანეთის ამჟამინდელი ხელისუფლებისა და პაკისტანის მთავრობის ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენება და ნატოს კოალიციის წასვლის შემდეგ, ავღანეთისა და პაკისტანის ტერიტორიებზე საერთო თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.




ლოდ რადიო „შარიათი“ და „ჯიჰადის ხმა“, რომელიც მოგვიანებით ინტერნეტპორტალად გადაიქცა).

ქალთა უფლებები მკვეთრად შეიზღუდა და მათი ქცევის წესები განისაზღვრა წინასწარმეტყველ მუ-ჰამადის დროს მოქმედი ტრადიციებით. მოკლედ, „თალიბებმა“ ავღანეთი შუასაუკუნოვან ისტორიულ ეპოქაში დააბრუნეს არა მხოლოდ დე ფაქტო, არამედ დე იურეც — შემოღებულ იქნა ჰიჯრის კალენდარი, სადაც წელთაღრიცხვა წინასწარმეტყველ მუჰამადის ცხოვრების ეპოქიდან იწყება.

რაც შეეხება „თალიბანის“ მოძრაობის სტრუქტურასა და ორგანიზაციულ სქემას, მას აქვს ძალიან მარტივი იერარქიული მართვის მოდელი, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილებებს იღებენ. ეს მოდელი ძალიან წააგავს საბჭოური პოლიტიკური მმართველობის ტიპაჟს (იხილეთ სპეციალური სქემატური სურათი). „თალიბანის“ უმაღლესი სტრატეგიული პოლიტიკური ორგანოა უმაღლესი შურა (საბჭო), სადაც შედიან მოძრაობის სასულიერო მაღალი რანგის პირები. შურა ახორციელებს სტრატეგიულ დაგეგმარებას, რეგიონული ლიდერების ხელმძღვანელობა ფეთვების (სულიერი ლიდერის მიერ გამოცემული ბრძანებულება) ან სპეციალური დეკრეტების მეშვეობით, რომელიც მიიღება კონსენსუსის პრინციპით. რეგიონულ დონეზე მართვას ახორციელებს ჯირგა (ტომების საბჭო), რომელიც შედგება უხუცესებისა და პატივსაცემი პირებისგან, რომლებსაც ემატება ულემების (ისლამური თეოლოგების) აზრიც, ხოლო ლოკალურ დონეზე გადაწყვეტილებებს, უფრო მეტად ავტონომიურ რეჟიმში, იღებს სოფლის „თალიბანის“ ადგილობრივი ორგანიზაცია-ქსელი. ქსელში შედის 10-50 თალიბი.

**ვახტანგ მაისაია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# “ფრთოსანი ისკანდერი”



28 ივნისს რუსეთის თავდაცვის მინისტრი ასტრახანის ოლქში განთავსებულ სარაკეტო ჯარებისა და სახმელეთო ჯარების არტილერიის საბრძოლო გამოყენების მე-60 სასწავლო ცენტრს ეწვია. ქალაქ ბირობიჯანში დისლოცირებულ 107-ე სარაკეტო ბრიგადას კი სრულად დაკომპლექტებული Искандер-М-ის ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსის გამშვები 12 დანადგარი გადასცეს.

განახლებულ სავალ ნაწილთან ერთად (მე-2 სერიის თვითმავალი გამშვები დანადგარი 9П78-1) ახალ კომპლექსზე ცალკეული სისტემებიც გაუმჯობესდა. თუმცა მთავარი ცვლილება შეიარაღებას შეეხო.

მინისტრისთვის მოწყობილ საჩვენებელ ცერემონიალზე ფოტორეპორტიორთა ობიექტივში ერთი მეტად საინტერესო ობიექტი მოხვდა — ახალი ტიპის ქსოვილის კამუფლაჟით შენიღბული „ისკანდერი“, რომელიც ბალისტიკურების ნაცვლად ფრთოსანი რაკეტებით იყო შეიარაღებული. ახალი კონფიგურაციის Искандер-М-ს უკვე ორივე ტიპის რაკეტების გამოყენება შეუძლია.

„ფრთოსან ისკანდერზე“ რუსები უკვე რამდენიმე წელიწადია მუშაობენ. საწყის ეტაპზე კომპლექსის ამ ვარიანტს Искандер-К-ით მოიხსენიებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი მოდიფიკაციის შექმნას, რუსებმა ერთი უნივერსალური ვარიანტის შემუშავება ამჯობინეს, რომელიც ერთდროულად ორი განსხვავებული ტიპის რაკეტის გამოყენებას შეძლებდა. საექსპლუატაციო თვალსაზრისით ეს მიდგომა სავსებით გამართლებულია.

პირველი ცნობები Искандер-К-ზე რუსულ პრესაში 2004-2005 წელს გაჩნდა. 2007 წელს კაპუსტინ-იარის პოლიგონიდან ისკანდერის კომპლექსმა ფრთოსანი რაკეტა პირველად გაუშვა. ბალისტიკური ვარიანტის მსგავსად, „ფრთოსანი“ მოდიფიკაციაც ორი რაკეტითაა შეიარაღებული, მაგრამ ამ შემთხვევაში რაკეტები სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერებშია მოთავსებული.

დიდ ინტერესს სწორედ ახალი ფრთოსანი რაკეტები იწვევს. კონტეინერიდან Р-500-ის ტიპის რაკეტის „ამოგდებას“ მყარსაწვავიანი რაკეტული ამაჩქარებელი უზრუნველყოფს. მისი მოცილების შემდეგ, რაკეტას ფრთები ეშლება და ფრენას მცირე გაბარიტული რეაქტიული ძრავა აგრძელებს. რაკეტის მახასიათებლები, ასევე გაბარიტული და წონითი პარამეტრები უცნობია. აშკარაა, რომ საფუძვლად რუსებმა ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში შექმნილი რაკეტა КС-122 (3М10) გამოიყენეს.

1975 წელს წყალქვეშა ნავების შესაიარაღებლად საკონსტრუქტორო ბიურო „ნოვატორმა“ ახალ სარაკეტო კომპლექსზე С-10 Гранат (3К10) დაიწყო მუშაობა. რაკეტის გამოყენება როგორც წყალქვეშა ნავის სარაკეტო შახტებიდან, ასევე სატორპედო აპარატებიდან შეიძლებოდა.

სასტარტო ძრავით რაკეტის სიგრძე 8,09 მ (სამარშო კონფიგურაციაში 6,2 მ) იყო და 200 კგ-იანი საბრძო-




„კალიბრის ოჯახის“ ერთ-ერთი რაკეტა სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ განკუთვნილი 3M-14Э. სავარაუდოდ, „ფრთოსანი ისკანდერი“ სწორედ მის მოდიფიცირებულ ვარიანტს იყენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ქობინი მიჰქონდა. რაკეტის ფრენის საპროექტო მანძილი 2 600-2 900 კმ-ით განისაზღვრებოდა.

კომპლექსი „გრანატი“ შეიარაღებაში 1983 წელს მიიღეს და 671РТМ(К) Щука და 971 Щука-Б-ის ტიპის მრავალმიზნობრივ ატომურ წყალქვეშა ნავებზე განათავსეს. არსებული ცნობით, კომპლექსი ზოგიერთი წყალქვეშა ნავის შეიარაღებაში დღემდე რჩება.

საზღვაოსთან ერთად, სპეციალისტები რაკეტა КС-122-ის სახმელეთო ვარიანტზეც მუშაობდნენ.



სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერში მოთავსებული რაკეტა ოთხღერძიან მაღალი გამავლობის МАЗ-543М-ზე განათავსეს. გამშვებ პაკეტში ექვსი რაკეტა თავსდებოდა. მარშიდან კომპლექსი 15 წთ-ში პირველი რაკეტის გაშვებისთვის მზად იყო. ზალპით სროლის შემთხვევაში, ერთი მანქანიდან რაკეტების გაშვების ინტერვალი 1 წმ-ს არ აღემატებოდა.

ოპერატიულ-სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი РК-55 Рельеф-ი შეიარაღებაში 1986 წელს მიიღეს. მაგრამ ორი წლის შემდეგ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის საშუალო და ახლო დისტანციებზე მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების პირობებისამებრ 6 გამშვები დანადგარი და 80 ფრთოსანი რაკეტა განადგურდა. კომპლექსმა არსებობა შეწყვიტა. თუმცა თავად რაკეტა წყალქვეშა ფლოტის შეიარაღებაში დარჩა.

1983 წლიდან С-10 Гранат-ისა და РК-55 Рельеф-ის შემქმნელმა საკონსტრუქტორო ბიურო „ნოვატორ-

*მობილურ ოპერატიულ-სტრატეგიულ კომპლექსებზე არა მხოლოდ სსრკ-ში მუშაობდნენ. ამერიკელებმა სისტემა Gryphon-ი საბჭოურ „რელიეფზე“ ადრე შექმნეს, ის Tomahawk-ის ტიპის ფრთოსან რაკეტებს იყენებდა. ს[...] ბაზო მოდელისგან ახალი BGM-109G-ის ტიპის რაკეტ[...] მხოლოდ საბრძოლო ქობინით განსხვავდებოდა და მის[...] სიმძლავრე 0,2-დან 150 კილოტონამდე ვარირებდა. „ტომაჰავკი“ სამიზნის მაქსიმალურ 2500 კმ-ზე ანადგურებდა.*

*რაკეტების გაშვება MAN AG-ის (8X8) შასზე დაყენებული ოთხმიმმართველიანი პაკეტიდან ხდებოდა. მშვიდობიანობის დროს მანქანები სპეციალურ მიწისქვეშა ბუნკერებში ინახებოდა.*

*1982-დან 1988 წლამდე აშშ-ის არმიამ BGM-109G-ის ტიპის 448 რაკეტა მიიღო და MGM-31C Pershing II-ებთან ერთად, აღმოსავლეთ ევროპაში „გრიფონებს“ ქართველი ალექსანდრე ნადირაძის შექმნილი „პიონერებისთვის“ შემაკავებელ ფაქტორად განიხილავდა.*

*საშუალო და ახლო დისტანციებზე მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმებით ამერიკელებმა „გრიფონის“ ყველა გამშვები მანქანა და თავად რაკეტები გაანადგურეს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა“ ერთდროულად რამდენიმე მოდიფიკაციის ახალ რაკეტაზე დაიწყო მუშაობა. რაკეტების მომდევნო „ოჯახს“ Калибр-ი, ხოლო საექსპორტოს Club-ი ეწოდა. ის ერთდროულად რაკეტა-ტორპედოებს, ხომალდსაწინააღმდეგო და სახმელეთო ობიექტების გასანადგურებელ რაკეტებს აერთიანებს.

რაკეტა 3М-14Э 1770 კგ-ს იწონის და 450 კგ-იანი მსხვრევად-ფუგასური ან კასეტური საბრძოლო ქობინი მიაქვს. ფრენის მანძილი 300 კმ-ით განისაზღვრება, მაგრამ ყველაზე საინტერესო რაკეტის სიგრძეა — 6,2 მ. სწორედ ამდენია „გრანატსა“ და „რელიეფში“ გამოყენებული რაკეტა КС-122-ის სამარშო სიგრძე. ეს უკანასკნელი და 3М-14Э ფორმითაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ანალოგიური სიგრძისა და ფორმისაა „კალიბრის ოჯახის“ კიდევ ერთი რაკეტა 3М-54Э1. ის ხომალდსაწინააღმდეგო დანიშნულებისაა და 400 კგ-იანი საბრძოლო ქობინი აქვს.

უნივერსალურობის წყალობით „კალიბრის“ ტიპის რაკეტების განთავსება როგორც წყალზედა და წყალქვეშა, ასევე სახმელეთო გამშვებ დანადგარებში შეიძლება. ყველა მოდიფიკაციაში რაკეტების კორპუსის დიამეტრი 533 მმ-ია. შესაბამისად, მათი გაშვება ნებისმიერი ტიპის საბჭოური/რუსული წყალქვეშა ნავის სატორპედო აპარატებიდან შეიძლება.

„ისკანდერის“ ბალისტიკური რაკეტის სიგრძე 7,28 მ-ია. შესაბამისად, КС-122-ის ან 3М-14Э/3М-54Э1 რაკეტების ბაზაზე შექმნილი ახალი ფრთოსანი Р-500, „ისკანდერის“ გამშვები მანქანის ნაკვეთურში სავსებით ჩაეტევა.

ერთ გამშვებ მანქანაზე ორი განსხვავებული ტიპის რაკეტის მორგებით რუსებმა „ისკანდერის“ საბრძოლო პოტენციალი გაზარდეს. უნიფიკაციის წყალობით,



საბჭოური მობილური ოპერატიულ-სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი РК-55 Рельеф-ი

კომპლექსის ფრთოსანიდან ბალისტიკურ მოდიფიკაციაზე (ან პირიქით) გადასაყვანად, მხოლოდ რაკეტის შეცვლაა საჭირო. Искандер-М-ის ერთ გამშვებ მანქანაზე ერთდროულად ორივე ტიპის რაკეტის (თითო ერთეულის ოდენობით) განთავსებაც შეიძლება, რაც „ისკანდერით“ შესასრულებელ ამოცანათა სპექტრს აფართოებს.

**ალექსანდრე აფაქიძე**



*სანაპირო თავდაცვის მობილური სარაკეტო კომპლექსი Калибр-М-ი. „ისკანდერის“ მსგავსად ისიც МЗКТ-7930-ის ტიპის თვლიან შასიზე ბაზირებს. მაგრამ მისგან განსხვავებით, რაკეტების ნაკვეთური უფრო მაღალი აქვს. ეს ცვლილება კომპლექსის შეიარაღებამ განაპირობა.*

*Калибр-М-ის არსენალში ოთხი ფრთოსანი რაკეტა შედის. „ფრთოსანი ისკანდერის“ მსგავსად, ისინიც თითქმის ანალოგიურ სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერშია მოთავსებული. სავარაუდოდ, რუსებმა მობილური „კალიბრისა“ და ფრთოსანი „ისკანდერის“ გარკვეულ დონეზე უნიფიცირება მოახდინეს. კომპლექსი 3М-54Э, 3М-54Э1 და 3М-14Э-ს ტიპის რაკეტების გამოყენებაზეა გათვლილი. თუმცა საინტერესოა, რისთვის სჭირდება სანაპირო დაცვის მობილურ კომპლექსს რაკეტა (3М-14Э), რომელიც სახმელეთო სამიზნეების გასანადგურებლადაა განკუთვნილი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მობილურმა „კალიბრმა“ 3М-54Э-ის ტიპის რაკეტის გამოყენებაც შეძლოს. სხვა ორი ვარიანტისგან განსხვავებით, მისი სიგრძე 8,22 მ-ია. შესაბამისად, საეჭვოა, რომ ის სტანდარტული МЗКТ-7930-ის ნაკვეთურში ჩაეტიოს, რომლის სიგრძე 7,4 მ-ს არ აღემატება.*



# AS.565 Panter

მაქსიმალური სააფრენო მასა – 4250 კგ.
ორტურბინიანი ძრავები – 2X794 ცხ.ძალიანი,
მაქსიმალური სიჩქარე – 296 კმ/სთ-ში,
ფრენის სიშორე – 875 კმ
ეკიპაჟი – 2 კაცი
საბრძოლო დატვირთვა – 10 მეომარი ან 1700 კგ ტვირთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარები




პირველ მსოფლიო ომში ტანკებთან ბრძოლის პირველი და მთავარი საშუალება არტილერია იყო. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომში სხვა ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებიც გამოჩნდა, ჯავშანტექნიკასთან ბრძოლის მთავარ იარაღს მაინც სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი წარმოადგენდა.

თუმცა მრავალრიცხოვან საბჭოთა სატანკო არმიებთან ბრძოლაში ვერმახტისთვის მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები საკმარისი არ აღმოჩნდა.

1943 წლის მეორე ნახევრიდან გერმანელი ჯარისკაცების შეიარაღებაში გამოჩნდა საკმაოდ ეფექტური ერთჯერადი გამოყენების ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი Panzerfaus-ი.

გავიდა ერთ წელზე ცოტა მეტი და გერმანიის არმიამ ტანკებთან ბრძოლის კიდევ ერთი, მაგრამ პრინციპულად სრულიად განსხვავებული, კომპაქტური და მაღალი სიზუსტის საბრძოლო საშუალება მიიღო.

1944 წელს სახმელეთო ჯარების შეიარაღების სამართველომ ფირმა Ruhrstahl-ს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტის შექმნა დაავალა. ფირმის სპეციალისტებმა უკვე გამოცდილი საავიაციო რაკეტა X-4-ის საფუძველზე მცირე დროში ტანკსაწინააღმდეგო ვერსია X-7 დაამზადეს და 1944 წლის 21 სექტემბერს ზენელაგერის პოლიგონზე შეამოწმეს.

საცდელი სროლა X-7-ისთვის საკმაოდ შედეგიანად დაიწყო — პირველი ოთხი რაკეტა სტარტიდან 20-25 მ-ის ფრენის შემდეგ ჩამოვარდა, ხოლო მომდევნო ორს კი ფრენისას ძრავები აუფეთქდა. მოლოდინი მე-7 რაკეტამ გაამართლა და 500 მ-ის დაფარვის შემდეგ სამიზნე ტანკის კორპუსს ზუსტად შუაში მოხვდა. რაკეტის ფრენის სტაბილიზაციას გიროკომპასი უზრუნველყოფდა, ხოლო მართვის ბრძანებებს კი ოპერატორი სპეციალური სახელურით, ჯოისტიკით ორი იზოლირებული სადენით გადასცემდა. თავად სადენებიანი დოლები რაკეტების ფრთების ბოლოში იყო მოთავსებული და ფრენისას იშლებოდა. სამიზნეს ძებნა, შერჩევა, დამიზნება და რაკეტის მიზანზე გაყვანა მთლიანად ოპერატორის მახვილ თვალზე იყო დამოკიდებული.

მრავალი ნაკლისა და ომით გამოწვეულ სიძნელეთა მიუხედავად, 1945 წელს გერმანიის ქარხნებმა 300 რაკეტის დამზადება მოასწრეს. გამოშვებული X-7-ების ერთი ნაწილი ფრონტზე მოხვდა, ხოლო მეორე კი მოკავშირეებს დარჩათ.

გერმანულ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტაზე მუშაობა 1948 წლიდან ფრანგულმა კომპანია l'Arsenal de l'Aeronautique-მ განაგრძო. 1954 წელს ეს უკანასკნელი კომპანია Nord-Aviation-ს შეუერთდა და მომავალ წელს პროექტიც დასრულდა.

1955 წელს ერთ-ერთი პირველი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა Nord SS.10 საფრანგეთის არმიის შეიარაღებაში შევიდა. რაკეტის პირველი ვერსია გადასატანი იყო და გამოყენების წინ სხვადასხვა პროცედურასა და დროს მოითხოვდა, — საჭირო იყო პოზიციის შერჩევა, კომპლექსის ნაწილების მანქანიდან გადმოტანა, რაკეტების აწყობა (ორი ბატარეისა და საბრძოლო ნაწილის დაყენება) და კომპლექსში შემავალი ელემენტების

ერთმანეთთან კაბელებით მიერთება. რაკეტას ოთხი კაცი ემსახურებოდა, — მემიზნე, იგივე გათვლის უფროსი, მძღოლი და 2 უმცროსი ოპერატორი. გათვლის უფროსი პოზიციას იკავებდა (რაკეტის გამშვები დანადგარიდან 100-300 მ-ის დაშორებით), საიდანაც მიზნის აღმოჩენა-იდენტიფიცირებით იყო დაკავებული და რაკეტის მომზადებაზე ბრძანებას საველე ტელეფონით გადასცემდა. ამის შემდეგ ერთ-ერთ უმცროს მემიზნეს რაკეტა სასტარტო მდგომარეობაში მოჰყავდა და უშვებდა. მეორე უმცროსი მემიზნე დამხმარე პერსონალის მოვალეობას ასრულებდა და კომპლექსის აწყობა-მომზადებაში მონაწილეობდა.

ფრანგული რაკეტები პირველად 1956 წლის სუეცის კრიზისის დროს გამოიყენეს და სამხედროების შენიშვნებიც დაიმსახურეს. განსაკუთრებით შესამჩნევი კომპლექსის დაუცველობა იყო, რის გამოც გამოყენების ეფექტურობა საგრძნობლად მცირდებოდა. ასევე, აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო კომპლექსის მობილური ვარიანტი. ფრანგ პარაშუტისტებს მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოქმედება მეტწილად მოწინააღმდეგის ზურგში უხდებოდათ და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებით აღჭურვილ მაღალი გამავლობის მსუბუქ ავტომობილებს საჭიროებდნენ. პირველი თვითმავალი მობილური კომპლექსის ბაზად ამერიკული „ჯიპის“ ფრანგული ანალოგი Hotchkiss M201 (4X4) შეირჩა. ავტომობილის ძარის ზომიდან გამომდინარე, მის უკანა ნაწილში 3 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა SS.10 მოთავსდა.

არმიის მოთხოვნა თვითმავალ ტანკსაწინააღმდეგო დანადგარებზე იმდენად დიდი იყო, რომ ანალოგიური სქემით მეორე ფრანგული კომპანიის, Delahaye VLR-ის ჯიპებიც აღიჭურვა. საავტომობილო დანადგარს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა, ავტომობილში მყოფი პირები და თავად რაკეტებიც ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიებისა თუ ჭურვების ნამსხვრევებისგან ისევ დაუცველი იყო.


რუსული Фагот-ისა და Скорпион-ის აზერბაიჯანული ვარიანტი

1960 წელს ისევ ფრანგებმა სამამულო წარმოების მსუბუქი ტანკის AMX 13-ის მოქანავე კოშკურას 75 მმ-იანი ქვემეხის აქეთ-იქით ორ-ორი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა SS.11 დაუყენეს და დაცვის პრობლემაც თითქოს გადაიჭრა. თავად ტანკი უმნიშვნელო გადაკეთებას საჭიროებდა, საბრძოლო განყოფილებაში დასამატებელი იყო სპეციალური დამმიზნებელი, მართვის ბლოკი, გენერატორი, კვების ბლოკი, მართვის პულტი სახელურითა და საკონტროლო-მზომი აპარატურა.

ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით აღჭურვილი მსუბუქი ტანკი AMX 13



რაკეტის სასროლად და სამიზნეზე გასაყვანად ტანკი ჩერდებოდა, რაც მოწინააღმდეგეს ტანკის მწყობრიდან გამოყვანას უადვილებდა. დაზიანებული ტანკი კი მეტწილად ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გამოყენების უნარსაც კარგავდა. ამის მიუხედავად, AMX 13 სერიულად მზადდებოდა და ის ფრანგებმა სხვადასხვა ომში გამოიყენეს.

ბევრად პრაქტიკული ჩანდა ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით ჯავშანტრანსპორტიორების შეიარაღების ვარიანტი. გასული საუკუნის 50-იანი წლების ფრანგული მუხლუხა ჯავშანტრანსპორტიორის Hotchkiss CC2-ის სატვირთო ნაკვეთურში ოთხი რაკეტის SS.11-ის დაყენებით, როგორც იქნა, ოპტიმალური პლატფორმა მოიძებნა. ჯავშანტრანსპორტიორს ზევიდან ღია დაჯავშნული კაბინა ჰქონდა დადგმული, სადაც რაკეტის მართვის აპარატურა და ტელესკოპური დამმიზნებელი იყო მოთავსებული.

იმ წლებში ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტებს ყველაზე ხშირად ისრაელის არმია იყენებდა. თვითმავალი დანადგარების უპირატესობას სხვებზე ადრე ებრაელი სამხედროები მიხვდნენ. არმია სატრანსპორტო საშუალების რაც შეიძლება მეტი რაკეტით აღჭურვას მოითხოვდა, ხოლო „ჯიპები“ კი სამ რაკეტაზე მეტს არ იტევდნენ. გამოსავალი საავტომობილო კომპაქტურ მისაბმელში მოიძებნა და კომპლექსების გათვლებმა დამატებით კიდევ ხუთ-ხუთი რაკეტა მიიღეს.

1959 წლის მიწურულსა და 1960 წლის დამდეგს ისრაელის არმიამ Dodge Comandcar-ის ბაზაზე შექმნილი თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი მიიღო. ავტომობილის ძარა 4 რაკეტას იტევდა და კიდევ 2 რაკეტის გადასატანი კომპლექსიდან მიერთება-მართვა იყო შესაძლებელი. ისრაელის არმიაში ავტომობილებთან ერთად ოთხ-ოთხი SS.11-ით ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორები M3-ებიც იყო აღჭურვილი.


სომხეთის არმიის საბრძოლო მანქანა 9П148

თვითმავალ დანადგარზე რაკეტების რაოდენობას მაინც მისი მასა-გაბარიტული ზომები განსაზღვრავს. მაგალითად, მეორე თაობის რაკეტა ENTAC-ი წინა SS.11-ზე თითქმის 2,5-ჯერ მსუბუქია, ზომებითაც ჩამოუვარდება და „ჯიპის“ ტიპის ავტომობილზე რვა რაკეტა თავისივე მართვის აპარატურით თავსდება.

პრაქტიკულად ყველა თანამედროვე ჯავშანავტომობილისა თუ ჯავშანტრანსპორტიორისთვის მწარმოებელ კომპანიებს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებით აღჭურვის სხვადასხვანაირი ვერსია აქვთ მომზადებული. თანაც მყიდველს საშუალება აქვს,


თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი M901 ITV



თავად ამოირჩიოს, თუ რომელი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსით სურს მისი აღჭურვა.

ფართოდ გავრცელებული ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს BGM-71 TOW-ის სატარებლად იყენებენ ავტომობილ HMMWV-ის სხვადასხვა მოდელს (M966, M1036, M1046), ქვეითთა საბრძოლო მანქანა M2 Bradley-ს, თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარ M901 ITV-ს, შვეიცარიულ MOWAG-ის Piranha-ებს, თურქულ Otokar-is Cobra-ს და კიდევ მრავალ სხვას.

„ცივი ომის" ხანაში საბჭოთა ტანკებთან საბრძოლველად ამერიკელებმა ჯავშანტრანსპორტიორ M113-ის საფუძველზე სპეციალური თვითმავალი დანადგარი M901 ITV-ი დაამზადეს. მანქანის კორპუსზე გარედან კოშკურა იყო დაყენებული მიზნების საძებნი აპარატურითა და ორი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტით. კორპუსის შიგნით კიდევ 10 რაკეტა ინახებოდა და კოშკურის გადაიარაღება ეკიპაჟს გარეთ გამოუსვლელად შეეძლო. თუმცა ამ დროს საბრძოლო მანქანა გაჩერებული უნდა ყოფილიყო. საჭიროების შემთხვევაში, ეკიპაჟს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის მანქანის გარეთ გამოყენება სამფეხა სადგარის საშუალებით შეეძლო. ბრძოლის დროს ჰიდრავლიკური და ელექტრული ამძრავების დახმარებით კოშკურა კორპუსიდან ზევით იწევდა, სამიზნეებს წრიულად 24-საათიან რეჟიმში ეძებდა და მონაცემებს ჯავშნიან მანქანაში მყოფ გათვლას გადასცემდა.

ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო თვითმავალი დანადგარებით არის აღჭურვილი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის არმია და მათ რიცხვშია ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის არმიებიც.

ბაქო დიდ ყურადღებას უთმობს ამგვარი კომპლექსებით შეიარაღებული ძალების აღჭურვას და ბოლოდროინდელი აღლუმებიც ამასვე ადასტურებს. აზერბაიჯანელმა სპეციალისტებმა საკუთარი ძალებით უკრაინულ-ბელორუსული ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი Скиф-ш ჩვენთვის კარგად ნაცნობ თურქულ ჯავშანავტომობილ Cobra-ს მოარგეს. საკმაოდ გავრცელებული რუსული ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს Фагот-ის სატარებლად УАЗ-ის წარმოების Скорпион-ის მოდელის ავტომობილები გამოიყენება.

საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა БРДМ-2-ის ბაზაზე შექმნილი საბრძოლო მანქანა 9П148 კი სომხეთის არმიის შეიარაღებაში შედის. საბრძოლო მანქანას კორპუსზე ხუთი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის (9М113 Конкурс-ი ან 9М111Фагот-ი) სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერია დაყენებული და მისი დაცლის შემდეგ კონტეინერი მანქანას ავტომატურად სცილდება. გარდა ამისა, კიდევ 20 რაკეტა მარაგშია და ორ კაცს მანქანიდან გარეთ გამოუსვლელად კონტეინერის გადაიარაღება შეუძლია.

საინტერესოა ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო თვითმავალ დანადგარად ეროვნული წარმოების ჯავშანტექნიკა „დიდგორი" ან „ლაზიკა" გვეხილა. ასეთი კომპლექსებისთვის ორივე საკმაოდ კარგ პლატფორმას წარმოადგენს და შესაბამისად, ქართული არმიის ტანკსაწინააღმდეგო ქვედანაყოფების ეფექტურობა-მობილურობაც გაუმჯობესდება.

**თემურ ჩაჩანიძე**



თურქული Cobra ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებით



გერმანული საბრძოლო სადაზვერვო მანქანა Wiesel-ი ტანკსაწინააღმდეგო ვარიანტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაქირავებული ჯარისკაცის „აღსარება“ ანუ რუსული ბალანსი



**პოსტსაბჭოთა ყველა კავკასიური ომი ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთსა თუ ყარაბაღში სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მეტ-ნაკლები აქტიურობით მიმდინარეობდა. ერთ ნაწილს ფული იზიდავდა, მეორეს — ხიფათი, მესამეს — მოვალეობის გრძნობა და ა.შ. იყო შემთხვევები, როცა დაპირისპირებულ მხარეთა შორის ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები ერთდროულად სხვადასხვა მიზნისთვის იბრძოდნენ. ჟურნალ „სოლდატ უდაჩიდან“ (1999 წლის №10) ნათარგმნი ეს სტატიაც ამის შესახებ მოგვითხრობს.**

**ნაწილი I**

ყარაბაღში მოხალისედ წასვლა გადავწყვიტე და მოსკოვში სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობას მივაკითხე. 1992 წლის 18 ივლისს კი უკვე თვითმფრინავის ტრაპიდან „ზვარტნოცის“ აეროპორტში ჩამოვდიოდი. იმავე დღეს, სომხეთის თავდაცვის სამინისტროში გასაუბრების შემდეგ, აეროპორტ „ერუბინიდან“ შვეულმფრენით ყარაბაღისკენ გავფრინდი. მთიანი ყარაბაღის არმიის მაშინდელ სარდალთან სერჟ სარგსიანსა და მის სამხედრო მრჩეველთან, პოლკოვნიკ ბინევიჩთან საათნახევრიანი საუბრის შემდეგ, მარტუნის რაიონში გამგზავნეს, ლეგენდარული სომეხი მეთაურის, ავო-მონტე მელქონიანის განკარგულებაში.

10-15 დღის შემდეგ სერჟ სარგსიანის ბრძანებით შევუდექი ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი ჯგუფის ფორმირებას. ჩემი რაზმის რვა რუსი მოხალისიდან ორი მათგანი, დმიტრი მოტრიჩი და ილია კულიკი კადრის ოფიცრები იყვნენ. რვავე მოხალისეს გამოვლილი ჰქონდა დნესტრისპირეთის ბრძოლები. ჩვენ სამი БМП და ამდენივე ადგილობრივი მძღოლ-მექანიკოსი გამოგვიყვეს. ოთხ დღეში სამივე ქვეითთა საბრძოლო



ყარაბაღის არმიის სატრანსპორტო საშუალება — სახედარი

მანქანას ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების დანადგარები დავუყენეთ. კოშკურებზე კრონშტეინებით დავამაგრეთ ტანკსაწინააღმდეგო Малютка-ს პაკეტები.

1992 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი ჯგუფი (ოფიციალურად ყარაბაღის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში არ ირიცხებოდა) პირადად სერჟ სარგსიანს ემორჩილებოდა. მაშინ ჩვენ, ძირითადად, მარტუნის რაიონში ვმოქმედებდით.

## ბრძოლები ჩართარის სიახლოვეს

1992 წლის ნოემბერში სოფელ ჩარტარის სიახლოვეს ჩემმა ბიჭებმა პატარა გაფიცვა მომიწყვეს. საქმე ის იყო, რომ ჩემ გარდა არავის შეეძლო ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების დანადგარ „მალიუტკას“ გამოყენება. ამასთან, ჯგუფს აზერებისთვის უკვე საგრძნობი ზიანი ჰქონდა მიყენებული და ბიჭები, ცოტა არ იყოს, „დაკომპლექსებული“ იყვნენ.

— შენ, ბატია, აზერების ტექნიკას ანადგურებ და მეთაურებში ავტორიტეტს იმსახურებ, ჩვენ კი შენი დიდების სხივები გვათბობს. შენი აზრით, ჩვენ რაკეტების მოწოდების გარდა არაფერი შეგვიძლია. ან რაიმე დამოუკიდებელი დავალება მოგვეცი, ანდა უარს ვიტყვით შენზე და სხვა რაზმში გადავალთ.

— რა უნდა დაგავალოთ? — გავიკვირვე მე.

— რა და აი, ჩვენ ცხვირწინ აზერების პოსტია, ღამღამობით იქ ერთ ოცეულზე ნაკლები ჯარისკაცი თუ რჩება. პოსტის მიღმა კი БМП და „შილკაა“. ოთხი დღეა რაც მათ ვუთვალთვალებთ. ღამით თავს დავესხათ, ამოვხოცოთ და ტექნიკა წამოვიღოთ.

— რადგან ასეთი მდგომარეებაა, — ვთქვით მე რაზმის „შენარჩუნების“ მიზნით, — დასტურს ვიძლევი.

მე კარგად მესმოდა, რას გრძნობდა იმ დროს მოტრიჩი, წყნარი ოკეანის ფლოტის საზღვაო ქვეითი. იგი



ომის უცნობი მსხვერპლნი

საუკეთესოდ მომზადებული დივერსანტ-ამფეთქებელი იყო. პირველად „დაშნაკციუთუნის“ ბატალიონის ინსტრუქტორი იყო, ხოლო როცა „რუსული ჯგუფის“ არსებობა გაიგო, ჩვენთან გადმოსვლა მოინდომა, რასაც სარგსიანი მაშინვე დაეთანხმა. გარდა ამისა, სერჟმა მას უფროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭა. ჯგუფში დმიტრი მოტრიჩმა ჩემი მოადგილის თანამდებობა დაიკავა და როგორც ენერგიულმა ადამიანმა მოინყინა, რადგან სპეციალობის მიხედვით მუშაობის საშუალება არ ჰქონდა.

მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად ორი დღე პოსტს ვაკვირდებოდი, სადაც ღამით მხოლოდ 7-10 ჯარისკაცი რჩებოდა. დავუკავშირდი ავოს, რომელმაც ოპერაციის ჩატარების ნება დაგვრთო. დავიწყეთ მზადება და უცებ რაზმელები მეკითხებიან:

— ბატია, შენ სადღა აპირებ წამოსვლას? შენ რომ რამე დაგემართოს, „მალიუტკას“ ვინ გამოიყენებს?


ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა „მალუტკა“

ალეშფოთდი და გადავწყვიტე, ყველა თავის ადგილზე დამესვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემს ზურგს უკან ავოსგან თანხმობა მიუღიათ, უშუალო მონაწილეობა არ მიმეღო ოპერაციაში. ავოს ბრძანების თანახმად, მე პოზიციაზე უნდა დავრჩენილიყავი.

ოპერაციის ჩასატარებლად ექვსნი წავიდნენ, ხუთი რუსი და სომეხი მძღოლ-მექანიკოსი, რომელსაც БМП უნდა წამოეყვანა. ბიჭებმა რადიოსადგურიც წაიღეს, მაგრამ რუსულ-სომხური დაუდევრობის გამო, ბატარეები არ შეამოწმეს, რის გამოც გასვლიდან ნახევარი საათის შემდეგ მათი მუხტი ნულს გაუტოლდა და კავშირიც შეწყდა.

საღამოს ცხრა საათისთვის პოსტის მახლობლად სროლა ატყდა. ისმოდა ყუმბარების აფეთქების, ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების სროლის ხმა. შემდეგ ყველაფერი ერთბაშად ჩაჩუმდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ დავინახე აზერბაიჯანელების მხრიდან მომავალი სატვირთო ავტომობილები, ისინი პოსტიდან 200 მეტრში გაჩერდნენ და უფრო ინტენსიური სროლა გაჩაღდა. მხოლოდ დილის ხუთ საათზე დაბრუნდა ჩემი რაზმის სამი მებრძოლი: ოლეგ მიტროფანოვი, ანდრეი სარიჩევი და ოლეგ სალიფანოვი. მათგან გავიგე, რაც მომხდარიყო.

როდესაც ბიჭები პოსტს მიუახლოვდნენ, მაშინ გაირკვა, რომ აზერბაიჯანელები იქ სამჯერ უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ვვარაუდობდით. მოგვიანებით მოწინააღმდეგის რადიოსადგურებით შევიტყვეთ, რომ აზერები ჩარტარის იერიშისთვის ემზადებოდნენ და დაღამებისთანავე გააძლიერეს პოსტები. ამ პოსტზე კი ქვეითთა ოცეულზე მეტი ჯარისკაცი იყო. ბიჭებმა მოილაპარაკეს და დაასკვნეს, რომ უკან დაბრუნება სამარცხვინო იქნებოდა. ესე იგი, უნდა შეეტიათ.

ილიამ ბლინდაჟს „მუხა“ დასცხო. საქმეში ჩართეს ხელყუმბარები. შემდეგ ოლეგმა ПК-ით სიგრძე-სიგანეზე აუარ-ჩამოუარა ტრანშეას და თითქოს ყველაფერი მიჩუმდა.

დმიტრიმ, ანდრეიმ და ოლეგმა დახოცილების საბუთების შეგროვება დაიწყეს. მირო, ილია და მეორე ოლეგი კი ბლინდაჟში შეძვრნენ და დოკუმენტების მთელი გროვა იპოვეს.

დმიტრიმ ბრუსტვერიდან ილიას დაუძახა და თავისთან მოუხმო. ამ დროს ხელის ტყვიამფრქვევის, РПК-ს მოკლე ჯერის ხმა გაისმა. თურმე დაჭრილ „თურქს“ უსვრია. ანდრეიმ იგი მაშინვე დახვრიტა, დმიტრი კი დაიღუპა. ბიჭებმა მათკენ მიმავალი მანქანების შუქფარების სინათლეზე მოწინააღმდეგის ქვეითი მედესანტეები დაინახეს. მიხვდნენ, რომ ნადავლ ტექნიკას უკვე ვეღარ წაიყვანდნენ. საჭირო იყო, სასწრაფოდ გასცლოდნენ ბრძოლის ველს.

ილია და მირო უკან დახევის უზრუნველსაყოფად დარჩნენ, დანარჩენებმა კი აიკიდეს დიმკას ცხედარი და შეეცადნენ სწრაფად გასცლოდნენ პოსტს, მაგრამ მალე გზა აებნათ, მიხვდნენ, რომ დიმას ვეღარ ატარებდნენ, იგი ჩასკვნილი ბიჭი იყო, ცხედარი იქვე ბალში გადამალეს და რამდენიმე საათის ხეტიალის შემდეგ ჩვენამდე მოაღწიეს.

მეორე დღეს აზერბაიჯანელებმა ცხედრების გაცვლა შემოგვთავაზეს, თითო ჩვენიანის სანაცვლოდ თხუთმეტი აზერბაიჯანელის ცხედარს ითხოვდნენ, ესე იგი, სამის სანაცვლოდ ორმოცდახუთს. ამდენი ცხედრის საშოვნელად თავს დავესხით აზერბაიჯა-





ერთა დაახლოების კომუნისტურმა პოლიტიკამ ყარაბაღში სრული ფიასკო განიცადა

ნელთა სამშენებლო ბატალიონს, რომელიც ჩვენგან რვა კილომეტრის მოშორებით საჰაუბიცო დივიზიონის პოზიციას აშენებდა.

ოპერაციაში ჩვენ გარდა მონაწილეობდნენ ავოც, მისი შტაბისა და არტილერიის უფროსი, ყარაბაღის თავდაცვის სამინისტროს არტილერიის უფროსი, შვიდი მზვერავი და ორი ტანკი. მოვსპეთ დაახლოებით სამოცი აზერბაიჯანელი.

დავტვირთეთ აზერბაიჯანელებითვე ტრაქტორ „ბელორუსის" მისაბმელის ძარა ცხედრებით და გასაცვლელად წავიღეთ.

გაცვლას ხელმძღვანელობდნენ აზერბაიჯანელი აღსაკალები (უხუცესები). მათ გვითხრეს, რომ მირო და ილია ბოლომდე იბრძოდნენ და როცა საბრძოლო მარაგი გაუთავდათ, თავი ხელყუმბარით აიფეთქესო. სამივე ჩვენიანის ცხედარი საშინლად იყო დასახიჩრებული. აზერბაიჯანელები გვამებს შეურაცხყოფდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ გვქონდა უფლება ზედმეტი ინფორმაცია გაგვეცა საკუთარი რაზმის შესახებ, ამიტომ არ ვიცოდით, სად უნდა გადაგვეგზავნა ცხედრები ან ახლობლებისთვის როგორ შეგვეტყობინებინა მათი დაღუპვის ამბავი.

ილია და დმიტრი, ასევე ჩვენი ამხანაგის, ალექსანდრ პრონინის საფლავის გვერდით, შუშისა და სტეფანაკერტის გზაგასაყარზე, ლამაზი კლდის თავზე დავმარხეთ. ეს უკანასკნელი ერთი თვის წინ დაიღუპა გმირულად.

იანვრის ბოლოს ერევანში შვილის მოსანახულებლად დმიტრის მამა ჩამოვიდა. იგი თადარიგში გასული პირველი რანგის კაპიტანია. როდესაც შვილის დაღუპვის ამბავი გაიგო, მოძებნა მისი საფლავი და სერჟ სარგსიანს მოელაპარაკა ექსჰუმაციისა და შვილის ცხედრის სამშობლოში გადასვენების თაობაზე. მერე მეუღლეს ტელეფონით ყველაფერი შეატყობინა. თვითონ კი ყარაბაღში დარჩა და სამი თვე იბრძოდა ჩვენ გვერდით როგორც რიგითი მძღოლ-მექანიკოსი.

## აზერბაიჯანელთა ზურგში

1992 წლის ნოემბრის ბოლოს ჩვენი რაზმიდან ცოცხალი მხოლოდ ორი, მე და ანდრეი სარიჩევი ვიყავით. მოულოდნელად ორივე შაგენ მეგრიანის რაზმში მიგვიწვიეს, აზერბაიჯანელთა ზურგში შაუმიანის რაიონში საბრძოლველად. ასე რომ, ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ცნობილი ყარაბაღელი საველე მეთაურების, მელქონიანისა და მეგრიანის ხელმძღვანელობით ვიბრძოდით.

1992 წლის დეკემბრიდან 1994 წლის მარტის ჩათვლით შეიარაღების დარგში სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაურის მოადგილე (შაგენის დაღუპვის შემდეგ რაზმს მისი სახელი მიანიჭეს) ვიყავი. რაზმი უპირატესად შაუმიანის რაიონის მოსახლეობისგან შედგებოდა და მებრძოლები სამოქმედო ტერიტორიას საკუთარი ხელის თითებივით იცნობდნენ. რაზმში მხოლოდ ჩვენ ვიყავით რუსი. შაგენმა თავიდანვე გაგვაფრთხილა, რომ ბევრ მებრძოლს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა ავადსახსენებელი ოპერაცია „კოლცო", რომლის ჩატარებისას რუსებით დაკომპლექტებული საბჭოთა შინაგანი ჯარი ფაქტობრივად აზერბაიჯანელთა მხარეს იბრძოდა. შაგენმა გვთხოვა, არ გვწყენოდა, თუკი სომეხი მებრძოლები ჩვენ მიმართ უნდობლობას გამოხატავდნენ.

საერთოდ შაგენი ჩვენთვის საუკეთესო პირობების შექმნას ცდილობდა. საგანგებო დაცვაც კი გამომიყვეს, რომელიც თან მახლდა „სანადირო" თავდასხმების დროს.

შაუმიანის რაიონის ტყეებში ყველაზე ხშირად სახედრებზე ამხედრებულები დავდიოდით. წინ, უკან და გვერდით პირადი მცველები მომყვებოდნენ, შუაში კი მე, ერთგულ ვირზე ამხედრებული, რომელსაც სახელად ელჩიბეი (ელჩიბეი — აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი) ერქვა.



საბჭოთა არმიის იარაღის საწყობები ორივე მხარეს უხვად ამარაგებდა



# საგემბანო ავიაცია

დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი" 17-26, 2012 - 1-10, 2013

## საბჭოური ავიამზიდები და თვითმფრინავები

დიდი საზღვაო ქვეყნებისგან განსხვავებით, ავიამზიდი ფლოტის შექმნა სსრკ-ში ყველაზე გვიან დაიწყო. ეს გარემოება ჩამორჩენილმა გემთსაშენმა წარმოებამ და გარკვეულწილად ავიამზიდების მიმართ ქვეყნის ხელმძღვანელობის ინერტულმა დამოკიდებულებამ განაპირობა.

პირველ მსოფლიო ომამდე და მის პერიოდშიც მეფის რუსეთს საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზღვაო ავიაცია და რამდენიმე ავიატრანსპორტიც ჰყავდა. ორი მათგანი — „იმპერატორი ალექსანდრე I" და „იმპერატორი ნიკოლოზ I" შავ ზღვაში ბაზირებდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტებმა საზღვაო ფლოტის განახლებისათვის ახალი გემთსაშენი პროგრამა წამოიწყეს, რომელიც პრაქტიკულად ყველა კლასის საბრძოლო ხომალდის, მათ შორის ხაზოვანი ხომალდებისა და მძიმე კრეისერების აგებას ითვალისწინებდა. არსებობდა ავიამზიდების პროექტებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

საბჭოთა ფლოტი ავიამზიდებით 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაინტერესდა და ახალი კლასის ხომალდების მშენებლობა ქალაქ ნიკოლაევში, შავი ზღვის გემთსაშენ ქარხანაში დაიწყო.

1965 წლის 14 იანვარს წყალში პირველი საბჭოური „შვეულმფრენმზიდი" Москва ჩაუშვეს. მომდევნო წელს მისი ტყუპისცალის, Ленинград-ის მშენებლობა დასრულდა. 1123-ე „კონდორის" პროექტით აგებული ორივე ხომალდი საბჭოური კლასიფიკაციით წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო კრეისერის ტიპს მიეკუთვნებოდა.

ხომალდის კორპუსის ნახევარი ზედნაშენმა და შეიარაღებამ — ორმა 57 მმ-იანმა საარტილერიო დანადგარმა, ორმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა Шторм-მა, წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარებმა და რეაქტიულმა ბომბსატყორცნებმა დაიკავეს.

უკანა ნაწილში საშვეულმფრენო გემბანი მოეწყო, სადაც კამოვის Ka-25-ის ტიპის შვეულმფრენები ბაზირდებოდნენ. საავიაციო ჯგუფი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო, სამიზნის მიმთითებელ და სამძებრო-სამაშველო მოდიფიკაციების 14 შვეულმფრენს ითვლიდა.

Москва ფლოტის შემადგენლობაში 1967 წელს, Ленинград-ი კი 1969 წელს შევიდა. ორივე (სიგრძით 189 მ, სრული წყალწყვით 15 280 ტ) შავი ზღვის ფლოტში ირიცხებოდა, ხოლო საბრძოლო დავალებებს ძირითადად ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეში ასრულებდნენ.

ხომალდების ექსპლუატაციამ უფრო სრულყოფილი ტიპის მფრინავი საშუალების შექმნის საჭიროება წარმოშვა. წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის ამოცანების ეფექტურად შესრულებისთვის კრეისერის შემდგომ საბრძოლო პოტენციალის ზრდასთან ერთად საავიაციო ჯგუფის გაფართოებაც იყო საჭირო.

ახალი 1143-ე „კრეჩეტის" პროექტის ხომალდები წინამორბედი „მოსკვასა" და „ლენინგრადისაგან" ძირეულად განსხვავდებოდნენ. შეიცვალა ხომალდების კლასიც და მათ მძიმე ავიამზიდი კრეისერები დაერქვა. ფორმა და ტრადიციული ავიამზიდებისთვის უჩვეულო მრავალრიცხოვანი შეიარაღება სწორედ ახალმა კლასიფიკაციამ განაპირობა.

1972 წლის 21 ივლისს ნიკოლაევში წყალში ჩაუშვეს 1143-ის პროექტის პირველი ხომალდი Киев-ი. დასავლური კლასიკური ავიამზიდების მსგავსად, ხომალდის კორპუსის მარჯვენა ნაწილი განარიდულმა „კუნძულმა", ხოლო მარცხენა კი კუთხურმა გემბანმა დაიკავა. ამერიკული ავიამზიდებისგან განსხვავებით, საბჭოური ხომალდის ცხვირის ნაწილი შემტევ და თავდაცვით შეიარაღებას დაეთმო.

ძლიერი შეიარაღება ხომალდის კლასიფიკაციას სრულად შეესაბამებოდა. ბორტზე საავიაციო ესკადრილიებთან ერთად, მას ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის საზღვაო სამიზნის განადგურება შეეძლო.

მრავალდონიანი საზენიტო საშუალებები Киев-ს საჰაერო თავდასხმებისგან საიმედოდ იცავდნენ. ხომალდს ეფექტური ბრძოლის წარმოება როგორც წყალზედა და წყალქვეშა, ასევე საჰაერო სამიზნეებთან შეეძლო.

ამერიკელებს ამ მხრივ განსხვავებული მიდგომა აქვთ. თანამედროვე „ნიმიცის" კლასის ავიამზიდებზე კი შემტევი შეიარაღება უშუალოდ ავიაციითაა წარმოდგენილი, საჰაერო თავდაცვისთვის კი მხოლოდ საზენიტო კომპლექსის 2 გამშვები დანადგარი გამოიყენება.

Киев-ის კიდევ ერთი ნოუ-ჰაუ Як-38-ის ტიპის ვერტიკალური აფრენა-დაფრენის თვითმფრინავები იყო. იაკოვლევის ფირმამ მასზე მუშაობა გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ვერტიკალური სტარტისთვის, საგემბანო მოიერიშე ორ ამწევ და ერთ ამწევ-სამარშო ძრავას იყენებდა. ახალი თვითმფრინავი ჰაერში პირველად 1970 წლის 2 დეკემბერს აფრინდა, მომდევნო წელს კი პირველად [illegible] ვერტიკალური სტარტი და ჰორიზონტალური [illegible] განახორციელა.

თვითმფრინავის უნიკალური [illegible] კატაპულტირების სისტემაა.

დაკიდების რეჟიმზე ერთ-ერთი ძრავის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში [illegible] კატაპულტირება [illegible] ავტომატურად [illegible]

1976 წელს ამ სისტემამ [illegible] რეული მანქანის შემოწმებისას და 70 მ სიმაღლეზე ავტომატურად მფრინავ-გამომცდელის კატაპულტირება მოახდინა, გადასვლით რეჟიმზე მყოფმა თვითმფრინავმა კი ხომალდის ალებმა განაგრძო. მეზღვაურებმა რადარებზე გამოჩენილი უცნობი სამიზნის ჩამოგდებაც კი განიზრახეს, თუმცა საწვავგამოლეული „უპილოტო" თავისით ჩამოვარდა.

ამ ამბიდან ერთი წლის თავზე ავტომატიკამ მფრინავის სიცოცხლე იხსნა — კატაპულტირება მიწასთან შეჯახებამდე 0,2 წმ-ით ადრე მოხდა.

1977 წელს Як-38 შეიარაღებაში მიიღეს, მაგრამ სამხრეთ განედებში ექსპლუატაციისას მაღალი ტემპერატურის გამო ვერტიკალური სტარტი შეიარაღებულ თვითმფრინავსაც კი უჭირდა. ამიტომაც ბრიტანელი Harrier-ების მსგავსად რუსებმა შემოკლებული აფრენის მეთოდიკა გამოიყენეს.

საბორტო ლოკატორის უქონლობა და შეიარაღების შეზღუდული ნომენკლატურა საბჭოური საგემბანო მოიერიშის შესაძლებლობებს ზღუდავდა. საჰაერო ბრძოლის წარმოება Як-38-ს მოწინააღმდეგესთან ვიზუალური კონტაქტისას შეეძლო, ხომალდსაწინააღმდეგო შეიარაღება კი მხოლოდ მცირე მოქმედების რადიოსამართავი რაკეტებით შემოიფარგლებოდა. თვითმფრინავი არც დიდი საიმედოობით გამოირჩეოდა და 231 აპარატიდან 83 კატასტროფებს შეეწირა.



1143 „კრეჩეტის" პროექტით ოთხი ხომალდი აიგო, ყოველი მომდევნო წინამორბედისაგან გაზრდილი წყალწყვით და შეიარაღებით გამოირჩეოდა. ფოტოზე მძიმე ავიამზიდი კრეისერი Баку



ლოკატორის უქონლობა და შეიარაღების შეზღუდული ნომენკლატურა Як-38-ის საბრძოლო შესაძლებლობებს ზღუდავდა. მიუხედავად ამისა, საბრძოლო შეფასებისთვის 4 თვითმფრინავი მცირე ხნით ავღანეთში იყო გაგზავნილი

Киев-ის გარდა, 1143 „კრეჩეტის“ პროექტით კიდევ სამი ხომალდი აიგო: Минск-ი (პროექტი 1143.2, ფლოტის შემადგენლობაში 1978 წელს შევიდა), Новороссийск-ი (პროექტი 1143.3, ფლოტის შემადგენლობაში 1982 წელს შევიდა) და Баку (პროექტი 1143.4, ფლოტის შემადგენლობაში 1987 წელს შევიდა).

ყოველი შემდგომი ხომალდი წინამორბედისგან გაზრდილი წყალწყვითა და განსხვავებული შეიარაღებით გამოირჩეოდა. მაგალითად, Баку-ზე ხომალდსაწინააღმდეგო П-500-ების რაოდენობა 12-მდე გაიზარდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ოთხივე მძიმე ავიამზიდი კრეისერი ფლოტის შემადგენლობიდან გამოიყვანეს. ჩინეთში გაყიდულ „კიევსა“ და „მინსკს“ მცურავ სასტუმროდ და სამხედრო გამოფენის ექსპონატებად იყენებენ, ხოლო „ნოვოროსიისკი“ სამხრეთ კორეაში ჯართად დიდი ხნის წინ დაჭრეს.

„ბაკუს“ გაუმართლა. ძირფესვიანი გადაკეთებისა და ტრამპლინიანი გემბანის დამონტაჟების შემდეგ Vikramaditya-ს სახელით ხომალდი ინდოეთის ფლოტში ჩაირიცხა.

1982 წლის 1-ელ სექტემბერს ნიკოლაევში საფუძველი ჩაეყარა მეხუთე საბჭოურ „მცურავ აეროდრომს“. წინამორბედების მსგავსად, მომავალი Тбилиси-ც მძიმე ავიამზიდი კრეისერების კლასს მიეკუთვნებოდა (შემტევი შეიარაღება — 12 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა П-700).

მრავალ ფაქტორთან ერთად, ასეთ მიდგომას თავისი მიზეზი ჰქონდა. იმ პერიოდში მსოფლიოში ყველაზე დიდი ავიამზიდი ფლოტი აშშ-ს ჰყავდა, ხოლო სსრკ-ში კი ავიამზიდი იმპერიალიზმის სიმბოლოდ განიხილებოდა. შესაბამისად, ავიამზიდის ტიპის ხომალდები მოსკოვისთვის მიუღებელი იყო.

„თბილისი“ პირველი საბჭოური ხომალდი იყო, რომელსაც ტრადიციული აფრენა-დაფრენის თვითმფრინავების მიღება შეეძლო, მაგრამ თვითმფრინავების სტარტისთვის კატაპულტების ნაცვლად, „თბილისზე“ ტრამპლინის გამოყენება გადაწყდა.

ხომალდი წყალში 1985 წლის 4 დეკემბერს ჩაუშვეს. მასზე ახალი Су-33 და МиГ-29К-ს ტიპის საგემბანო თვითმფრინავები უნდა განთავსებულიყო. სსრკ-ის დაშლის გამო, ამ უკანასკნელის წარმოებაზე უარი ითქვა და პროექტი ორი პროტოტიპის მშენებლობით ამოიწურა.

Су-33-ს უფრო გაუმართლა. თუმცა მისი სერიული წარმოება მხოლოდ 24 ერთეულით შემოიფარგლა. 1990 წლის 4 ოქტომბერს ავიამზიდ კრეისერს სახელი შეუცვალეს და „თბილისის“ ნაცვლად Адмирал Флота Советского Союза Кузнецов-ი უწოდეს.

ავიამზიდ კრეისერთან, საგემბანო Су-33-სა და საზოგადოდ, რუსულ საგემბანო ავიაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი თემურ აფაქიძის სახელი. დღეს რუსეთის ფლოტის შემადგენლობაში საგემბანო ავიაციის არსებობა გარკვეულწილად მისი დამსახურებაა.

აფაქიძე 1954 წლის 4 მარტს თბილისში დაიბადა და მალე დედასთან ერთად საცხოვრებლად ლენინგრადში გადავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა





*დღეს რუსეთის ფლოტის შემადგენლობაში ერთადერთი „მცურავი აეროდრომის“ და საგემბანო ავიაციის არსებობა, გარკვეულწილად თემურ აფაქიძეს დამსახურებაა*

1975 წელს, ეისკის მფრინავების უმაღლესი საავიაციო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, აფაქიძე ბალტიის ზღვაზე დისლოცირებულ ცალკეულ საზღვაო საიერიშო პოლკში გაგზავნეს.

1983-86 წლებში ის გრეჩკოს სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიის მსმენელია. სასწავლო კურსის დახურვის შემდეგ აფაქიძე ქალაქ ნიკოლაევში ახალჩამოყალიბებული მე-100 საგემბანო-საგამანადგურებლო პოლკის მეთაურად დანიშნეს.

1991 წლის 26 სექტემბერს ვიცე-პოლკოვნიკი აფაქიძე პირველი სამხედრო მფრინავი იყო, ვინც Су-33 „კუზნეცოვზე“ დასვა. თუმცა რამდენიმე თვით ადრე, საცდელი ფრენის შესრულებისას, ახალ საგემბანო გამანადგურებელზე მართვის ელექტროდისტანციური სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო, მას თვითმფრინავიდან კატაპულტირებამ მოუწია.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი უკრაინის ტერიტორიაზე დარჩენილი მე-100 პოლკი თითქმის სრული შემადგენლობითა და ყველა Су-33-ით აფაქიძემ რუსეთში, ქალაქ სევერომორსკში გადაიყვანა. ამ



*უახლოეს წლებში „კუზნეცოვის“ საავიაიო ჯგუფს МиГ-29К/КУБ ტიპის თვითმფრინავებით განაახლებენ*

ღონისძიებისა და საგემბანო მფრინავების მომზადებაში გაწეული ღვაწლისთვის პოლკოვნიკ აფაქიძეს 1995 წელს პრეზიდენტმა ელცინმა რუსეთის გმირის წოდება მიანიჭა.

თემურ აფაქიძე 2001 წლის 17 ივლისს, ქალაქ ოსტროვში ავიაშოუზე ტრაგიკულად დაიღუპა, — მისი Су-33 სადემონსტრაციო ფრენის შესრულებისას ჩამოვარდა. აფაქიძეს კატაპულტირება არც უცდია. მიწასთან შეჯახებისას ძლიერმა დარტყმამ ის თვითმფრინავიდან ამოაგდო, რის გამოც სხეულის მრავლობითი დაზიანება მიიღო. რუსეთის 1 საგემბანო მფრინავი საავადმყოფოში მიყვანამდე, სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა.

უახლოეს მომავალში ჩრდილოეთის ფლოტის „ადმირალ კუზნეცოვს“ რემონტი და მოდერნიზაცია ჩაუტარდება. ამჟამად ხომალდის საბრძოლო მზადყოფნა 65-70%-ია.

სერიული 24 Су-33-ისგან მწყობრში მხოლოდ 10-ია დარჩენილი. ამასთან, საზღვაო სამიზნეებთან მებრძოლი გზაგადამჭრელი საგემბანო თვითმფრინავის არსენალში მხოლოდ ბომბები და უმართავი რაკეტები შედის.

2015 წლამდე „კუზნეცოვის“ საავიაციო ჯგუფს 24 МиГ-29К და МиГ-29КУБ-ის ტიპის თვითმფრინავებით განაახლებენ, ხოლო Су-33-ებს კი რესურსს გაუგრძელებენ ან დააკონსერვებენ.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუმინული "მეფის" ქართული ოდისეა




კავკასიაში რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე 1917 წლის ნოემბრის ბოლოს წარმოქმნილი ამიერკავკასიის კომისარიატი არსებობის პირველივე თვეებში მრავალი პრობლემის წინაშე დადგა და განსაკუთრებით ბევრ თავის ტკივილს ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო შეთანხმება იწვევდა.

1918 წლის 3 მარტს რუსეთმა ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, ბულგარეთსა და თურქეთთან ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიათა ნაწილი — ბათუმის, არდაღანისა და ყარსის ოლქები თურქეთს დაუთმო.

მოლაპარაკებაში ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ, ამიტომ მისი შედეგები კავკასიის ქვეყნებისთვის მიუღებელი იყო. თურქეთი კი შეთანხმების პირობების შესრულებას მოითხოვდა. იმავდროულად, თურქეთის არმია რუსეთის არმიის პოზიციებს უბრძოლველად იკავებდა და კავკასიისკენ მოიწევდა.

ამ რთულ ვითარებაში ამიერკავკასიის კომისარიატმა თურქეთს მოლაპარაკება შესთავაზა და ამისათვის ქალაქი ტრაპიზონი შეირჩა, სადაც მაშინ ჩასვლა მხოლოდ საზღვაო გზით იყო მოსახერხებელი.

იმ დროს ბათუმის პორტში რუსული 21 სამხედრო

### დამხმარე კრეისერი Regele Carol I

1897-98 წლებში რუმინეთის შეკვეთით გლაზგოში, Fairfield Gevon-ის გემთსაშენში სამგზავრო გემი Regele Carol I აიგო და 1898 წლის 28 ივლისს ახალმა გემმა კონსტანცის პორტში ღუზა ჩაუშვა, სადაც მისი ნათლობა მეფე კარლ I-ის თანდასწრებით შედგა.

ერთხანს გემი კონსტანცა-სტამბოლი-პირეის ხაზზე დაცურავდა და რეისში I, II, III კლასის კაიუტებით 321 მგზავრი გადაჰყავდა.

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მხარეს მებრძოლმა რუმინეთმა 1916 წელს საკუთარი ფლოტის სამგზავრო გემები: Romania, Dacia, Regele Carol I, Imparatul Traian-ი და Principesa Maria დროებით შავი ზღვის ფლოტს გადასცა.

1916 წლის ოქტომბერში Regele Carol I-ზე სევასტოპოლში შეიარაღება დაიდგა და სახელიც შეეცვალა — ბორტზე რუსულად „კაროლ კარლი" დააწერეს.

რუმინული გემის სახით შავი ზღვის ფლოტს ჯერ ჰიდროავიატრანსპორტი, ხოლო შემდგომ დამხმარე კრეისერი შეემატა. შესაბამისად, გემის ეკიპაჟი 75-დან 160 კაცამდე გაიზარდა, საიდანაც 30 რუმინელი იყო.

1918 წლის 19 თებერვალს გემის სახელი Ioan Roata-თი შეიცვალა და რუმინეთის ავტონომიური უმაღლესი კოლეგიის დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგრამ ისევ ბათუმში რჩებოდა.

„კაროლ კარლის" ტექნიკური მონაცემები (1918 წ.): წყალწყვა — 4200 ტ, სიგრძე — 105 მ, სიგანე — 12,6 მ, ძრავების სიმძლავრე — 6500 ცხ.ძ., სიჩქარე — 17,7 კვანძი, ცურვის სიშორე — 4000 მილი 12 კვანძით;

შეიარაღება 4 — 152 მმ-იანი და საზენიტო 1 — 75 მმ-იანი ქვემეხი, პროჟექტორი, 4 ჰიდროთვითმფრინავი M-9;

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ბათუმის პორტი*
*1910-იანი წლების დასაწყისში*

ხომალდი და სავაჭრო გემი იდგა, რომლებიც სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის ცენტრალურ კომიტეტს (ცენტროფლოტს) ექვემდებარებოდნენ და იქიდან მიღებული ბრძანებებისა თუ დირექტივების მიხედვით მოქმედებდნენ. თავად ეს ორგანიზაცია კი ბოლშევიკებისა და ესერების გავლენის ქვეშ იყო.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისაგან შემდგარი 45-კაციანი დელეგაციის გადასაყვანად ბათუმის პორტში მდგომი რუსული გემებიდან დამხმარე კრეისერი Regele Carol I შეირჩა.

გემს ჰქონდა კეთილმოწყობილი კაიუტები და ძლიერი რადიოსადგური, რომელიც თბილისთან რადიოკავშირისთვის აუცილებელი იყო.

ქართველ პოლიტიკოსებს „კაროლ კარლის" ეკიპაჟთან დიპლომატიური მისიის შესრულებაზე თანხმობის მისაღებად დამამცირებელი მოლაპარაკების გამართვა მოუხდათ, რადგან ეს უკანასკნელნი ამისათვის საარაკო თანხას ითხოვდნენ. კონკრეტულად, რა თანხაზე დათანხმდნენ რუსი მეზღვაურები, უცნობია.

1918 წლის 8 მარტს საღამოს „კაროლ კარლმა" ბათუმი დატოვა და დელეგაცია ტრაპიზონისკენ წაიყვანა.

მოლაპარაკება 14 მარტს დაიწყო და თავიდანვე რთულად მიმდინარეობდა. ამ ვითარებაში „კაროლ კარლმა" ტრაპიზონი 16 მარტს თვითნებურად მიატოვა და ბათუმში მიბრუნდა ისე, რომ არავინ გააფრთხილა. რამ აიძულა ეკიპაჟი ეს გაეკეთებინა? — ახლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის, თუმცა ეჭვი არსებობს, — ტრაპიზონში რუსეთის არმიას ბევრი საწყობი ჰქონდა და თურქეთის ფრონტიდან კავკასიის არმიის ნაწილების მოხსნის შემდეგ საწყობებს ჯა-

*რუმინული სამგზავრო გემი Regele Carol I*





რუსი მეზღვაურები

რისკაცები და მეზღვაურები ძარცვავდნენ. ნაძარცვს ბათუმსა და სხვა საპორტო ქალაქებში მამასისხლად ყიდდნენ. ასევე, გამორიცხული არ არის, რომ „კაროლ კარლის“ ეკიპაჟმა ბოლშევიკების ზეგავლენით დელეგაცია ტრაპიზონში შეგნებულად მიატოვა. თბილისთან რადიოკავშირის გარეშე დარჩენილ დელეგაციას „კაროლ კარლის“ შემცვლელი გემი „ვეჩე“ მხოლოდ 22 მარტიდან შეეშველა.

1918 წლის ადრე გაზაფხულზე ბათუმში რუსული ხომალდებისა და გემების ეკიპაჟებში დისციპლინა მოიშალა. ბოლშევიკი მეზღვაურების ლოთობასა თუ დებოშს საზღვარი არ ჰქონდა, მოსახლეობა აკლებული ჰყავდათ. ყველაზე მეტად კრეისერ „კაროლ კარლის“ ეკიპაჟი გამოირჩეოდა, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანიც იყო.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, როცა რუს მეზღვაურებს ბათუმის დაცვაში მონაწილეობის ამბავს ეკითხებოდნენ, ისინი პირდაპირ პასუხს თავს არიდებდნენ და სანაცვლოდ ხან ხელფასებს მოითხოვდნენ, ხანაც ქონების გადარჩენის პირობას იძლეოდნენ, ხან კი ბათუმის მიტოვებით იმუქრებოდნენ. თანაც, დაუფარავად აცხადებდნენ, რომ მათთვის ერთადერთი მისაღები ხელისუფლება ბოლშევიკური იყო.

საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, წესრიგის დასამყარებლად გადამჭრელი ღონისძიებებისთვის მიემართა. ბათუმში 18 მარტს, დილის 4 სთზე, ქართული გვარდიის ქვედანაყოფებმა სანაპიროსკენ მიმავალი ქუჩები გადაკეტეს, პორტის ტერიტორია დაიკავეს და რუსული სამხედრო ხომალდებისა და კომერციული გემების ეკიპაჟები დააპატიმრეს.

ამასთან დაკავშირებით ემიგრაციაში მყოფი ოპერაციის მონაწილე კაპიტანი შუგუროვი 1931 წელს წერდა: „როგორც ადგილობრივი გაზეთების (იგულისხმება ბათუმის პრესა) თანამშრომელი, მე თავგამოდებით ვამტკიცებდი, რომ ნებისმიერი საზღვაო სიმაგრის დასაცავად საჭირო იყო თუნდაც პატარა სადაზღვევო ფლოტი.

სამწუხაროდ, არანაირი იმედი არ იყო, რომ ბათუმში მყოფი შავი ზღვის ფლოტის ბოლშევიკური სამხედრო გემები ჩვენს ჯარებს დაეხმარებოდნენ. პირიქით, როგორც თურქების მოკავშირეებს, ბოლშევიკებს გადამწყვეტ მომენტში თურქებისთვის დახმარების გაწევა შეეძლოთ.

ჩემი სტატიების გავლენითა და აუცილებლობის გამო, მიხაილოვის სიმაგრეთა შტაბმა სასწრაფოდ შეიმუშავა ბოლშევიკური გემების დაკავების გეგმა. მედუქნეებს მიეცათ განკარგულება, რათა საღამოს მთელ ქალაქში მოხეტიალე მეზღვაურებს ღვინით გამასპინძლებოდნენ. როცა ეს უკანასკნელნი გამოთვრებოდნენ, სიმაგრეების არტილერიას ცეცხლი უნდა გაეხსნა გემებისთვის იმ უკიდურეს შემთხვევაში, თუ გემების ხელში ჩაგდება არ მოხერხდებოდა და მათი ჩაძირვა გახდებოდა საჭირო.

გეგმა შესანიშნავად შესრულდა. არც ერთი გემი არ დაზიანებულა. ჩვენს მხარეს მოკლეს 3 ჯარისკაცი და ერთი ქართველი ოფიცერი.

საშინლად შეშინებულმა ბოლშევიკებმა მომენტალურად პატიება გვთხოვეს და რამდენიმე დღის შემდეგ სევასტოპოლში გემით წავიდნენ. ოფიცრები ბათუმში დარჩნენ და მათი დიდი ნაწილი ახალჩამოყალიბებული ამიერკავკასიის ფლოტის სამსახურში ანდრეევის დროშით ჩადგა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლაგმანო ხომალდი მთელ ფლოტში საუკეთესო გემი „კაროლ კარლი“ იყო“.

ოპერაცია სწრაფად და ორგანიზებულად ჩატარდა. ქართველ სამხედროებს წინააღმდეგობა მხოლოდ „კაროლ კარლის“ ეკიპაჟმა გაუწია, სადაც ხანმოკლე შეტაკებისას პრაპორშჩიკი ცაგარეიშვილი დაიღუპა, ხოლო ერთი გვარდიელი და 2-3 რუსი მეზღვაური დაიჭრა.

გემის ტრიუმებში ტყავისა და სურსათის დიდი მარაგი, 5 ათასი შაშხანა და კიდევ სხვა ქონება აღმოჩნდა.

რუსულ ხომალდებზე კონტროლი აღდგა, მაგრამ მაშინვე დადგა ეკიპაჟების ქართველი მეზღვაურებით ჩანაცვლების პრობლემა. ეს იმდენად რთული გამოდგა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა 18 მარტს პირდაპირი ტელეფონით მთავრობის თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს სთხოვა, რომ ბათუმში მატროსები, ოფიცრები და არანაკლებ 30 სახმელეთო არტილერისტი ოფიცერი გამოეგზავნა.

გარდა ამისა, კაპიტან შუგუროვის მონაცემებით, გემების საგემბანო გუნდები ადგილობრივი სასწავლებლების უფროსკლასელებით დაკომპლექტდა და საქმეს თავი შესანიშნავად გაართვეს. დაკავებულ მეზღვაურთა მეორე ნაწილს ნოე რამიშვილი 19 მარტს კრებაზე შეხვდა და შესაბამისი ანაზღაურებით სამსახურის გაგრძელება და ბათუმის დაცვაში მონაწილეობა შესთავაზა. მატროსები დათანხმდნენ იმ პირობით, თუ ყველა დაკავებულს გაათავისუფლებდნენ. მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

ზღვაზე თურქეთის ფლოტისთვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გასაწევად ჩამოყალიბდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს სამხედრო გემების მთავარსარდლობა და მისი მეთაურობა II რანგის კაპიტანმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ ჩაიბარა.

ახალშექმნილი ფლოტის რუსული ხომალდები ქალაქის დაცვისთვის საბრძოლო მზადებას შეუდგნენ. ამასობაში თურქები ბათუმს უახლოვდებოდნენ. 6 აპრილს ულტიმატუმის ფორმით ბრესტ-ლიტოვსკის დაზავების პირობათა შესრულება და 13 აპრილის 4 სთ-ისთვის ქალაქის ჩაბარება მოითხოვეს.



რუმინეთის მეფე კარლ I

თურქების 36-ე ქვეითი დივიზია 4 ათასი მებრძოლითა და 6 ქვემეხით ხმელეთიდან უტევდა ბათუმს.

1918 წლისათვის თურქეთის სამხედრო ფლოტი საკმაოდ დასუსტებული იყო და ამიტომაც თურქეთის მე-3 არმიის სარდლობას ბათუმის აღებაში გერმანული სახაზო კრეისერ Goeben-ის გამოყენება სურდა, მაგრამ ადმირალმა სუშონმა ამის აუცილებლობა ვერ დაინახა და მოკავშირეს უარი უთხრა.

5 აპრილს, შუადღისას, „კაროლ კარლი“ გამანადგურებლების: „აფხაზის“, „აჭარელის“, „კახელისა“ და „გურულის“ თანხლებით ზღვაში გავიდა. მდინარე არხავის შესართავამდე მივიდნენ, სადაც რამდენიმე თურქული ფელიუგა შენიშნეს, სროლაც აუტეხეს და საღამოს ბათუმში დაბრუნდნენ.

იმდროინდელი ქართული პრესიდან ცნობილია, რომ 9 აპრილს „კაროლ კარლმა“ ნავთის მილების დროს სანაპირო ბატარეებთან ერთად სროლა აუტეხა „ერგეს“ მაღლობზე გამაგრებულ თურქებს.

10 აპრილს ღამით დამხმარე კრეისერმა „კაროლ კარლმა“ ბათუმი ისევ მიატოვა და კურსი რუმინეთის პორტ სულინასკენ აიღო. საქართველოს ხელისუფლების მოლოდინი, რომ რუსი მეზღვაურები ბათუმისთვის ბრძოლაში თავს არ დაზოგავდნენ და იბრძოლებდნენ, არ გამართლდა.

**თამურ ჩაჩანიძე**





*შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარეს ბათუმში მატროსების, ოფიცრებისა და არტილერისტების გამოგზავნას სთხოვდა*

*1918 წელს ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო შეთანხმება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეფე ერეკლე II-ის თოფები



სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოლოგიისა და ახალი ისტორიის კოლექციების იარაღის ფონდში ოთხი ათასამდე ექსპონატია. მათ შორის საყურადღებოა ქართველ მეფეთა იარაღი. თითოეულ მემორიალურ იარაღს ამშვენებს ქართული წარწერა.

ჩახმახის კონსტრუქციის მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღების განვითარების ისტორიაში გამოიყოფა რამდენიმე პერიოდი: I — ფითილიანი (XV-XVI სს.), II — გორგოლაჭიანი (XVI ს.), III — კაჟიანი (XVII-XIX სს-ის I ნახევარი), IV — ფისტონიანი (XIX ს.) და ნემსიანი ჩახმახები (XIX ს-ის II ნახევარი).

ქართველ მეფეთა თოფების ქრონოლოგიური ჩარჩო XVII-XVIII საუკუნეებით განისაზღვრება.

„ქართლის ცხოვრებაში" თოფი პირველად ნახსენებია XV საუკუნის მიწურულს, კერძოდ, 1490 წელს. ქართლში კონსტანტინეს მეფობის ჟამს, თათარნი: „მოადგნენ კოჟრის ციხესა და უწყეს სროლა თოფთა. მას ღამესა მოვიდა თოვლი დიდი, ამისთვის უკუდგნენ თათარნი ციხისაგან. მაშინ შეჭირვებულნი მეციხოვნენი გამოვიდნენ მასვე ღამესა, რომელთა თავ მათდა იყო სოლოღაშვილი და ივლტოდნენ თვისთვისად. დილასა იხილეს თათართა ციხე უკაცური, შევიდნენ და შემუსრეს ციხე".

ეს ამბავი ბერი ეგნატაშვილსაც აქვს მოთხრობილი: „და იყო ომი დიდხან და შეაწუხა მეტმან თოფის სროლამან, და ცოტა ციხეცა დააქცივეს და ველარ დაუდგნეს ამისთვის, რამეთუ მეშუელი არლარა ჰყვათ". სწორედ ამ ცნობაშია პირველად ნახსენები თოფი.

ივანე ჯავახიშვილი განიხილავს რა ქართული საჭურვლის ისტორიას, აღნიშნავს, რომ „თოფი XVII-XVIII სს-დან მოყოლებული საქართველოშიც მზადდებოდა, მაგრამ საუკეთესო ლულები უცხოეთიდან შემოჰქონდათ". ის ხაზგასმით მიუთითებს, რომ „თოფისა და ზარბაზნების ისტორიაში საქართველოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია".

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ XVIII საუკუნიდან საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის დამამზადებელი ცენტრები არსებობდა თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ზუგდიდში, აგრეთვე აჭარაში (მაჭახელას ხეობა), მოგვიანებით ოზურგეთში, სვანეთსა და სხვ.

დასახელებულ ადგილებში, რასაკვირველია, არ იყო იარაღის გრანდიოზული ქარხნები, მაგრამ იქ არსებული კუსტარული საწარმოებიც მაღალი ხარისხის იარაღს ქმნიდა, რომელიც აკმაყოფილებდა იმდროინდელი საბრძოლო ხელოვნების მოთხოვნებს.

ქართული ცეცხლსასროლი იარაღის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თურქულმა იარაღმა (თავად ტერმინები — დამბაჩა, თოფი და ზარბაზანი ოსმალურია. მათი ქართული შესატყვისებია ხელმეხი და ქვემეხი). XVII საუკუნის ბოლოს ეს მსგავსება თვალში



ჩახმახი



ერეკლე II-ის თოფის ლულა ევროპულია, დანარჩენი დეტალები — ქართული, აწყობილია საქართველოში. მთლიანი სიგრძე — 134 სმ, ლულის სიგრძე — 101სმ, კალიბრი — 17 მმ, წონა — 2 440 გ; ლულა ზის კონდახის ღარში და ჩამაგრებულია ვერცხლის სამი სალტით



ლულის ტუჩი



დუგლუგი (კონდახის ბოლო)

საცემია, ხოლო XVIII საუკუნის I ნახევრიდან ყალიბდება კავკასიური ტიპი ცეცხლსასროლი იარაღებისა, მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქართულ იარაღს.

საქართველოში ამ დროს ცნობილი იყო შემდეგი დასახელების თოფები: ხირიმი (ყირიმი), მაჟარი, ერეჯიბი (ოსტატის სახელის მიხედვით), მუსტაფა (ხელოსნის სახელის მიხედვით), ოსტამული, ხარა, ჩარმა, ჩაქალოზი, ქოფაჩი, გველისტუჩა, მოგვიანებით კარაბინი და სხვ.

ამჯერად სტატიაში წარმოვადგენთ მეფე ერეკლე II-ის თოფებს.

## მეფე ერეკლე II-ის თოფები

ლულა გლუვზედაპირიანია და შიდა სივრცე დაკუთხვილია. საფალიესთან აქვს ერთი წახნაგი, რომელზეც განთავსებულია ლათინური, სპარსული და ქართული წარწერები. ლათინურად აწერია SEGLASLONDON, რაც ლულის დამზადების ადგილს მიუთითებს.

ოქროზარნიშით შესრულებულ სპარსულ წარწერაში (წარწერა წაიკითხა გრიგოლ ბერაძემ) მოხსენიებულია „გივიხან", ხოლო ასევე ოქროზარნიშიანი ქართული წარწერა გვეუბნება: „ქ. ირაკლის სიქადულო საძლეველო მტერთა ჯვარო ქრისტესო".

კონდახი და ღარი დამზადებულია კაკლის ხისაგან. ღარი ბოლოვდება ვერცხლის ფირფიტით. ლულის ვერცხლის სალტეთაგან ერთზეა უცნობი ქართველი ოსტატის დამღა. კონდახი ბოლოვდება ძვლის დუგლუგით. ჩახმახი სადაა და ტიპური ქართული ვარიანტია. ჩახმახის სასხლეტი წარმოდგენილია ბურთულის სახით.

მეფე ერეკლეს თოფზე არსებული ქართული წარწერა „ქ. ირაკლის სიქადულო, საძლეველო მტერთა ჯვარო ქრისტესო", სავარაუდოდ, უკავშირდება ერთ-ერთ ისტორიულ ფაქტს, რომელიც 1752 წლის ივლისში მოხდა.

ომან ხერხეულიძის გადმოცემით, 1752 წლის ივნისს აზატ-ხანი დიდძალი ჯარით ერევანს შემოესია და დაუწყო „რბევა და ოხრება". ერევნელებმა მეფე ერეკლეს შველა სთხოვეს.

მეფე ირაკლი დაიძრა ერევნისაკენ. რასაკვირველია, ეს ამბავი აცნობეს აზატ-ხანს, რომელმაც შემოიკრიბა ყიზილბაშ-ავლანელების ჯარები „ვიდრე ორმოცი ათასამდე" (12 ათასი შუბოსანი, დანარჩენი — თოფოსანი, 12 — ზარბაზანი, ორასი ზამბულაკი) და გარნაჩაიზედ დაბანაკდა.

იმ სალამოსვე ეს ამბავი „მოერთვა მეფეს ირაკლის". ქართველები საგონებელში ჩაცვივდნენ. ზოგმა წასვლაც ინდომა, მაგრამ მეფე ერეკლე შეუვალი იყო და „დაამტკიცეს ომი პირისპირ მძლავრისა მის". შემდეგ აღრიცხა მეფემან მხედრობა თვისი, რომელიც სულ სამი ათასი იყო. აქედან 500 თათარი და 500 ავადმყოფი იყო და „წარვიდა ორის ათასის კაცით აზატ-ხანის შესაბმელად".

ბრძოლის წინ მეფე ირაკლი „დაემხო მიწასა და ღმერთსა ევედრა", შემდეგ ჯარს მიმართა მგზნებარე სიტყვით და ტაქტიკური ბრძანებაც გასცა: „ვირემ მე ცხენზე არ შევჯდე, თქვენც ნურავინ შესხდებით და ვირე ჩემი თოფი არ გავარდეს, თქვენ თოფს ნურვინ ესვრითო".

სწორედ ამ დროს 500-კაციანი თათრის მხედრობა გაშორდა ქართველთა ჯარს. მათთან ერთად იყო ერთი ერევნელი თათარი, აირუმლის სულთანი, სახელად

ეროვნული ბიბლიოთეკა



*მეფე ერეკლე II-ის თოფის „მუსტაფას“ მთლიანი სიგრძე — 135 სმ, ლულის სიგრძე — 103 სმ, კალიბრი — 13,5 მმ, წონა — 2 900 გ-ია*

ალავერდი. მაშასადამე, ერეკლეს მცირე მხედრობას კიდევ გამოაკლდა 500-კაციანი თათრის რაზმი. „მხილველმან მეფემან თვისისა ჯარისა სიმცროს ამან ფრიად მხურვალედ თაყვანი სცა ჯვარსა ქრისტესსა ცრემლით და ყოველნი სპანი ათაყვანა ჯვარსა“. ამ დროს მოვიდა ის თათარი „ალავერდი სულტანი და ჰრქვა ჯვარსა ქრისტესსა... პუკეთუ შეძლება რამ არს შენ შორის, დღეს გამოჩნდებაო. და დაადგრა მეფის ირაკლის თანა“.

მეფე ირაკლიმ უსარდლა დარჩენილ ათას ხუთას კაცს და „სადაცა უფრო უდიდესი დასტა იყო აზატ-ხანისა, მუნ მიჰმართა“. ქართველები ალყაში მოაქციეს და მათ ცოცხლად შეპყრობას ლამობდნენ.

ერთ-ერთმა ხანმა აზატ-ხანისაგან ერეკლეს აყვანის ნება ითხოვა... შუბით შეიარაღებული ბრძოლის ველზე შეიჭრა და ხმაჰყო: „ჰამამან ჰანიერ ირაკლი-ხან (რომელ არს ქართულად — სად არის ირაკლი მეფე)“... მაშინ „გაუხდა მეფე ირაკლი მკვირცხლ და შესძახა: მე ვარ ირაკლი მეფე და ხმა ყოფასა თანა მისცა თოფსა ცეცხლი, გავარდა თოფი მეფისა და მოხვდა მას ხანსა გულსა“. ამის დამნახავი ქართველთა ჯარი გამხნევდა და ერთობით „მისცა ცეცხლი თოფთა თვისთა და რაცა მახლობლად მისრულნი ყიზილბაშნი და ავლანნი იყვნენ, ერთობით ჩამოყარნეს და დაეცნენ მიწათა ზედა“. ამის შემდეგ ამხედრდა მეფე ერეკლე, აამხედრა თვისი მხედრობაც და „იკრეს ხრმალთა ხელი და ერთობით შეუტივეს და მყის თანად მისვლასავე აოტნეს ყიზილბაშ-ავლანნი“.

ქართველებმა გაიმარჯვეს და „გამარჯვებას ამას შინა დარჩა მეფესა ირაკლის 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისის ასის აქლემით და დროშა მრავალი და ორათასხუთასი კარავი და ტყვისა და საქონლის რიცხვი არ შეიძლება“.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ალავერდი სულტანი „დიდად განკვირვებული იტყოდა წინაშე ჯვარისა: „ესე საქმე კაცობრივის ძალისაგან შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ჯვარის ძალამ ჰყო“.

ამ ისტორიიდან ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეფე ირაკლიმ თავისი მცირე მხედრობა შეავედრა „ჯვარსა ქრისტესსა“ და გაიმარჯვა.

საყურადღებოა ისიც, რომ მეფე ერეკლე თავის სპას მიმართავს: „ვიდრე ჩემი თოფი არ გავარდეს, თქვენ თოფს ნურვინ ესვრითო“. მაშასადამე, „ქრისტეს



*თბილისური XVIII-XIX საუკუნის საპირისწამლე. მასალა — ხე, სკაროსის ტყავი, ძვალი და ვერცხლი; იტევდა 500 გ-მდე დენთს; გადაკიდებული ჰქონდათ მხარიღლივ და წელთან დამაგრებული*

ჯვარზე“ შევედრებული მხედრობა ბრძოლას იწყებს ერეკლეს თოფის გასროლით და ამ „კაცობრივის ძალისაგან შეუძლებელ“ ომში იმარჯვებს.

საფიქრებელია, რომ ერეკლეს თოფის წარწერა: „ქ. ირაკლის სიქადულო საძლეველო მტერთა ჯვარო ქრისტესო“ სწორედ ამ გამარჯვებას უკავშირდება.

მართლაც, სასიქადულოა ეს გამარჯვება და ეს თოფიც, რომელსაც გამარჯვებაში თითქოს მთავარი მნიშვნელობა ენიჭება. ერეკლეს თოფი მართლაც მტერთა მძლეველია, რადგან მისმა ერთმა დაუცდენელმა გასროლამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა და ბოლოს, ხაზგასმულია ქრისტეს ჯვრის ძალა, რამაც ასახვა წარწერაში ნახა.

### ერეკლე II-ის მეორე თოფი

თოფი ძალიან დაზიანებული იყო, მას წელს რესტავრაცია გაუკეთდა (რესტავრაცია ჩაუტარა მუზეუმის მოწვეულმა სპეციალისტმა მეიარაღე-რესტავრატორმა ამირან ბიჭაშვილმა) და ამჟამად

ეროვნული ბიბლიოთეკა








ნარნერა ლულის კუდზე



ნარნერა ლულაზე

გამოფენილია ეროვნული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში. ლულა შიდა სივრცით 7-ნახნაგიანია, გარედან ნახევარი დაწახნაგებულია, ნახევარი კი — გლუვი. საფალიესთან, შუაწელზე და ლულის ტუჩთან მორთულია ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით. შუა წახნაგზე ხუთკუთხიანი დამღაა, სადაც არაბულად იკითხება: „ყამალა ჰაჯი მუსტაფა" (წარწერა წაიკითხა მარიამ ქორიძემ). დამღის მარჯვენა და მარცხენა წახნაგებზე ქართული წარწერებია: „მტერო გძლევ აჯი მუსტაფით" და „მეფე ირაკლი ჭეშმარიტ შემწეობით".

ლულის კუდზე ორ მწკრივად, ოქროზარნიშით შესრულებულია წარწერა: „მუხრან ბატონის ნიკოლოოზის ძეობით, ასალად მე...ყმხვდა ირაკლის აწე ღთისამწეობით". ლულა კონდახის ღარში ჩამაგრებულია ვერცხლის ოთხი სალტით. კონდახი ძვლის დუგლუგით ბოლოვდება, ჩახმახი სადაა.

განვიხილოთ წარწერები: „მტერო გძლევ აჯი მუსტაფით". აჯი მუსტაფა იყო ჩრდილო კავკასიელი, უფრო ზუსტად, იარაღის დაღესტნელი (ხარბუკელი) ოსტატი. ეს სახელი ცნობილია XVIII საუკუნიდან და XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება.

აჯი მუსტაფას გაკეთებული ლულები იმდენად პოპულარული იყო, რომ ამ სახელით თავად თოფსაც მოიხსენიებდნენ. როგორც თოფის ლულაზე არსებული დამღა გვიდასტურებს, ის ნამდვილად აჯი მუსტაფას ეკუთვნის. მაშასადამე, გაირკვა წარწერის პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი ამბობს: „მეფე ირაკლი ჭეშმარიტ შემწეობით", ე. ი. მტერო, გძლევ აჯი მუსტაფის თოფითო, მე, ანუ „მეფე ირაკლი" ჭეშმარიტ (ჭეშმარიტება ერთია და შესაბამისად, ღმერთია) შემწეობითო, ანუ ღვთის შემწეობითო. ეს წარწერა ნათლად გვეუბნება, რომ თოფი მუსტაფა ერეკლე მეფის საკუთრება ყოფილა.

მეორე წარწერა შესრულებულია ლულის კუდზე: „მუხრან ბატონის ნიკოლოოზის ძეობით, ასალად მე...ყმხვდა ირაკლის აწე ღთისა მწეობით". ეს წარწერა გაცილებით გვიან უნდა იყოს შესრულებული.

ისტორიულ იარაღზე, როგორც წესი, მთავარი წარწერები შესრულებულია ლულის ზედაპირზე, საფალიესთან ახლოს, ხოლო შემდგომდროინდელი წარწერები — ლულის კუდზე.

თავად წარწერა გვეუბნება: „მუხრან ბატონის ნიკოლოოზის ძეობით", რაც უნდა ნიშნავდეს ნიკოლოოზ მუხრანბატონის ძეობას, ანუ დაბადებას.

მეორე ნაწილი წარწერისა კი ამბობს: „ასალად მე...მხვდა ირაკლის აწე ღვთისა მწეობით", ე. ი. ნიკოლოზის დაბადებასთან დაკავშირებით ახლა მე მხვდა ირაკლის (თოფი) ღვთის მწეობითო. შესაძლოა, თავად ერეკლემაც აჩუქა ეს თოფი რომელიმე მუხრან ბატონს, რომლის ოჯახშიც ნიკოლოოზი დაიბადა.

ერეკლეს მეფობის პერიოდში კი მხოლოდ ერთი ნიკოლოზია დაბადებული 1767 წლის 3 დეკემბერს (გარდაიცვალა 1794 წ.) იოანე (1727-1793 წწ.) მუხრანბატონის ოჯახში. მიუხედავად იმისა, სწორია თუ არა ეს ვარაუდი, ერთი რამ მაინც უდავოა, — ერეკლეს ეს თოფი მოგვიანებით ნამდვილად მუხრანბატონების ოჯახში მოხვდა, სადაც დაემატა ლულის კუდზე ზემოთ აღნიშნული წარწერა და ჩაუტარდა რესტავრაცია. რესტავრაციის კვალს ადასტურებს ვერცხლის ფირფიტებზე დასმული დამღები, რომლებიც 1854 წლით თარიღდება.

ამრიგად, ძვირფასი ლითონების ფონდში დაცული ქართულწარწერიანი თოფი, რომლის მფლობელის ვინაობა წარწერის საფუძველზე დადგინდა, მეფე ერეკლე II-ის თოფია.

**მამუკა ქაფიანიძე**
**საქართველოს ეროვნული მუზეუმის,**
**სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს**
**მუზეუმის იარაღისა და ძვირფასი**
**ლითონების ფონდის კურატორი.**
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამ შერმანი 1820-1891

უილიამ ტეკუმსე შერმანი აშშ-ის სამოქალაქო ომში ჩრდილოელთა ერთ-ერთი უდიდესი სარდალი იყო. სახელი 1864 წელს გაითქვა, როდესაც ატლანტა აიღო და ჯორჯიის გავლით ზღვისკენ მარშით გაიჭრა, მომავალ წელს კი სამხრეთს შემოერტყა.

შერმანი ოჰაიოელი მოსამართლის ვაჟი იყო, შოუნის ბელადის პატივსაცემად ტეკუმსე დაარქვეს. როდესაც ცხრა წლის შესრულდა, მამა გარდაეცვალა, ერთმა პოლიტიკოსმა იშვილა და თავისი სახელი — უილიამი დაარქვა. 16 წლისამ უესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში ჩააბარა, სადაც ორმოცდაორ კურსანტს შორის სწავლაში მეექვსე ადგილი დაიკავა.

ჩაირიცხა თუ არა მესამე საარტილერიო ბრიგადაში, სემინოლ ინდიელებთან საბრძოლველად გაგზავნეს, მაგრამ მექსიკის ომის გამო ინდიელებთან შეტაკებას ასცდა.

## ადმინისტრატორი

კალიფორნიაში მიავლინეს ფაქტობრივ სამხედრო გუბერნატორად. 1847 წლის 28 იანვარს მონტერეიში ჩასულმა გაიგო, რომ იერბა-ბუენასთვის სახელი შეეცვალათ და სან-ფრანსისკო დაერქმიათ. შერმანმა სამხედრო სამსახური 1851 წელს მიატოვა და საბანკო საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ 1857 წლის კრიზისმა მისი ბიზნესკარიერა დაასრულა. სამსახურის ძებნას შეუდგა და მეგობრების წყალობით 1860 წელს ლუიზიანაში ახალგახსნილ სამხედრო სკოლას ჩაუდგა სათავეში. სამოქალაქო ომი დაიწყო თუ არა, შერმანი პოლკოვნიკის წოდებით ჩრდილოელთა არმიაში მოხალისედ შევიდა. 1861 წლის ივლისში ბულრანის სისხლისმღვრელ ბრძოლაში თავი ისახელა და ბრიგადის გენერლობა უბოძეს. გადატანილის გამო ნერვებმა უმტყუნა. ხმა გავრცელდა, შეურაცხადიაო და ჯარიდან დაითხოვეს. მიუხედავად ამისა, ულის გრანტის სარდლობით მან 1862 წლის აპრილში შაილოს ბრძოლა მოიგო. შერმანს გენერალ-მაიორობა მისცეს. მან ვიკსბერგის ალებაშიც შეიტანა წვლილი, მარცხი იწვნია ჩიკასო-ბაფთან, მაგრამ არკანზასში ფორტ-ჰინდმანის ალებისას ისახელა თავი. ამის მერე ჯექსონთან კონფედერატთა ძალები სასტიკად დაამარცხა.

## ტენესის არმია

ტენესის არმია გრანტისგან შერმანმა გადაიბარა. იგი უკვე სარდალი იყო. 1863 წლის ნოემბერში ჩატანუგას ასალებ კამპანიაში ჩაერთო. 1864 წელს ატლანტა აიღო, საიდანაც ჯორჯიის გავლით გამა-

## ქრონოლოგია

* 1820 დაიბადა 8 თებერვალს ლანკასტერში, ოჰაიოში.
* 1836-40 სწავლობდა უესტ-პოინტში.
* 1840 ფლორიდაში სემინოლებს ებრძოდა.
* 1847 კალიფორნიის ფაქტობრივი სამხედრო გუბერნატორია.
* 1853 სამხედრო სამსახურიდან გადადგა; სან-ფრანცისკოში ბანკირი გახდა.
* 1860 ლუიზიანაში სამხედრო აკადემიის მეთაურია.
* 1861 ლუიზიანა დატოვა, რათა სამოქალაქო ომში ჩრდილოელთა ჯარს შეერთებოდა. მონაწილეობდა ბულ-რანის ბრძოლაში.
* 1862 გრანტის მარჯვენა ხელი გახდა; შაილოსთან გამარჯვება მოიპოვა.
* 1863 ჯექსონთან კონფედერატთა მარაგი გაანადგურა.
* 1864 ატლანტა აიღო და ზღვისკენ გამანადგურებელი მარშით წავიდა.
* 1865 კოლუმბია და გოლდბორო აიღო.
* 1869 მიანიჭეს გენერლის წოდება.
* 1869-83 აშშ-ის არმიის მთავარსარდალია.
* 1891 გარდაიცვალა 14 თებერვალს, ნიუიორკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



*1864 წლის ნოემბერ-დეკემბერში გენერალმა შერმანმა არმია ატლანტის ოკეანის სანაპიროსკენ წაიყვანა*

ნადგურებელი მარშით ზღვისკენ გაემართა და განაცხადა, მე შემიძლია ჯორჯია ავაყმუვლოო.

შერმანი 62 ათასიანი ჯარით სამხრეთში შეიჭრა და მოსახლეობა დააწიოკა, საქონელი გაწყვიტა და პროდუქტები ჩამოართვა ხალხს. სადაც კი გაიარა, ყველგან შიმშილი და შიში დათესა. 1864 წლის დეკემბერში ატლანტის ოკეანესთან გავიდა და პორტი სავანა აიღო. 1865 წლის 17 იანვარს კონგრესმა მადლობა გამოუცხადა „ტრიუმფალური ლაშქრობისთვის". შერმანი ჩრდილოეთში გაბრუნდა კაროლინის გავლით. გენერალ ჯონსტონს წინააღმდეგობის მეტი აღარაფერი დარჩენოდა და უკანასკნელი ბრძოლა 19-21 მარტს გაიმართა ბენტონვილთან, კაროლინაში. ამასობაში სამხრეთელთა გენერალი ლი აპამატოქსთან დანებდა და ჯონსტონს გამარჯვების იმედი გადაუწურა. 25 აპრილს ჯონსტონმა იარაღი დაყარა დარჰემთან, ჩრდილოეთ კაროლინაში.

გრანტისგან განსხვავებით, შერმანს პოლიტიკური ამბიციები არ ჰქონია. როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა სთხოვეს, უპასუხა, რომც დამასახელონ, არ დავთანხმდები და არ ვიმსახურებ, რომც ამირჩიონო.

სამაგიეროდ, ის ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სარდალი გახდა და ამ პოსტზე 14 წელიწადი დაჰყო. 1875 წელს შერმანმა მემუარები გამოსცა. გარდაიცვალა 1891 წლის 14 თებერვალს, ნიუ-იორკში.

## კავშირის გენერალი

● 1864 წლის მაისში შერმანი ჩატანუგიდან 100 ათას მებრძოლს გაუძღვა ატლანტისკენ. გზად რამდენჯერმე მოუხდა კონფედერაციულ ძალებთან შეტაკება — ებრძოდა გენერალ ჯონსტონს დალტონთან, რესაკასა და ქასვილთან. 27 ივნისს სასტიკი ბრძოლა გამართა ქენესო-მაუნთინთან, გენერალ ჯონსტონის პოზიციებთან. ამ ბრძოლაში 3 ათას ჯარისკაცი დაკარგა. ჯონსტონი გენერალმა ჰუდმა შეცვალა, შერმანი კი 1-ელ სექტემბერს წინ გაიჭრა და კონფედერატები უკუაგდო.

● 16 ნოემბერს შერმანმა ცნობილი ზღვისკენ მარში დაიწყო. 22 დეკემბერს უკვე ატლანტის ოკეანის სანაპიროს მიაღწია და ლინკოლნს უდეპეშა: „თავს ნებას ვაძლევ, საშობაო საჩუქრად მოგართვათ პორტი სავანა 150 ქვემეხით, აურაცხელი ამუნიციითა და 25 ათასი ბამბის ფუთით".

**მოამზადა ლევან ინასარიძემ**

*ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდის ჰაუბიცა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამურაების არმიები

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L



**242** 1550-იანი წლებისათვის იაპონია დაქსაქსული იყო და მის თითოეულ ნაწილს დაიმიო მართავდა. ის სარდალი და კლანის ხელმძღვანელი იყო. დაპირისპირებული კლანები ერთმანეთს გამუდმებით ეომებოდნენ. სამფლობელოების დასაცავად მათ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდათ. რაც უფრო მეტი ბრძოლა იმართებოდა, ჯარი მით ორგანიზებული ხდებოდა.

**244** ქვეით მეომარს ასიგარუ ეწოდებოდა. ისინი ჯარის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ და ყოველთვის სჭარბობდნენ სამურაებს. ასიგარუ იბრძოდა ხმლით, შუბით, მშვილდითა და ნაგინატათი (იხ. გვ. 115). 1540-იანი წლებიდან დაიწყეს თოფების გამოყენება, რომელთაც არკებუზები ეწოდებოდა.

**243** დაპირისპირებული კლანები ერთმანეთს საბრძოლო სეზონის განმავლობაში, გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე ებრძოდნენ. ბრძოლას წყვეტდნენ მოსავლის აღებისას, სექტემბერში, და ზამთარში. მეომრების უმეტესობა გლეხი იყო და მოსავლის ასაღებად შინ ბრუნდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 245

სამურაების ჯარი ქვედანაყოფებად იყოფოდა. წარჩინებული მეომრები ცხენზე იყვნენ ამხედრებული. ასიგარუ დაყოფილი იყო მეშუბეებად, მშვილდოსნებად და არკებუზის (ცეცხლსასროლი იარაღი) მსროლელებად. მედროშედ ასიგარუ ჰყავდათ, ზოგიერთ მათგანს ჯარის ბარგის ტარება ევალებოდა.

## 246

ჯარის გადაადგილებას მეთაურები მარაოების ქნევით აკონტროლებდნენ. მარაო ფოჩიანი იყო, რომ მეომარს თვალში მოხვედროდა. ჯარებისთვის ინფორმაციის გასაგზავნად ხმოვან სიგნალებსაც იყენებდნენ, — ნიჟარებს ჩაჰბერავდნენ და დოლებისა და გონგების ცემას იწყებდნენ.

▼ სამურაების ჯარი მარშირებისას. ასიგარუ ფლანგებიდან გარშემორტყმულია ცხენოსანი სამურაებით. უძლიერეს კლანებს 100000 კაცზე მეტი ჰყავდათ ჯარში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეომრების მომზადება

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L

## 247

საბრძოლო ხელოვნებას ბავშვობიდანვე ეუფლებოდნენ. ყმაწვილები სწავლას დაახლოებით 7 წლის ასაკში იწყებდნენ და ხუთი ან ექვსი წელი კითხვას, წერას და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას სწავლობდნენ. დაახლოებით 10 წლის ასაკში საბრძოლო წვრთნას შეუდგებოდნენ. როდესაც ბიჭი ცამეტი წლის გახდებოდა, სრულწლოვანების ცერემონიას გაივლიდა და მას შემდეგ მზად იყო ბრძოლაში მონაწილეობისთვის.



▶ ბიჭებს ბრძოლას ჯოხებით ასწავლიდნენ, მოგვიანებით კი ხმლებით.

## 248

ზოგიერთ კლანს საწვრთნელი სკოლა, ანუ დოძიო ჰქონდა. აქ ბიჭებს საბრძოლო ხელოვნებას მწვრთნელი, ანუ სენსეი ასწავლიდა. სენსეი სამურაების ჯარში ნამსახური გამოცდილი მეომარი იყო. მას საბრძოლო ხელოვნების სხვებისთვის გადაცემა ევალებოდა.

### დაუჯერებელია!

სამურაის ოჯახში დაბადებულ ცაცია ბავშვს მარცხენა ხელს უკრავდნენ, რომ მხოლოდ მარჯვენა ხელი ეხმარა.



## 249

მხედრობა ჯარის ელიტური ნაწილი იყო. ისინი, ძირითადად, მშვილდით იბრძოდნენ, — გაჭენებული ცხენით ისარს აუცდენლად ტყორცნიდნენ. ისრების სროლაში მორბენალ ძაღლებზე ვარჯიშობდნენ. საბოლოოდ ისე დაოსტატდებოდნენ, რომ მიზანს არ აცილებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



▶ სროლაში ვარჯიშისას ძაღლებს ბლაგვ ისრებს ესროდნენ, რომ არ დახოცილიყვნენ.

## 251

სამურაის ცოლიც კარგი მეომარი იყო. მას ოჯახში საქმიანობა ევალებოდა, მაგრამ თუ მტერი დაესხმოდა თავს, ხანჯლითა და ნაგინატათი მოიგერიებდა. ზოგიერთ კლანს ციხე-სიმაგრეების დამცველებად მეომარი ქალების რაზმებიც ჰყავდა.

## 250

ცხენზე ამხედრებულ სამურაის ისრები ბოძზე დამაგრებული სამიზნისთვის უნდა ესროლა. როდესაც პატარა ხის დაფას ჩაუქროლებდა, ისარს სტყორცნიდა. მიზანი სამი იყო და მშვილდოსანსაც მხოლოდ სამი ისარი ჰქონდა. გამოცდილი სამურაი ისარს ფუჭად არ გააცდენდა, ყველა სამიზნეს არტყამდა.



▶ ტომოე გოძენი (1155-1247), ქალი-მეომარი, მინამოტოს კლანის მხარეს იბრძოდა გემპეის ომში.

# ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა




2013 წლის 24 მარტს ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა: დედაქალაქი ბანგი ოპოზიციურმა მოძრაობა Seleka-ს (ადგილობრივი სარგოს ენაზე ნიშნავს „გაერთიანებას“, „კავშირს“) შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მიშელ დჟოტოდია, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე და თავდაცვის მინისტრი. მან თავი წარიდგინა როგორც სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა და კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა და პარლამენტი და მთავრობა დაშალა.

საფრანგეთის ყოფილმა კოლონიამ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკამ (ცარ) 1960 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი და სამხედრო გადატრიალება გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას უმდიდრესი მინერალური რესურსები აქვს, ცარ-ი ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანაა.

კოალიცია Seleka-ს წევრმა სამმა ოპოზიციურმა პარტიამ ცარ-ის პრეზიდენტს ხუთი წლის წინ დადებული შეთანხმების შესრულება მოსთხოვა.

შეთანხმება კი ითვალისწინებდა Seleka-ს ინტეგრირებას ეროვნულ არმიაში, ფულადი დახმარების გაცემას, ქვეყნის მდიდარი მინერალური რესურსების ექსპლუატაციისგან მიღებული შემოსავლების სამართლიან გაყოფას და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას.

ჩამოგდებულმა პრეზიდენტმა ფრანსუა ბოზიზემ იმავე დღეს თავი მეზობელ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეაფარა, შემდეგ კი კამერუნში გადავიდა.

ის ხელისუფლებას სათავეში 2003 წლის მარტიდან ჩაუდგა, როცა ცარ-ის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი იყო, ჩამოაგდო პრეზიდენტი ანჟ-ფელიქს პატასე და თავი სახელმწიფოს ახალ მეთაურად გამოაცხადა. ამის მერე პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს ბოზიზემ არჩევნებში ორჯერ (2005 წ. და 2009 წ.) გაიმარჯვა.

მან ყოფილი „იმპერატორი“ ბოკასა, რომელიც მსოფლიოს მეხსიერებაში დარჩა როგორც დიქტატორი-კანიბალი, ეროვნულ გმირად გამოაცხადა.

აფრიკულმა კავშირმა (აკ) ცარ-ის მოვლენებს ქვეყნის ამ ორგანიზაციაში წევრობის შეჩერებით უპასუხა, ხოლო ორგანიზაციის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლებაში მოსულ მთავრობას არ ალიარებდნენ.

2012 წლის დეკემბერში მდგომარეობა ქვეყანაში გამწვავდა და აჯანყებულები მასშტაბურ შეტევაზე გადავიდნენ. სულ რაღაც 2 კვირის განმავლობაში ჩატარებულ საბრძოლო მოქმედებათა შედეგად ქვეყნის ჩრდილოეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთით და ცენტრალურ ნაწილში მათ დაიკავეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი კაბო (400 კმ-ში ჩრდი-

ლოეთით დედაქალაქ ბანგიდან), ალმასის მომპოვებელი ცენტრი ბრია, ოქროს მოპოვების ცენტრი — ნდასიმი, ქალაქები — ნდელე, კვაგდჟა, უდა, იპა და ბამბარი.

ბოზიზეს თხოვნით ქვეყანაში შევიდნენ სამხედრო ფორმირებები მეზობელი ჩადიდან (400-მდე სამხედრო მოსამსახურე), რომლებიც შეუერთდნენ ცარ-ის სამთავრობო ჯარებს ქალაქ სიბუტის რ-ში, რომლისკენაც მეამბოხეები მიიწევდნენ, მაგრამ აჯანყებულებმა ჩადის პრეზიდენტი იდრისი დები მაშინვე გააფრთხილეს შიდა კონფლიქტში „სამხედრო ჩარევის დაუშვებლობაზე".

2013 წლის იანვრის დასაწყისში Seleka-ს რაზმები დედაქალაქიდან უკვე 85 კმ-ში იყვნენ. ამასთან, სამთავრობო ჯარი წინააღმდეგობას არ უწევდა მოიერიშე აჯანყებულებს.

სისხლის ღვრის შესაჩერებლად მსოფლიო საზოგადოებრიობამ ზომები მიიღო. კერძოდ, 2013 წლის 11 იანვარს გაბონის დედაქალაქ ლიბრევილში ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ეკონომიკურმა თანამეგობრობამ ცარ-ში ძალადობის შეწყვეტაზე შეთანხმება მიიღო, რომელიც ეროვნული ერთიანობის მთავრობის ფორმირებასაც ითვალისწინებდა. მის შემადგენლობაში, სავარაუდოდ, უნდა შესულიყვნენ როგორც აჯანყებულთა მომხრეები, ასევე მოქმედი ძალაუფლების წარმომადგენლებიც. Seleka თანახმა იყო, მოეხსნა საკუთარი მოთხოვნები ბოზიზეს გადაყენებაზე პრემიერ-მინისტრად ოპოზიციის კანდიდატის დანიშვნის სანაცვლოდ. მაგრამ 2013 წლის მარტის შუა რიცხვებში კოალიცია Seleka-მ ხელისუფლება იანვრის სამშვიდობო შეთანხმების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა და კვლავ აქტიური შეტევითი მოქმედებები დაიწყო.

ცარ-ის მრავალეროვნული ძალების (ჩადი — 400, გაბონი — 120, კონგოს რესპუბლიკა — 120 და კამერუნი — 120 სამხედრო მოსამსახურე) სარდლობამ მეამბოხეები გააფრთხილა, რომ შემდგომ შეტევით მოქმედებებს ცარ-ის დედაქალაქის მიმართულებით შეაფასებდა სრულმასშტაბიანი ომის დასაწყისად თავისი შედეგებით, მაგრამ ამ განცხადებამ ვერ შეაჩერა მეამბოხეები. უფრო ადრე კი პრეზიდენტმა ბოზიზემ დახმარებისთვის პარიზსა და ვაშინგტონს მიმართა და სიტუაციაში ჩარევა და აჯანყებულების შეჩერება სთხოვა.

2012 წლის ბოლოს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟან-მარკ ეირომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ცარ-ის შიდა საქმეებში კონფლიქტის შეჩერების მიზნით არ ჩაერეოდა და თუ ასეთ ნაბიჯზე წავიდოდა, ისიც მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის.

რალაც ამდაგვარი ადრე მოხდა სხვა აფრიკულ ქვეყანაში კოტ-დ'ივუარში, სადაც არჩევნების შემდეგ ორხელისუფლებიანობა დამყარდა. მაშინ პარიზი საკუთარი ნეიტრალიტეტის დეკლარირების მიზნით კონფლიქტში ჩაერია და სამხედრო ძალა სახელმწიფოს მეთაურის შესაცვლელად გამოიყენა.

სახელმწიფო გადატრიალებამდე ცარ-ში იმყოფებოდა 250 ფრანგი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ადგილობრივ სამხედროებს დახმარებას უწევდნენ სამხედრო ტექნიკის მომზადებაში.

როგორც კი მეამბოხეებმა ბანგი დაიკავეს, პარიზმა მაშინვე შეიყვანა იქ დამატებითი სამხედრო კონტინგენტი და საერთო რიცხვოვნობა 600 სამხედრო მოსამსახურემდე გაზარდა. როგორც აცხადებდნენ, კონტინგენტის ამოცანა საფრანგეთის მოქალაქეების დაცვა იყო.

ბანგისთვის ბრძოლებში აჯანყებულებს წინააღმდეგობა მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო კონტინგენტმა გაუწია. ამ ქვეყანამ ცარ-ში დედაქალაქის და პრეზიდენტის რეზიდენციის დასაცავად 200 სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ბრძოლებში 14 სამხრეთაფრიკელი დაიღუპა, 27 დაიჭრა.

აპრილის დასაწყისში თვითაღიარებულმა პრეზიდენტმა მიშელ დჟოტოდიამ შექმნა უმაღლესი დროებითი საბჭო, რომელიც ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ეკონომიკურმა თანამეგობრობის რეკომენდაციით რესპუბლიკის პრეზიდენტს 18 თვით აირჩევს და კონსტიტუციის პროექტს შეიმუშავებს. დამკვირვებლების აზრით, ეს ხელს შეუწყობს ქვეყანას იზოლაციიდან გამოსვლაში.

**მოამზადა ვიქტორია ვაზაგაშვილმა**



*ოპოზიციური ძალების ჯარისკაცი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრემლის აგენტურა პარიზელ ქართველებში



## იყო თუ არა გიორგი გეგელია საბჭოთა დაზვერვის აგენტი ქართულ ემიგრაციაში?!

სტალინის დავალებით ლავრენტი ბერია ქართული ემიგრაციის ლიდერების წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობას ასე ახორციელებდა: ცდილობდა მინიმუმ ერთი აგენტი ჰყოლოდა ემიგრაციის ლიდერების უახლოეს გარემოცვაში: ნოე ჟორდანიასთან – შალვა ბერიშვილი, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ ნოე რამიშვილზე იყო მიჩენილი; სპირიდონ კედიასთან – გიორგი გეგელია; ევგენი გეგეჭკორთან – იონა ნამიჭეიშვილი და ა.შ.

დღეს საბჭოთა დაზვერვის გამოცდილ აგენტ გიორგი გეგელიაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

გიორგი გეგელია 1904 წელს დაიბადა ფოთთან ახლოს მდებარე სოფელ ჭალადიდში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი 1925 წელს პარიზში საქართველოს ჩეკას დავალებით ჩავიდა. მიზეზი ძალზე სერიოზული იყო: „სწავლის გაგრძელება“. გეგელიამ პირადად ლავრენტი ბერიასგან მიიღო ინსტრუქცია ქართულ ემიგრაციასთან, უპირველესად ყოფილი მთავრობის წევრებთან დაახლოებისა და მათთვის თვალთვალის დაწესების შესახებ. ცნობილია, რომ გეგელია ნათესავად ეკუთვნოდა თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ფუძემდებელსა და ხელმძღვანელს, სპირიდონ კედიას, რომელიც 1923 წლიდან ემიგრაციაში იყო საფრანგეთში. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა გეგელიას პერსონით ჩეკას დაინტერესება.

როგორც ჩანს, თავდაპირველად გეგელია სათანადოდ არ იცავდა კონსპირაციას და 20-იანი წლების ბოლოდან ქართულ ემიგრაციაში მასზე, როგორც ჩეკა-ოგეპეუს აგენტზე, ეჭვი ჰქონდათ.

სპირიდონ კედიას მეუღლე, სოფიო ჩიჯავაძე-კედია იხსენებს: „გეგელია არწმუნებდა თავის ამხანაგებს, რომ შოკოლადის ქარხანაში მუშაობს და იქიდან მოტანილი შოკოლადით ხშირად კიდეც უმასპინძლდებოდა ამ უმუშევარ ემიგრანტებს. მაგრამ ეს შოკოლადის ქარხანა რაღაც საეჭვოდ ჰქონდათ მიჩნეული. ერთხელ ერთ-ერთმა მოინდომა ფეხდაფეხ გაჰყოლოდა ამ შოკოლადის ქარხნისკენ მიმავალ გზაზედ. ეს ცნობისმოყვარე მიადგა რუსეთის საკონსულოს კარებს გეგელიასთან ერთად; როდესაც ჰკითხა, იქ რად დადის, გეგელიას პასუხი იყო, რომ საქართველოში მას ჰყავს ბიძა, რომელიც „დიდი კაცია და ის ამ საელჩოს საშუალებით პატარა თანხას აწვდის“.

ეს საკმარისი იყო, რომ მას თავის წრეში ნდობა დაეკარგა. სპირიდონს არ სჯეროდა, რომ გეგელია კომუნისტების აგენტია და ეს სულ ბოლო დრომდე“.

თუმცა, მიუხედავად დასაბუთებული ეჭვისა და უნდობლობისა, გეგელია განაგრძობდა აქტიურ მუშაობას საბჭოთა დაზვერვის დავალებების შესასრულებლად. ჯერ კიდევ შეუსწავლელია მისი როლი და ფუნქციები ნოე რამიშვილის მკვლელობის ორგანიზებასა და შემდგომ მიმდინარე საგამოძიებო პროცესში.

ცნობილია, რომ გიორგი გეგელია ამიერკავკასიის ოგეპეუდან (რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იმ პერიოდში ლავრენტი ბერია იყო) მიღებული დირექტივების მიხედვით ცდილობდა ნოე რამიშვილის მკვლელის, პარმენ ჭანუყვაძის საბჭოთა საელჩოსთან (ფაქტობრივად, დაზვერვასთან) ყოველგვარი კავშირის მიჩქმალვას.

1931-33 წლებში გეგელია საბჭოთა მზვერავის პეტრე ზუბოვის ხელმძღვანელობით მოქმედებდა და კარგად გაუგეს ერთმანეთს. 1933 წლის შემდეგ პარიზის რეზიდენტურაში ხელმძღვანელობა ძალზე სწრაფად იცვლებოდა. თავად განსაჯეთ, რეზიდენტები იყვნენ: 1933-36 წლებში – სმირნოვი („მიხაილოვი“), იგივე „ვიქტორი“; 1936-38 წწ. — კოსენკო („კისლოვი“) იგივე „ფინი“; 1938-1939 წწ. — ს. გლინსკი („პეტ-

რე"); 1939-1941 ლ. ვასილევსკი („ტარასოვი"); 1944-1948 წწ. ი. ალაიანცი. ბუნებრივია, გ. გეგელიასაც უჭირდა ახალ რეზიდენტებთან შეგუება.

ზემოთ ჩამოთვლილი საბჭოთა მზვერავებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო პეტრე ზუბოვია.

პეტრე ზუბოვი დაიბადა ტიფლისში, 1898 წლის 7 თებერვალს. 1918 წელს გახდა ბოლშევიკური პარტიის წევრი და აქტიურად ჩაერთო ტერორისტულ აქციებში, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. 1920 წლის მარტში პეტრე ზუბოვი საგანგებო რაზმის მეთაურ მექი კედიას მებრძოლებმა დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაამწესეს (სავარაუდოდ, იქ გაიცნო ლავრენტი ბერია), თუმცა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაათავისუფლეს.

1921 წლის 25 თებერვალს პეტრე ზუბოვი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად შემოვიდა თბილისში. იმავე პერიოდიდან ზუევი საქართველოს ჩეკას ოპერატიულ განყოფილებაში მუშაობს. ამ პერიოდიდან იწყება მისი და ლავრენტი ბერიას ნაცნობობა. 1922 წლის დასაწყისში ზუბოვი საქართველოს ჩეკას საგარეო დაზვერვის იმ ქვეგანყოფილების უფროსად დანიშნეს, რომელიც თურქეთში მოქმედი ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობას ეწეოდა.

საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის დოკუმენტებში განსაკუთრებით ხაზგასმულია პეტრე ზუბოვის მონაწილეობა 1922-24 წლებში საქართველოში დაგეგმილი სამხედრო გამოსვლების ჩახშობის ოპერაციებში.

ირკვევა, რომ ზუბოვს ჯერ კიდევ 1922 წლის ივნისში ჩაუვარდა ხელთ საიდუმლო აგენტურული ინფორმაცია, საიდანაც გამჟღავნდა, რომ ანტიკომუნისტური გამოსვლების ორგანიზაციისთვის საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტები და საქართველოში დარჩენილი პატრიოტები სამხედრო აჯანყებას გეგმავდნენ. ლავრენტი ბერიამ ეს ინფორმაცია გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკის მოახსენა.

ქართველი პატრიოტების გამოვლენისა და ემიგრაციიდან ჩამოტყუების სპეცოპერაცია მოსკოვში დაიგეგმა და 1924 წლის აგვისტოს ბოლოს ბოლშევიკების სისხლიანი გამარჯვებით დასრულდა.

1928 წელს პეტრე ზუბოვი დააწინაურეს და კონსტანტინოპოლში საბჭოთა დაზვერვის არალეგალურ რეზიდენტურაში მიავლინეს, სადაც 1930 წლის ივნისამდე საკონსულო განყოფილების თანამშრომლის, „პეტრე გრიშინის" ფსევდონიმით მოქმედებდა.

განსაკუთრებით საინტერესოა პეტრე ზუბოვის საბჭოთა დაზვერვის პარიზის რეზიდენტურაში მუშაობა 1931-33 წლებში. საქართველოში დაბადებულმა ზუბოვმა კარგად იცოდა ქართული ენა და ქართული ხასიათი. ჯერ კიდევ თურქეთში მუშაობისას ქართული ემიგრაციის წრეებში რამდენიმე აგენტ-ინფორმატორი გადაიბირა. პარიზში ამ აგენტურას უშუალოდ ნოე ჟორდანიას გარემოცვიდან (ყოველ შემთხვევაში ასე ამტკიცებს საბჭოთა საგარეო დაზვერვის ისტორია) გადაბირებული ახალი აგენტურა დაემატა. ასე რომ, ზუბოვი და მისი უშუალო ხელმძღვანელობა თბილისსა და მოსკოვში ქართული ემიგრაციის ყველა საიდუმლო გეგმაში თავიდანვე იყო ჩახედული. პარიზის რეზიდენტურაში ოპერატიული მუშაობა დაუფასეს და ზუბოვი ორდენით დააჯილდოეს.

1933 წლის მაისიდან ზუბოვი საბჭოთა საგარეო დაზვერვის ცენტრალურ აპარატში დააბრუნეს, ხოლო 1937 წლის აპრილში პრაღაში დაზვერვის რეზიდენტად დანიშნეს.

თუმცა ზუბოვსაც მალევე უწია სტალინის რისხვამ და 1938-41 წლები ლეფორტოვოს ციხეში გაატარა. მხოლოდ პავლე სუდოპლატოვის არაერთგზის თხოვნის შემდეგ გადაწყვიტა ლავრენტი ბერიამ ზუბოვის გადარჩენა. ზუბოვი პოლონელი არისტოკრატის, იანოშ როძივილისა და საიდუმლო აგენტ იურეკ სოსნოვსკის გადაბირების ოპერაციაში ჩართეს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზუბოვი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა დივერსანტების მომზადებისა და გერმანიის ტერიტორიაზე შეგზავნის ოპერაციებში. 1943 წელს მიანიჭეს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. პეტრე ზუბოვი გარდაიცვალა 1952 წელს და თან ქართული ემიგრაციის შესახებ ძალზე ბევრი საიდუმლო წაიყოლა. ჩვენ კი ისევ გიორგი გეგელიას დავუბრუნდეთ.

მოსკოვის დავალებით 1936 წელს გეგელია ანტისაბჭოთა ემიგრანტული ორგანიზაცია „კავკასიის" წევრი გახდა და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა საბჭოთა დაზვერვას. ჰეიდარ ბამატის ხელმძღვანელობით მოქმედ ამ ანტიბოლშევიკურ სტრუქტურას გერმანიისა და იაპონიის დაზვერვა და საგარეო



*სტალინმა და ბერიამ ქართულ ემიგრაციაზე თითქმის ყველაფერი იცოდნენ*

საქმეთა სამინისტროები აფინანსებდნენ. ამიტომაც ორგანიზაციის წევრებს მათ სადაზვერვო ოპერაციებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

დაღესტნელი ჰაიდარ ბამატი (ბამატოვი) XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოში მეფისნაცვლის წარმომადგენლობაში მსახურობდა, 1917 წელს, რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ბამატი კავკასიის ხალხთა კონფედერაციის იდეის აქტიური მხარდამჭერი გახდა. შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, სადაც იბრძოდა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ.

საქართველოს მხრიდან „კავკასიის" ორგანიზაციის წევრები უპირატესად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ, მათ შორის — ზურაბ ავალიშვილი, შალვა ამირეჯიბი, გიორგი კვინიტაძე, დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი და გიორგი გეგელია. ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი ემიგრანტები უკლებლივ ანტიმენშევიკური განწყობის იყვნენ.

ბამატმა და ამირეჯიბმა ბერლინში ვიზიტის შემდეგ, სადაც გერმანიის სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შეხვდნენ, 1938 წლის ბოლოს პარიზში „კავკასიის" აქტიურ წევრებთან გამართეს შეხვედრა და გერმანელებთან მოლაპარაკების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

საბჭოთა დაზვერვის არქივებში არსებული საიდუმლო დოკუმენტების შესწავლის შემდეგ კა-გე-ბეს ვეტერანმა გენერალმა სოცკოვმა წიგნიც კი გამოსცა „უცნობი სეპარატიზმის" სახელწოდებით. ამ სუბიექტურ და შოვინისტურ „ნაშრომში" ჩვენთვის საინტერესოა ემიგრანტულ ორგანიზაცია „კავკასიაში" საბჭოთა აგენტურის მუშაობა. სოცკოვი აღნიშნავს, რომ ბამატისა და ამირეჯიბის შეხვედრებმა ბერლინში ქართველი ემიგრანტების დიდი ინტერესი გამოიწვია და ამ საუბრის შინაარსი საბჭოთა აგენტურის მეშვეობით სწრაფადვე გახდა ცნობილი მოსკოვისთვის. ამ შეხვედრაში გიორგი გეგელიაც მონაწილეობდა და განსაკუთრებით აქტიურობდა. ქვემოთ გთავაზობთ მცირე ამონარიდს აგენტის მიერ საბჭოთა საგარეო დაზვერვაში გაგზავნილი ცნობიდან:

„გეგელია: — რა ინტერესები აქვს გერმანიას და რას მოითხოვს ჩვენგან დახმარების სანაცვლოდ?

ბამატი: – გერმანელების ინტერესები კავკასიაში ეკონომიკური ხასიათისაა.

გეგელია: — მე მინდა ვიცოდე, რა შეიძლება გავაკეთოთ ჩვენ, ემიგრანტებმა გერმანიისთვის და რა როლი გვენიჭება ამ საქმეში?

ბამატი: — ჩვენი პროპაგანდით უნდა შევქმნათ ხელსაყრელი გარემო კავკასიურ-გერმანული ურთიერთობებისათვის, ჯერჯერობით სხვა კონკრეტული საკითხი ჩვენ მიერ დამუშავებული არ არის".

მიუხედავად იმისა, რომ გენერალი სოცკოვი არ ასახელებს აგენტის გვარს, ჩვენი აზრით, სწორედ გეგელია იყო ის აგენტი, რომელიც სისტემატურად აწვდიდა აგენტურულ ცნობებს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგარეო დაზვერვის ქვედანაყოფს, საიდანაც ინფორმაცია „ცენტრში" — მოსკოვში იგზავნებოდა.

1939 წლის სექტემბრის დასაწყისში გეგელია, როგორც საფრანგეთის მოქალაქე, საყოველთაო მობილიზაციას დაექვემდებარა და საფრანგეთის არმიის ჯარისკაცი გახდა, ხოლო 1940 წლის იანვრიდან უკვე საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა გერმანელთა წინააღმდეგ.

1940 წლის ივნისის ბოლოს, მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა, გეგელია სხვა დემობილიზებულ ჯარისკაცებთან ერთად პარიზში დაბრუნდა. რამდენიმე თვის შემდეგ ის ფრანგ კომუნისტებს დაუკავშირდა და წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაერთო, ამიტომ 1939 წლის სექტემბრის ბოლოდან 1940 წლის ივნისამდე საბჭოთა რეზიდენტურასთან კავშირი გაუწყდებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც პარიზში დაბრუნდა, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტ ვასილევსკისთან კავშირის აღდგენა არ უნდა გართულებულიყო.

1945 წლიდან გეგელია აქტიურად ჩაება ქართველი ემიგრანტების ჩამოტყუება-მოტაცების ოპერაციებში.

20 წელზე მეტხანს გაგრძელდა გიორგი გეგელიას სადაზვერვო მისია და 1948 წელს, მას შემდეგ, რაც ემიგრანტულ წრეებში საბოლოოდ გაიშიფრა და სადაზვერვო საქმიანობის გაგრძელება პრაქტიკულად აღარ შეეძლო, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელობამ ის საქართველოში დააბრუნა. სამი წლის შემდეგ, 1951 წლის 17 ნოემბერს, ე.წ. „მეგრელთა საქმის" გამო სტალინის პირადი მოთხოვნით გეგელია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დააპატიმრეს, როგორც „საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტ-კონტრრევოლუციონერების" აგენტი. გეგელია პატიმრობიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1953 წლის 14 დეკემბერს გაათავისუფლეს. შემდგომ წლებში ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ და მთარგმნელობით მოღვაწეობას.



*1945 წლიდან გეგელია აქტიურად ჩაება ქართველი ემიგრანტების ჩამოტყუება-მოტაცების ოპერაციებში*

**ბესიკ ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ყველაზე დიდი ატომური ყინულმჭრელი

გასულ საუკუნეში სსრკ მსოფლიოში ატომური ყინულმჭრელების ყველაზე დიდი და იმავდროულად, ერთადერთი ფლოტის მფლობელი იყო. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მძლავრი ყინულმჭრელები სსრკ-ის შორეული აღმოსავლეთიდან მურმანსკამდე საზღვაო ქარავნების გასატარებლად სჭირდებოდა.

1972 წელს წყალში ახალი ატომური ყინულმჭრელი **Арктика** ჩაუშვეს. 150 მ-ის საერთო სიგრძისას, ატომური სათბობით მომუშავე გემი საკუთარ კლასში დღესაც მსოფლიოში ყველაზე დიდი მცურავი საშუალებაა.

1993 წლამდე **Арктика**-ს პროექტით ექვსი ატომური ყინულმჭრელი (პირველი გემი პროექტის სახელს ატარებს) აიგო. ორმაგი კორპუსის წყალობით ამ გემებს რამდენიმე მეტრი სისქის ყინულის გაპობა შეუძლიათ. ფუნქციონალური განყოფილებების გარდა, გაბარიტულ ატომურ გემზე 150 კაიუტა, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და ფრენბურთის მოედანი, საჭადრაკო დარბაზი, აუზი და 100-ადგილიანი კინოთეატრიც კი არის.

დღეს აქტიურ ექსპლუატაციაში **Арктика**-ს ტიპის სამი ყინულმჭრელია. რესურსის გასვლის გამო, ორი გემი ჯართად დაჭრის მოლოდინშია, ერთიც დაკონსერვებულია.





## მსოფლიოს უდიდესი თვითმფრინავი

25 წელზე მეტია, რაც მსოფლიოს ყველაზე დიდი თვითმფრინავის ტიტულს საბჭოური კოსმოსური პროგრამებისთვის შექმნილი **Ан-225** ატარებს. ის ანტონოვის პირმშო, ბაიკონურის კოსმოდრომზე, კოსმოსური ხომალდ **Буран**-ისა და რაკეტა **Энергия**-ს ელემენტების გადასატანად შეიქმნა.

ექვსძრავიანი გიგანტი ჰაერში პირველად 1988 წლის 21 დეკემბერს აფრინდა. 84 მ სიგრძის **Ан-225**-ის ფრთის გაქანი 88,4 მ-ია. სასარგებლო დატვირთვის სახით თვითმფრინავს 250 ათასი კგ მიაქვს, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი — 640 ათას კგ-ს აღწევს. ის მსოფლიოში ერთადერთი თვითმფრინავია, რომელსაც 32 თვალი აქვს.

თვითმფრინავის დასრულებამდე **Буран-Энергия**-ს კომპონენტები კოსმოდრომზე სხვა თვითმფრინავით გადაიტანეს. **Ан-225**-ის პროგრამაში მონაწილეობა მხოლოდ 1989 წელს პარიზის ავიასალონზე გამოსვლით შემოიფარგლა. დღეს გიგანტური თვითმფრინავი ავიაკომპანია „ანტონოვის ავიახაზების" საკუთრებაა და ტვირთი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გადააქვს. 2009 წელს **Ан-225** გინესის რეკორდების წიგნში შევიდა – ავიაციის ისტორიაში მან ყველაზე მძიმე მონოტვირთი გადაიტანა — 187,6 ტ-ის ტურბინა გერმანიიდან ერევანში ჩაიტანა.




# ქართველის ატომური ბომბები

MK.7 ტიპის ატომური ბომბით აღჭურვილი ალექსანდრე ქართველის გამანადგურებელ-ბომბდამშენი F-84F Thunderstreak-ი

*„მართალია, რომ ამერიკაში მოღვაწე კონსტრუქტორის ქართველიშვილის თვითმფრინავებს ატომური იარაღის წაღება შეეძლოთ?"*

*ვ. გელაშვილი*

XX საუკუნის შუა პერიოდში აშშ-ში მომუშავე ჩვენს თანამემამულეზე, ცნობილ საავიაციო კონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველზე (ქართველიშვილზე), „არსენალში" არაერთი სტატია გამოქვეყნებულა, რადგან მიგვაჩნია, რომ მან უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიოს საბრძოლო ავიაციის განვითარებაში.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 20-იან წლებში ალექსანდრე ქართველი ემიგრაციაში წავიდა ჯერ საფრანგეთში, ბოლოს კი აშშ-ში დამკვიდრდა და იქ შექმნა რამდენიმე საბრძოლო თვითმფრინავი, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ამერიკული სამხედრო ავიაციის ისტორიაში მეორე მსოფლიოსა და „ცივი ომის" პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ევროპის ცაში, სადაც გააფთრებული საჰაერო ბრძოლები მიმდინარეობდა, თავი გამოიჩინა ამერიკულმა გამანადგურებელ-ბომბდამშენმა **P-47 Thunderbolt**-მა, რომელიც საავიაციო ფირმა **Republic**-ში სწორედ ალექსანდრე ქართველის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მძიმე (მაქსიმალური ასაფრენი მასა 10 ტ-ს აღემატებოდა, მაშინ როდესაც საბჭოთა და გერმანული გამანადგურებლების იგივე მაჩვენებელი 3-4 ტ თუ იყო) და ამასთან, სწრაფი (10 კმ სიმაღლეზე ქართველის „ტანდერბოლტი" მაქსიმალურ 756 კმ/სთ-ს ავითარებდა, რაც მიუღწეველი სიჩქარე გახლდათ გერმანული „მესერშმიტებისთვის" თუ საბჭოთა „იაკებისთვის") საბრძოლო თვითმფრინავი. ქართველის ეს მძიმე გამანადგურებელი ამერიკული საავიაციო ქარხნებში 1942-1945 წწ-ებში 15660 ერთეულის რაოდენობით დაამზადეს, რაც ასევე ერთგვარი რეკორდი გახლდათ.

თუმცა 1945 წლის აგვისტოში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში პირველი ამერიკული ატომური ბომბების აფეთქებისა და ამის შედეგად წარმოქმნილი საშინელი შედეგების გაანალიზების შემდეგ აშშ-ის გენერლებმა გადაწყვიტეს ატომური იარაღის მატარებელი თვითმფრინავები აუცილებლად რეაქტიული ძრავებით აღეჭურვა და ამით გაეზარდა მათი სიჩქარე.

**თეთრმა სახლმა ჯერ კიდევ 1946 წელს შეიმუშავა ზესაიდუმლო გეგმა Pincer-ი, რომელიც 20-30 ატომური ბომბით საბჭოთა კავშირის 18 ძირითადი ქალაქის, მათ შორის თბილისის დაბომბვასაც ითვალისწინებდა, თუკი აღმოსავლეთ ევროპაში თავმოყრილ უზარმაზარ სატანკო [illegible] დას სტალინი ლა-მანშისკენ დაძრავდა. (სხვათა შორის, ამ საშინელ სიაში სამხრეთ კავკასიიდან არც ბაქო და არც ერევანი არ იყო შეტანილი, ალბათ, იმიტომ, რომ მაშინ ამერიკელ გენერლებს სამხრეთ კავკასიაში უმთავრეს სტრატეგიული დონის ობიექტად სწორედ თბილისი მიაჩნდათ).**

აშშ-ში შეიქმნა სტრატეგიული საავიაციო სარდლობა, რომელიც **B-29, B-50, B-36** და რეაქტიული **B-47** ტიპის სტრატეგიული დანიშნულების ბომბდამშენებით ატომური ბომბების ჩამოყრას აპირებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ სიღრმეში არსებულ მნიშვნელოვან ობიექტებზეც კი.

თუკი 1946 წელს სტრატეგიული საავიაციო სარდლობის განკარგულებაში მხოლოდ 9 ატომური ბომბი და მათი გადამტანი 30 ბომბდამშენი იყო, უკვე 1949 წელს ატომური ბომბების რიცხვმა 250-ს მიაღწია, ხოლო ბომბდამშენებისა 580-მდე გაიზარდა.

არადა, ამ დროის საბჭოთა კავშირს ერთი ატომური ბომბიც არ ჰქონდა შეიარაღებაში (პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდა მხოლოდ 1949 წლის 29 აგვისტოს შედგა) და ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენების მიერ საბჭოთა ქალაქების მასირებული ატომური დაბომბვა 1948-49 წწ-ებში დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ იმდროინდელი საბჭოთა გამანადგურებლები (დგუშისძრავიანი „იაკები" და „მიგები") ვერანაირად ვერ შეუშლიდნენ ხელს 10-12 კმ სიმაღლეზე ამერიკულ „მფრინავ ციხესიმაგრეებს".

სტრატეგიული საავიაციო სარდლობის შემდეგ პენტაგონმა უკვე ტაქტიკური საავიაციო სარდლობა



MK.7 ტიპის ატომური ბომბის სიმძლავრე ათასი ტონა ტროტილის აფეთქების ეკვივალენტი გახლდათ




*მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მძიმე გამანადგურებლის P-47-ის ავტორმა ატომური ბომბის მატარებელი რეაქტიული თვითმფრინავის დაპროექტება დაიწყო*

ჩამოაყალიბა, რომელსაც ატომური საჰაერო დარტყმები საბჭოთა კავშირისთვის უკვე ახლო მანძილიდან, ევროპიდან და თურქეთიდან უნდა მიეყენებინა.

ტაქტიკური დანიშნულების ატომური, შემდგომში კი ბირთვული ბომბები ზომითა და მასით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდნენ იმ პირველ რამდენიმეტონიან ამერიკულ ატომურ ბომბებს, რომელთა ნალება მხოლოდ „მფრინავ ციხესიმაგრეებს“ შეეძლოთ.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში გამოჩენილი შედარებით კომპაქტური Mk.7 და Mk.12 ტიპის ტაქტიკური დანიშნულების ატომური ბომბების ჩამოკიდება შეიძლებოდა გამანადგურებლებისა და გამანადგურებელ-ბომბდამშენების ფიუზელაჟქვეშა და ფრთებქვეშა პილონებზე.

პენტაგონმა დაიწყო ტაქტიკური ატომური ბომბების გადამტანი თვითმფრინავების ძებნა და ყურადღება მალევე შეაჩერა F-84F Thunderstreak-ის ტიპის რ
აქტიულ გამანადგურებელ-ბომბდამშენზე, რომლ
მთავარი კონსტრუქტორიც ასევე ალექსანდრე ქარ
ველი გახლდათ.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ალექსანდრე ქარ
ველმა სწორი გათვლა გააკეთა და ახალი საბრძოლ
თვითმფრინავის პროექტირება უკვე რეაქტიული ძრ
ვის ქვეშ დაიწყო.

ქართველის ახალმა რეაქტიულმა გამანადგურ
ბელმა F-84 Thunderjet-მა პირველი გაფრენა 19
წლის თებერვალში შეასრულა და 1950 წლიდან კორ
ის ომში აქტიურად ჩაერთო, სადაც მას ხშირად უწევ
საჰაერო ბრძოლების გამართვა თბილისის საავიაც
ქარხანაში აწყობილ საბჭოთა МиГ-15-ებთან.

აშშ-ის ტაქტიკურმა საავიაციო სარდლობამ ატ
მური ბომბების წამლებად ქართველის რეაქტიუ



*ალექსანდრე ქართველი (მარცხნიდან მეორე) ამერიკელ სამხედროებთან ერთად*



FICON-ის საიდუმლო პროგრამის თანახმად, ქართველის ატომურბომბიანი F-84F საბჭოთა საზღვრამდე გიგანტურ B-36-ს უნდა „მიეყვანა“...

გამანადგურებელ-ბომბდამშენ F-84G მოდიფიკაცია შეარჩია, რომელსაც ისევე როგორც F-84F Thunderstreak-ს პირველი F-84-ებისგან განსხვავებით ისრისებრი ფორმის ფრთები ჰქონდა.

სხვათა შორის, სწორედ ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ქართველის F-84F Thunderstreak-ი იქცა იმ პირველ საბრძოლო თვითმფრინავად, რომელიც NATO-ს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს შეიარაღებაში და 50-იანი წლების მეორე ნახევარში დასავლეთი ევროპა საბჭოთა სატანკო არმადების შემთხვევაში ქართველის „ტანდერსტრაიკებს“ უნდა დაეცვათ.

ამერიკული ტაქტიკური საავიაციო სარდლობის ყველა F-84G, რომლებსაც ატომური ბომბები უნდა გადაეტანათ, აღჭურვილი იყო ჰაერში საწვავის განყობის მოწყობილობითა და კაბრირების მომენტში ატომური ბომბის ზუსტად ჩამოგდების სისტემით.

დღეს თავად რუსი სამხედრო სპეციალისტები აღიარებენ, რომ 50-იან წლებში ამერიკული ტაქტიკური ბირთვული საიარაღო სისტემა — F-84G ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენი და მასზე ჩამოკიდებული Мк.7 ტიპის ტაქტიკური ატომური ბომბი საბრძოლო ეფექტურობით ბევრად აღემატებოდა იმ პერიოდში არსებულ საბჭოთა ანალოგს — РДС-4Т ტიპის ატომური ბომბით აღჭურვილ Ил-28А-ს ტიპის საფრონტო ბომბდამშენს, სხვათა შორის, იმ დროს Ил-28 ტიპის ბომბდამშენები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო აეროდრომებზეც ბაზირებდნენ).

ქართველის გამანადგურებელ-ბომბდამშენის ეს უპირატესობა ილიუშინის ბომბდამშენთან, ძირითადად, გამოიხატებოდა იმაში, რომ ჰაერში საწვავის განყობის მოწყობილობა უზრუნველყოფდა ატომური ბომბით 1350 კმ საბრძოლო მოქმედების რადიუსს, ანუ დასავლეთ გერმანიიდან ატომურბომბიანი „ტანდერსტრაიკები“ მინსკსა და კიევსაც „სწვდებოდნენ“.

პენტაგონმა ქართველის „ტანდერსტრაიკებს“ გასაიდუმლოებული ექსპერიმენტი ჩაუტარა. ამერიკელმა ინჟინრებმა აეროდრომის გარეშე, ატომურბომბიანი F-84G გაუშვეს. პილონზე ჩამოკიდებული ატომური ბომბით აღჭურვილი „ტანდერსტრაიკი“ მათ კატაპულტაზე განათავსეს და მისი კატაპულტირება სარაკეტო ამაჩქარებლებით მოახდინეს.

ამ მეთოდს იმიტომ ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ატომურბომბიანი თვითმფრინავის მალულად გადატანა გამხდარიყო შესაძლებელი საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლოს, სადაც არ იყო აშენებული აეროდრომი და ვერავინ მოიფიქრებდა იქიდან საბრძოლო თვითმფრინავის აფრენას, მით უმეტეს, ატომური ბომბით შეიარაღებულის.

„ტანდერსტრაიკთან“ დაკავშირებული მეორე ასევე ზესაიდუმლო ექსპერიმენტი არანაკლებ საინტერესო გახლდათ. პენტაგონის დაკვეთით ამერიკელმა სპეციალისტებმა შექმნეს სისტემა FICON-ი, რომელიც B-36 ტიპის ზემძიმე ბომბდამშენის ქვეშ ჩამოკიდებული



ატომურბომბიანი F-84G-ს კატაპულტით აფრენა მოულოდნელობის დიდ ეფექტს შეიცავდა



F-105-ი ქართველმა სპეციალურად ბირთვული ბომბის გადასატანად შექმნა, თუმცა „ტანდერჩიფს“ ძირითადი ბრძოლები ვიეტნამის ცაში მოუწიათ

ბიბლიოთეკა

ქართველის RF-84F, რომელიც ატომური ბომბით იყო აღჭურვილი, საბჭოთა კავშირის საზღვართან ახლოს „მიყვანას“ ითვალისწინებდა. ამის შემდეგ ატომურბომბიანი გამანადგურებელი-ბომბდამშენი მოსცილდებოდა „დედა-ბომბდამშენს“, დაბალ სიმაღლეზე რადიოლოკატორებისგან შეუმჩნევლად შეფრინდებოდა საბჭოთა საჰაერო სივრცეში, ჩამოაგდებდა ატომურ ბომბს და მერე უკანვე დაბრუნდებოდა და ისევ „ჩამოეკიდებოდა“ გიგანტ B-36-ს.

ალექსანდრე ქართველის „ატომური“ F-84G-ები ტაქტიკური საავიაციო სარდლობის შეიარაღებაში 1960 წლამდე დარჩნენ, რის შემდეგაც ესტაფეტა ისევ ჩვენი თანამემამულის ახალმა გამანადგურებელ-ბომბდამშენმა F-105 Thunderchief-მა მიიღო.

ეს მძიმე გამანადგურებელ-ბომბდამშენი ალექსანდრე ქართველმა თავიდანვე ბირთვული იარაღის მატარებელ თვითმფრინავად დააპროექტა.

F-105 გახდა მსოფლიოში პირველი გამანადგურებელ-ბომბდამშენი, რომელსაც ფიუზელაჟში ბომბნაკვეთური ჰქონდა და ბირთვული ბომბით შეეძლო ზებგერით სიჩქარეზე ორჯერ სწრაფად ეფრინა.

Mk.7 ტიპის ატომური ბომბი ბომბნაკვეთურში თავსდებოდა, კიდევ ორი ასეთი ბომბის ჩამოკიდება კი ფრთების ქვეშ შეიძლებოდა.

ქართველის ატომურბომბიანი „ტანდერჩიფები“ დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ მაშინდელი საბჭოთა კავშირისთვის (არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი თანამემამულის მიერ შექმნილი ამ თვითმფრინავების რამდენიმე სამიზნე საქართველოს ტერიტორიაზეც ყოფილიყო განთავსებული), რადგან მათ დაბალ სიმაღლეზე და ზებგერითი სიჩქარით შეეძლოთ ბირთვული ბომბების ჩამოყრა, რომლის დროსაც საბჭოთა საჰაერო თავდაცვის სისტემები ნაკლებად ეფექტური ხდებოდა.

სულ 833 „ტანდერჩიფი“ გამოუშვეს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ატომური დაშინების ნაცვლად ვიეტნამის ომში მოუწიათ ბრძოლამ, რადგან თითქმის ყველა ოპერაციაში მონაწილეობდნენ. ვიეტნამის ომში 400-ზე მეტი F-105 დაიკარგა. ამხელა ზარალი იმით იყო განპირობებული, რომ ქართველის ამ გამანადგურებელ-ბომბდამშენებს ყველაზე ძლიერი საზენიტო საშუალებებით დაცული ობიექტების დასაბომბად გზავნიდნენ.

ალექსანდრე ქართველის სახელი ასევე უკავშირდება კიდევ ერთ ცნობილ ამერიკულ საბრძოლო თვითმფრინავს — A-10A Thunderbolt 2-ს, თუმცა ეს რეაქტიული მოიერიშე არ ყოფილა გათვლილი ბირთვული იარაღის გამოყენებაზე.

შესაჯამებლად შეიძლება ვთქვათ, რომ ალექსანდრე ქართველიშვილის კონსტრუირებული თვითმფრინავებიდან ორი: F-84 და F-105 1951-დან 1970 წლამდე ამერიკული ტაქტიკური ატომური და ბირთვული ბომბების ძირითადი გადამტანი საშუალება იყო და შიშის ზარს სცემდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას.

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




**თარაზული:** 1. სამხედრო ფორმის პალტო; 5. ისრაელის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 8. სრული მონური დამოკიდებულება; 9. ნახევრად მაიმუნი; 10. თიხის ჭურჭლის მკეთებელი; 11. ფრანგული პისტოლეტი; 12. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტი; 16. განგსტერული ორგანიზაცია; 17. არაბული ქვეყანა; 18. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი; 19. მწვანილი; 21. ჩეხური ავტომობილი; 24. ჯიბის პატარა დასაკეცი დანა; 27. კვიპროსის დედაქალაქი; 29. ქართული ხალხური ზღაპარი; 30. შეჯიბრების დაწყების მომენტი; 31. პოპ-მუსიკის დედოფალი; 32. ამორტიზატორი; 33. სიმებიანი მუს. საკრავი; 34. ფაშიზმის სამშობლო.

**შვეული:** 2. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი; 3. NATO-ს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში; 4. აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარების ავიაბაზა; 5. ქალაქი საქართველოში; 6. რუსეთის იმპერატორთა გვარი; 7. ვენესუელის დედაქალაქი; 12. ფლოტის სარდალი ძველ საბერძნეთში; 14. ხმლის ტარი; 15. საჯარისო ქვედანაყოფი; 20. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი; 22. კაციჭამია; 23. მშობელი; 25. იალქანი; 26. კოვბოური ფილმი; 27. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 28. უაზრობა, სისულელე.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზული: 1. სიათა; 6. გორდა; 7. კერპი; 8. ბომბი; 9. ჯაყვა; 10. კივერი; 13. ფრე; 14. სამოთხე; 15. ხანჯალი; 17. კერასირი; 18. სიდრი; 20. გოგია; 21. ორიონი; 22. მირიანი; 23. არმინიუსი; 25. კოკაი; 26. რაცია; 27. მარსი.

შვეული: 2. ინტერდინამიქსი; 3. არტილერია; 4. რობოდანოვსკი; 5. კამიკაძე; 11. ნეი; 12 პატრიოტი; 13. ფისტონი; 16. ჯირითი; 17. კვადრიგა; 18. იმიჯი; 24. ბლოკადა.

b 112/28



მსოფლიოში უძლიერეს პისტოლეტად მიჩნეულ Desert Eagle-ს სამხედროები ახლოს არ ეკარებიან

# სიმართლე „უდაბნოს არწივზე"...



იარაღის სამყაროში არაერთი ლეგენდარული პისტოლეტი თუ რევოლვერია, თუმცა მათ შორისაც განსაკუთრებული ინტერესით მსოფლიოში უძლიერესად მიჩნეული „უდაბნოს არწივი" — Desert Eagle სარგებლობს.

თავად განსაჯეთ — პისტოლეტით იმავე 12,7 მმ კალიბრის ტყვიის გასროლა შეიძლება, როგორიც მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით, თუმცა მიუხედავად ასეთი შესაძლებლობებისა, „უდაბნოს არწივის" საბრძოლო მოქმედებებსა თუ სპეცოპერაციებში გამოყენება არც ერთი ქვეყნის არმიას დღემდე არ უფიქრია.

ამის მიზეზი კი ძალიან მარტივია — მსოფლიოში უძლიერესი პისტოლეტი არ გამოდგება საბრძოლო მოქმედებებისთვის და მისი წარმოუდგენელი შესაძლებლობების მქონეს იმიჯი, არც მეტი, არც ნაკლები, ჰოლივუდის შექმნილია.

სწორედ ჰოლივუდურ მძაფრსიუჟეტიან მხატვრულ ფილმებშია ნაჩვენები, თუ „უდაბნოს არწივიდან“ გასროლილი ტყვია, როგორ გადააგდებს ადამიანს რამდენიმე მეტრზე და აფეთქებს მანქანას.

სინამდვილე კი სხვაა: „უდაბნოს არწივი“ დაახლოებით 2 კგ-ს იწონის (მისი სიგრძე 374 მმ-მდეც კი აღწევს მოდიფიკაციიდან გამომდინარე) და არც ერთი ჭკუათამყოფელი სპეცრაზმელი მის თრევას არ დაიწყებს, მით უმეტეს, რომ პისტოლეტის მჭიდში 12,7 მმ კალიბრის მხოლოდ 7 ვაზნა ეტევა.

გასროლისას ლულიდან გამოტყორცნილი ცეცხლის ალი იმ სიძლიერისაა, რომ სიბნელეში შეიძლება თავად მსროლელიც კი ცოტა ხნით დააბრმაოს, მოწინააღმდეგეს კი კარგად ანიშნებს გასროლის ადგილს.

სპეციალურად Desert Eagle-სთვის შექმნილი ზემძლავრი ვაზნა .50Action Express (.50 AE)-ის გასროლისას წარმოქმნილი ხმა ისე ძლიერია, რომ მისი გასროლა დახურულ ტირებში აკრძალულია, რადგან ყურსაცვამიანი მსროლელიც კი შეიძლება დააყრუოს.

გასაგებია, რომ სპეცოპერაციის დროს არავინ მოინდომებს ისეთი მძლავრი პისტოლეტის გამოყენებას, რომელმაც გასროლისას მოწინააღმდეგეზე ადრე შეიძლება თავად მსროლელი დააბრმაოს და დააყრუოს.

პრინციპში, ამერიკულმა საიარაღო კომპანია Magnum Research-მა 1983 წელს „უდაბნოს არწივი“ საბრძოლველად კი არა (როგორც ამის დამტკიცებას ჰოლივუდური ბლოკბასტერები ცდილობენ), სანადირო მიზნებისთვის შექმნა. 1985 წელს პისტოლეტი საბოლოოდ დახვეწა ისრაელის საიარაღო კომპანია Israel Military Industries-მა.

თავდაპირველად, „უდაბნოს არწივს“ ისრაელში აწარმოებდნენ, 1995-2000 წწ-ებში მისი გამოშვება აშშ-ში გადაიტანეს, შემდგომ კი ისევ ისრაელში დააბრუნეს.

Desert Eagle-ის საბაზო მოდელის ფასი 1400-დან 2100 დოლარამდე მერყეობს, მსროლელისთვის პისტოლეტის სახელურის ინდივიდუალურად მორგება კიდევ 500 დოლარამდე ჯდება. არადა, მსროლელის ხელზე პისტოლეტის ტარის კარგად მორგება აუცილებელია, რადგან გასროლისას წარმოქმნილმა ძლიერმა უკუცემის ძალამ მსროლელს შეიძლება ხელი დაუშავოს, თუკი მას პისტოლეტი მტკიცედ არ უჭირავს ორივე ხელით.

„უდაბნოს არწივი“ შეიძლება ძალზე სასურველი შენაძენი იყოს იარაღის თავგადადებული კოლექციონერისთვის, მაგრამ პრაქტიკული გამოყენებისთვის ბევრად მსუბუქი და ნაკლებად მძლავრი პისტოლეტები უფრო გამოდგება.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩვენი დოსიე:** Desert Eagle სამ მოდიფიკაციად არის გამოშვებული და ერთმანეთისგან, ძირითადად, სხვადასხვა კალიბრის ლულით განსხვავდება. ლულის სიგრძეც განსხვავებული გახლდათ — 152-დან 254 მმ-მდე. ტექნიკური თვალსაზრისით „უდაბნოს არწივი“ ყველა პისტოლეტისგან განსხვავდება, რადგან მის ავტომატიკაში გამოყენებულია დენთის აირების გადატანის პრინციპი, ანუ იგივე, რაც, მაგალითად, M4 ტიპის ავტომატურ კარაბინს აქვს. სწორედ ამიტომაც არის, რომ „უდაბნოს არწივის“ ლულა ასე მასიური ჩანს, რადგან, მას ლულის თავზე აირგადამტანი მილი აქვს დამონტაჟებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

